პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—46

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76, მდივნის 10—38

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 კ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

№ 99 პარასკევი 4 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 99

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

მთელ საბჭოთა ფედერაციაში პირველი მაისის დღესასწაული დიდი ზეიმით ჩატარდა.

საფრანგეთი დარწმუნებულია, რომ ლოზანას კონფერენცია ნაყოფიერად დამთავრდება.

საოკუპაციო ჯარს, რურის ოლქიდან გააქვთ ყველაფერი — მათ შორის საოჯახო ავეჯეულობაც კი.

გერმანიაში გრძელდება კომუნისტების დევნა.

საფრანგეთის მთავრობამ თავისი ჯარი გააძლიერა სირიაში.

გაზეთის დღევანდელი № შეიცავს 6 გვერდს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს უჯრედებს 4 მაისს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან საკითხი

პრესის დღის შესახებ

ხელმძღვანელეთ თეზისებით, რომელიც მოთავსებული იყო „ზარია ვასტოკას" № 96—261

თბ. კომიტეტის მდივნის მაგიერ ივანოვი.

პრესის დღისათვის

საზეიმო სხდომა.

3 მაისს პრესის დღეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კლუბში შესდგება

ქალაქ თბილისის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის წევრთა

საზეიმო სხდომა

მუშა-კორესპონდენტების, საქართველოს პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის წევრების, ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების და მუშათა ფაკულტეტების მსმენელთა თანდასწრებით.

სხდომის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე

საქ. პროფკავშირთა საბჭო.
განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი.
ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ბიურო.

ქ. თბილისის ყველა გაზეთების (რუსულის, ქართულის, სომხურის და თათრულის) მუშათა კორესპონდენტები და წარმომადგენლები მოწვეულნი არიან

საზეიმო სხდომაზე

5 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, გაზ. „ზარია ვასტოკას" რედაქციის ბინაზე.

დღის წესრიგი:

1. ამხ. მიასნიკოვის მოხსენება მუშათა პრესის მნიშვნელობის შესახებ.
2. საორგანიზაციო საკითხები.

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საagit-საპროპაგ. განყოფილება.
ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ბიურო.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილება

შაბათს, 5 მაისს,

„მუშათა პრესის დღეს"

მართავს ყველა სარაიონო კლუბებში

მიტინგებს

ამ დღის აღსანიშნავად.

1 რაიონი: ნაძალადევის თეატრი საღ. 6 საათი (მომხსენ. ამხ. ერქომაიშვილი);

2 რაიონი: მუშათა ცენტრ. კლუბი საღ. 7 ს. (მომხსენ. ამხ. ვირაპი);

3 რაიონი: ავლაბრის რაიონის კლუბი საღ. 7 საათზე (მომხსენ. ამხ. ხანონიანი.)

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საagit-საპროპაგანდო განყოფილება.

პარასკევს, 4 მაისს, დღის 1 საათზე დანიშნულია

1 მაისის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისიის

კრება

ყველა წევრები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ანგარიშებით შესრულებულ მუშაობის და ფულის შესახებ.

ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე: **მ. ესხიძე.**

საზეიმო დღესასწაული

გუშინწინ ჩატარებულმა პირველ მაისობამ ჩვენში ერთხელ კიდევ დაგვანახა მჭერმეტყველურად, თუ როგორია მშრომელ მასსების და არა მარტო მათი, არამედ ფართე მოსახლეობის განწყობილება, რანაირია მათი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან, მუშურ-გლეხურ რეჟიმთან.

პირველ მაისობას კერძოდ თბილისში გრანდიოზული და საზეიმო ხასიათი ჰქონდა. მასში მიიღო მონაწილეობა გამოუკლებლად მთელმა მშრომელ მასსამ. მუშათა კლასის უთვალავი რიგები, რომელნიც ამ დღეს მწყობრად გამოეფინენ დედაქალაქის ქუჩებში, ამჟღავნებდნენ მის უდიდეს ორგანიზაციულ ძალას; გუშინწინდელი დემონსტრაცია მოწმობდა, რომ მუშათა კლასის ენერგია, მიუხედავად განვლილი მძიმე გზის და ბრძოლების, გამოულეველია; ის, დღემდე მიღწეული გამარჯვებებით კმაყოფილი, შემდეგში უფრო მეტი ხალისით განაგრძობს თავის დიქტატურის განმტკიცებას, სოციალისტური მშენებლობას და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე მდგარ მიზნების სამსახურს.

პირველ მაისობამ ზედმეტჯერ გვიჩვენა, რომ ჩვენი მუშათა კლასი და საერთოდ მშრომელი მასსა თავის ამ ისტორიულ დანიშნულებას—შრომის სუფევის დამყარებას ანხორციელებს თავისი ერთად ერთი რევოლიუციონური პარტიის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული. ის სავსებით დარწმუნებულია, რომ მუშათა კლასის წაყვანა ძლევამოსილი გამარჯვებისაკენ შეუძლია მხოლოდ ჩვენს პარტიას და მხოლოდ მას უჭერს მხარს. პირველ მაისის დღესასწაულმა მოგვცა მუშათა კლასის, კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების განუყრელი ერთობის კიდევ ერთი თვალსაჩინო და მრისხანე დემონსტრაცია.

ამასთან მანვე კვლად ცხადყო, რომ ჩვენში სავსებით დაშლილია ანტისაბჭოთა პარტიები, რომ მუშებმა სავსებით შეაქციეს მათ ზურგი და ისინი დადგნენ კომპარტიის მხარეზე და საბჭოთა წყობილების განმამტკიცებელთა რიგებში.

მაგრამ ეს ცოტაა. პირველ მაისის დღესასწაული იყო იმის მაჩვენებელიც, რომ ფართე, ე. წ. ნეიტრალური მასსაში, რომელიც წინედ ერთგვარი სკეპტიციზმით, ეჭვიანობით, ინდიფერენტულად და შეიძლება უარყოფითადაც უყურებდა ახალ რეჟიმს, მომხდარია ამ სამი წლის განმავლობაში ძირითადი გარდატეხა. იგიც დარწმუნდა საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში, მან შეიგნო, რომ ეს ხელისუფლება სასარგებლოა მისთვის, რომ იგი ემსახურება საერთოდ ხალხის კეთილდღეობას. ამიტომ ეს მასსა თავსანებებს განზე გადგომის, მით უმეტეს წინააღმდეგობის გაწევის პოლიტიკას და ებმება ცხოვრების აღმშენებლობაში საბჭოთა წყობილების ნიადაგზე.

ეს ფსიქოლოგიური გარდატეხა კარგა ხანია დაიწყო. პირველ მაისმა გვიჩვენა, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს სწრაფად და ფართე მასშტაბით. პირველ მაისობას ჰქონდა ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულის ხასიათი. მასში მონაწილეობა მიიღო არა მარტო მუშათა კლასმა, არამედ საზოგადოების ფართე წრეებმა, რასაკვირველია, გარდა იმ ვიწრო ჯგუფებისა, რომელთაც ოქტომბრის რევოლიუციამ ხელიდან გამოგლიჯა ცხოვრების მესაჭეობა და პრივილეგიური მდგომარეობა.

ასეთი ხასიათი ჰქონდა დღესასწაულს არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

ეს დიდი მიღწევაა საბჭოთა ხელისუფლების. ეს მოპოვებულია დაულალავი შრომით ხალხის სასარგებლოდ, მისი კეთილდღეობის ასაწევად.

მუშაობის გაღრმავება და გაფართოვება ამ მიმართულებით,—ესაა ჩვენი არსებობის და მოღვაწეობის აზრი და დანიშნულება. და ამ მუშაობის წარმატებით დაგვირგვინებაში, საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო განმტკიცებაში ჩვენ გვარწმუნებს როგორც ჩვენი მშრომელი ხალხის ერთობა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასთან, მისი ურყევი გადაწყვეტილება ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დიადი საქმე, ისე საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა, მუშათა კლასის, რომელიც თუმცა ჯერ კიდევ მონობაში იმყოფება, მაგრამ მედგრად იბრძვის კაპიტალის დასამხობად და ძალა-უფლების ჩასაგდებად.

ბურჟუაზიულ სამყაროს პროლეტარიატის ამ ბრძოლის ერთი ეპიზოდი მოგვცა განვლილმა პირველ მაისმა.

თუ ჩვენში ეს დღე ოფიციალური დღესასწაულია, იქ, კაპიტალის სამეფოებში, ამ დღის ჩატარება არც ისე ადვილი საქმეა.

ეს დღე შიშის ზარსა გვრის მჩაგვრელთა ხროვას და ეს უკანასკნელი იღებს ყოველ ზომას, რათა რამენაირად თავიდან აიცილოს პროლეტარიატის რისხვა, ხელი შეუშალოს მის შეკავშირებას, მის რევოლიუციონურ დემონსტრაციებს, მიმართულთ ექსპლოატატორების ასალაგმავად. ასე ხდებოდა ყოველთვის. ასე მოხდა ეხლაც.

ბევრ ალაგას ბურჟუაზიამ მაისის წინა დღეებში მიიღო გამაფრთხილებელი ზომები და ციხეში ჩაყარა მოწინავე მუშები და რევოლიუციონერები, რათა ჩაეფუშა ან ყოველ შემთხვევაში რამოდენიმედ მაინც ხელი შეეშალა სამაისო დემონსტრაციისათვის. მაგ., პანების პოლონეთში მოხდა მასიური დაპატიმრებანი და გაჩხრეკა; დაიჭირეს 200 კაცამდე, მუშათა კლასის მეთაურები. უნგრეთში სრულებით აკრძალეს დღესასწაული. ამ დღის ევროპის და ამერიკის სხვა და სხვა ქალაქებში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები დემონსტრანტ მუშებსა და პოლიცია-ჟანდარმერიას შორის. მსოფლიო რეაქციის კერაში —პარიზში დაჭრილ იქნა 60 მუშა. სხვა ქვეყნებშიც არიან მსხვერპლნი.

მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა, ევროპა-ამერიკის მუშათა კლასმა ფართოდ ჩაატარა თავისი დღესასწაული. პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი, ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოლიდარობა საბჭოთა ფედერაციის მშრომელებთან,—ასეთი ლოზუნგებით გამოვიდა ბურჟუაზიულ მსოფლიოს პროლეტარიატი.

აღსანიშნავია, რომ სამაისო დემონსტრაციებში ყველგან ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ კომუნისტები, რომელთაც თანაგრძნობით ეპყრობოდნენ შეუთანხმებელ პარტიების მუშები, წინააღმდეგ თავიანთი ლიდერებისა, რომელნიც კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ეს რეპრესიები ბურჟუაზიის, აგრეთვე თაღლითობა სოციალ-შეთანხმებლების ერთ ზედმეტ გაკვეთილებს აძლევს მუშათა კლასს. სრული გამიჯვნა მოღალატე სოციალისტებისაგან, დადგომა კომინტერნის დროშის ქვეშ, ერთიანი და მჭიდრო რიგებით შეტევა ბურჟუაზიის ციხესიმაგრეების წინააღმდეგ—აი ერთად ერთი გამოსავალი. ის ამ გზით მიდის და, ეჭვი არ არის, რომ იპოვის საკმაო ძალას ბურჟუაზიის უკვე საგრძნობლად შერყეული ბატონობის შესამუსრავად.

ამ საქმეში მას დიდად დაეხმარება საბჭოთა ფედერაციის მშრომელი მასსა, რომელმაც პირველ მაისის დღესასწაულშიც გამოიჩინა, რომ მას აწიც შესწევს ბრძოლის და აღმშენებლობის უშრეტი ენერგია და ხალისი.

კოოპერატიული მშენებლობა

საბჭოთა ხელისუფლებას არაფერი არ მიუღია მზა-მზარეულად ძველი წყობილებიდან. ის იძულებულია გარდაქმნას ცხოვრების ყოველი დარგი მზგავსად და ხატებათ თავისა, ე. ი. შეუფარდოს იგი მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ინტერესებს.

როდესაც კოოპერაციას ვიხილავთ, უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას აქაც აქვს თავისი განსაკუთრებული გზა, რომელიც სრულიათ ახალია ისტორიაში. თუ ძველი წყობილების დროს კოოპერაცია საკუთარი ძალღონით ცდილობს სამეურნეო ასპარეზზე გამაგრებას, თუ ის ჩვეულებრივათ უსწორო ბრძოლაში სულს ლაფავს და თავისი არსებობის კვალს ძლივს აჩნევს, საბჭოთა წყობილება მას იწვევს **აქტიურ სამუშაოთ**, ანიჭებს მას მეტად მნიშვნელოვან როლს სამეურნეო მშენებლობის სისტემაში და საერთოდ უქმნის მას სრულიად ახალ პირობებს განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

როგორია კოოპერაცია მის წარსულსა და აწმყოში და როგორი უნდა გახდეს იგი ახლო მომავალში?

კოოპერაცია წარმოადგენს სამეურნეო ორგანიზაციას, რომელსაც თავისი ისტორია აქვს. ის აღორძინდა კაპიტალიზმის დროს და დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა სხვა და სხვა სახის და დარგის კოოპერაციათ.

ყველაზე უფრო ცნობილია სამომხმარებლო კოოპერაცია, შემდეგ მისდევს სასოფლო-სამეურნეო, საწარმოვო, საკრედიტო კოოპერაცია და სხვ. ყველა მათ ახასიათებს ერთი რამ: ბრძოლა კაპიტალის ძალადობის წინააღმდეგ. მაგალითად, **სამომხმარებლო კოოპერაცია** ებრძვის უმთავრესად **სავაჭრო კაპიტალს** მით, რომ აკავშირებს წევრებს (მომხმარებლებს), ხსნის მათთვის სავაჭრო დაწესებულებებს და ხელმისაწვდენ ფასებში აწვდის მათ სალ საქონელს. **საკრედიტო კოოპერაცია** იაფ კრედიტს უხსნის თავის ხელმოკლე წევრებს და ცდილობს დაიხსნას ისინი **ჩარჩების და მევახშეების** კლანჭებისაგან. სასოფლო-სამეურნეო და საერთოდ **საწარმოვო კოოპერაცია** ცდილობს დაეხმაროს წვრილ მეურნეთ მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მსხვილ **სამრეწველო კაპიტალთან**.

როგორც ხედავთ, ეს წვრილფეხობის ბრძოლაა ძლევა მოსილი კაპიტალის წინააღმდეგ. ამის შესაფერათ კოოპერაცია იმსჭვალება წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიით და ცდილობს წარმოადგინოს თავისი თავი როგორც ზე-კლასიური ორგანიზაცია, რომელიც ვითომდა ყველა დაჩაგრული კლასების ინტერესებს თანასწორათ იცავს, მაგრამ სინამდვილეში კოოპერაცია განსაზღვრულ კლასობრივ ელფერს ატარებს და ყოველი მისი სახე მეტ-ნაკლებათ გამოხატავს ამა თუ იმ კლასის სულისკვეთებას და ინტერესებს.

არის **პროლეტარული კოოპერაცია** (როჩდელის პიონერების მიერ წამოწყებული სამომხმარებლო კოოპერაცია), მისგან განსხვავდება **წვრილ ბურჟუაზიული** კოოპერაცია (შულცედელიჩის სახალხო ბანკები და შემნახველ-გამსესხებელი კასები), განსაკუთრებულათ **ხდვას საგლეხო კოოპერაცია** (რაიფეიზენის საკრედიტო ამხანაგობანი). შეგვიძლია დავასახელოთ კიდევ საშუალო წრის, დიდჯამაგირიანი მოხელეების ან **ბურჟუაზიული** კოოპერატივები და სხ. ყველა ესენი თავისებურათ ემსახურებიან თავიანთ წევრებს, უპირდაპირდებიან მსხვილ კაპიტალს და წარმოადგენენ ბურჟუაზიულ წყობილების წიაღში აღმოცენებულ სამეურნეო საქმიანობის ეროვგვარ სისტემას. ისინი, რასაკვირველია, ვერ მოაბრუნებენ ისტორიის ჩარხს და ვერ შეაჩერებენ ძლევა-მოსილი კაპიტალის მსვლელობას. პირიქით, იძულებული ხდებიან თვით შეეგუონ მსხვილ კაპიტალს, გადაიქცენ მის გამოსაყენებელ და ხელსაყრელ აპარატათ. ამნაირათ, კოოპერაციის ტენდენცია ილახება და იმარჯვებს კაპიტალის ტენდენცია.

როგორია კოოპერაციის მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დროს? რა ბედი მოელის მის სხვა და სხვა სახეთ?

აქ ჩვენ გამოვდივართ ერთი დებულებიდან, რომელიც ძირეულათ განსაზღვრავს მთელი კოოპერაციის მშენებლობას. ეს არის ის საფუძველი, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ძალა-უფლების არსებობას: აქ გაბატონებულია ერთი კლასი, გამოცხადებულია პროლეტარიატის დიქტატურა, აღიარებულია მშრომელი ხალხის უზენაესობა. კოოპერაციამაც უნდა იწამოს ეს საფუძველი და თავისი მშენებლობა სავსებით დაუქვემდებაროს მას.

ერთია მშრომელი ხალხი და ერთია მისი კოოპერაცია და მისი სხვა და სხვა სახეები ერთი და იმავე მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ ეწევიან მოღვაწეობას მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მაგრამ ვინაიდან პროლეტარიატი წარმოადგენს უმთავრეს ძალას, პროლეტარული კოოპერაციაც ამ მშენებლობაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს არა სხვის დასაჩაგრავათ, არამედ მშრომელი ხალხის საუკეთესო დასარაზმავათ.

რა თქმა უნდა, დარჩება ძალაში, კოოპერაციის სხვა-და-სხვა სახე, მაგრამ მას ახლა ექნება სულ სხვა აზრი და მნიშვნელობა. სამომხმარებლო კოოპერაციას ენიჭება სავალდებულო სახე და ის კოოპერაციის უნივერსალურ ფორმათ იქცევა. სასოფლო-სამეურნეო და საერთოდ საწარმოვო კოოპერატივები ასეთ შეცვლილ პირობებში განაგრძობენ თავიანთ არსებობას და ამყარებენ თავიანთ ურთიერთობას სამომხმარებლო კოოპერაციასთან.

როგორია წყობა და შენება თვით სამომხმარებლო კოოპერაციისა?

მ. ტოროშელიძე

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 81).

მოსკოვი. 2 მაისი. ტემპერატურა—36,9, პულსი—96, სუნთქვა—20, საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

1923 წ. 2 მაისი, ნაშუადღ. 2 საათი.

პროფესორები: ფორსტერი, ნონნე, კრამერი.
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ექიმი: ელისტრატოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

რურის ოლქის ოკუპაცია

ქება მკვლელობისათვის.

ბერლინი. 28 აპრილი. ჯარების მიმართ ბრძანებაში გენერალი დეგუტი აქებს ფრანგი ჯარისკაცების სიმტკიცეს ესენში მუშების დახვრეტის დროს.

მიაქვთ ყველაფერი.

ბერლინი. 1 მაისი, **რეინის და ვესტფალიის რაიონის საქარხნო—საფაბრიკო კომიტეტების ცნობით, ფრანგებმა წაიღეს რუსეთის მუშების მიერ რურის მუშებისათვის გაგზავნილი ხორბლის ნაწილი.**

კრუპის დაპატიმრება

ბერლინი, 3 მაისი. ესენიდან მიღებული ცნობით, კრუპი და მისი დირექტორები ბორენი და გალდაკი გაიწვიეს ბერლინიდან დასაკითხავად დაკითხვის შემდეგ სამივე დაპატიმრეს.

ბერლინი 3 მაისი. ბერლინის გაზეთები კრუპის დაპატიმრებას სთვლის პოლიტიკურ აქტად, ვინაიდან ის არის დირექტორების საბჭოს წარმომადგენილი და არ ღებულობს მონაწილეობას თვით წარმოების მმართველობაში.

გააქვთ ავეჯი

ბერლინი 3 მაისი. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება განაგრძობს ძალადობას რურის გერმანელ მცხოვრებლების მიმართ. ტრიერში გაიტანეს გადასახლებულ რკინისგზელების სახლებიდან ყველა ავეჯი.

ოკუპაციის გარშემო

გერმანიის პასუხი.

ბერლინი. 1 მაისი. გერმანიის მთავრობის ნოტა, რომელიც შეიცავს ახალ წინადადებებს, წარმოადგენს პასუხს კერზონის სიტყვაზე და გაეგზავნება მოკავშირეებს ალბათ დღეს ღამით. ნოტა ერთ და იმავე დროს გადაეცემა ლონდონს, პარიზს, ბრიუსელს და მის შინაარს აცნობებენ ამერიკის მთავრობასაც.

რეკვიზიციის ასაცილებლად.

ბერლინი. 1 მაისი. რურის ოლქში ჩააქრეს თითქმის ყველა კოქსის ღუმელი, დასტოვეს მხოლოდ რამდენიმე ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ქარხნების საჭიროებისათვის. ეს ჩაიდინეს, რათა აეცილებიათ ფრანგებისა და ბელგიელების მიერ კოქსის რეკვიზიცია. ამის გამო კოქსის გამომუშავება ამ ჟამად უდრის მხოლოდ იმის ერთ მეხუთედს, რასაც ოკუპაციამდი ამუშავებდნენ.

საარის ოლქში.

ბერლინი. 1 მაისი. საარის საოლქო საბჭომ უარი განაცხადა ოლქში ფრანგული ფრანკის შემოღებაზე. ამ უარს საბჭო იმით ასაბუთებს, რომ ფრანკის დაშვება ოლქის ტერიტორიაზე, ეს იქნებოდა ვერსალის ხელშეკრულების დარღვევა.

ოკუპაციის შედეგები.

ბერლინი. 1 მაისი. რკინის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ დიუისბურგში ინჟენერების კრებაზე მეცში განაცხადა, რომ რურის ოლქის ოკუპაციის გამო ლოტარინგიის მრეწველობის ნაყოფიერება ძლიერ შემცირდა. ყველა ღუმელები ლოტარინგიაში ჩაქრობილია. მადანის ამოღება შარშანდელთან შედარებით მხოლოდ 20 პროცენტს უდრის.

ოკუპაციის წინააღმდეგ

ბერლინი. 1 მაისი. ბერლინში სპარსეთის კოლონიამ რურის ოკუპაციის გამო გერმანიისადმი თანაგრძნობის მანიფესტაცია გამართა, მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთის ერების კოლონიის წარმომადგენლებმა.

საფრანგეთის პოზიციის შეცვლის შესაძლებლობა.

ბერლინი. 1 მაისი. „ფოსსიშე ცაიტუნგის" პარიზელი კორესპოდენტის ცნობით, საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს არ მოსთხოვოს გერმანიას მოლაპარაკების დაწყების პირობათ პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკის შეწყვეტა. როგორც იუწყებიან ეს შესაძლებლობა გამოწვეულია უელსის პრინცის და ბელგიის მეფის თათბირით, რომელიც მათ ჰქონდათ კვირას.

ლოზანას კონფერენცია

ჩესტერის კონცესია

ლოზანა. 1 მაისს ჩესტერის კონცესიას გაცხოველებით იხილავენ ლოზანას კონფერენციის წრეებში. ფიქრობენ, რომ ამერიკის მთავრობა ვერ შესძლებს ჩესტერისათვის ოფიციალურად მხარის დაჭერას ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ამერიკის პრინციპს, არა ამერიკის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

ფანტავენ ღრუბლებს

ლონდონი 30 აპრილი „მორნინგ პოსტ"-ის სიტყვებით, ლოზანას კონფერენციის გადაწყვეტილება კონცესიების საკითხის განხილვის გადადების შესახებ, დროებით ჰფანტავს საშიშარ ღრუბლებს, რომელიც თავს დასტრიალებს კონფერენციას.

ახლო აღმოსავლეთში

საკითხი კერძო ვალების და კერძო საკუთრების შესახებ.

რომი. 1 მაისი. კერძო ვალების, საავტორო უფლების, შერეული ტრიბუნალების, კერძო საკუთრების და ომით გამოწვეული ზარალის შესახებ, ოსმალეთის დელეგაციამ მიიღო მოკავშირეების წინადადება ამ საკითხების იურიდიულ კომისიაში გადაცემის შესახებ.

გენ. პელლეს ოპტიმიზმი.

რომი. 1 მაისი. გენერალმა პელლემ გაზეთ „მატენის" თანამშრომელს განუცხადა, რომ ლოზანას კონფერენცია სრულის წარმატებით დამთავრდება.

არჩევნები აღმოსავლეთ ფრაკიაში

პარიზი. 3 მაისი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, აღმოსავლეთფრაკიაში არჩეულია 13 დეპუტატი ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში.

საფრანგეთს სურს ჩაშალოს მოლაპარაკება.

პარიზი. 3 მაისი. საფრანგეთის წარმომადგენელმა სტამბოლში აცნობა ადნან ბეის, რომ სიფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ოსმალეთის ჯარების დაგროვებას სირიის საზღვარზე და ამ კონცენტრაციის გაგრძელების შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მოლაპარაკების გაგრძელება ლოზანაში. დასასრულ საფრანგეთის წარმომადგენელმა განუცხადა ადნან ბეის, რომ მისი მთავრობა მოითხოვს ოსმალეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას სირიის საზღვრის განაპირა ზონიდან.

შეკითხვა ჩესტერის კონცესიის შესახებ.

ლონდონი. 3 მაისი. მთავრობის წარმომადგენელმა თემთა პალატაში შემდეგი პასუხი გასცა შეკითხვაზე ჩესტერის კონცესიის შესახებ: „ინგლისის მთავრობამ სწორედ ეხლა მიიღო ვრცელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მთლიანად ჩესტერის კონცესიის საკითხს. როგორც ამ დოკუმენტიდან გამოირკვა, ინგლისის ინტერესი შელახულია მხოლოდ სამსუნის ნავთსადგურის აშენების მხრივ. ამის შესახებ ინგლისის კომპანია აცხადებს თავის უფლებებს, ვინაიდან ჯერ კიდევ 1911 წელს ამ კომპანიამ დასდო ხელშეკრულება ოსმალეთის მთავრობასთან ნავთსადგურის აშენებისათვის კონცესიის მიწების შესახებ. ინგლისის ინტერესები ილახება აგრეთვე რკინისგზის გაყვანის საკითხშიაც, რამდენადაც რკინის გზის ხაზი გრძელდება ირაკის ტერიტორიით მოსულამდე და სულეიმანიამდე; ამავე დროს კონცესიონერებს უფლება აქვთ აწარმოვონ მუშაობა რკინის გზის ხაზის ორთავე მხარეზე, ინგლისის უმაღლეს კომისარს სტამბოლში მიეცა უფლებები განაცხადოს პროტესტი ოსმალეთის მთავრობის მიერ ჩესტერისათვის კონცესიის მიცემის წინააღმდეგ, რომელიც ეწინააღმდეგება ინგლისის ინტერესებს ირაკში კომისარს უფლება ეძლევა აგრეთვე განაცხადოს, რომ ჩესტერისათვის მიცემული უფლებების კანონიერება არ იქნება დადასტურებული ინგლისის მთავრობის მიერ.

საფრანგეთის ჯარების გადაჯგუფება.

პარიზი. 3 მაისი. „დეილი მეილის" ქაირის კორესპოდენტი გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის ჯარები სირიიდან გადაიყვანეს კილიკიაში.

მდგომარეობა სირიაში

„ფრანგები აძლიერებენ ჯარებს

ლონდონი. 30 აპრილი. **სირიაში საგრძნობლად გაძლიერებულია საფრანგეთის კოლონიალური ჯარები.**

ფრანგების საწინააღმდეგო განწყობილება ძლიერდება.

ლონდონი. 1 მაისი. **პოლიტიკურ წრეებში დიდ ყურადღებას იპყრობს ფრანგების ჯარების კონცენტრაცია სირიაში გადმოგვცემენ, რომ სირიაში თანდა თან ძლიერდება საფრანგეთის საწინააღმდეგო განწყობილება,** განსაკუთრებით იმ შედეგების გამო, რომელიც მოჰყვა სირიის ფედერალურ საბჭოს სხდომას, რომელსაც დაესწრნენ საფრანგეთის დელეგატები, რომლებმაც ამ სხდომაზე განაცხადეს, რომ საბჭოს უფლება არაა აქვს გაარჩიოს **საფრანგეთის**

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

საკითხი მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ უკვე გადაწყდა და გამოიცა შესაფერი დეკრეტი, რომლის განხორციელებაც მთელს ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების სასწრაფო და დიდმნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს. ბევრი მტკიცება არ უნდა იმას, რომ ეს გადასახადი წარმოადგენს წინ გადადგმულს ნაბიჯს როგორც საფინანსო დარგში, ისე ჩვენის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის სფეროში.

სასურსათო ბეგარა, რომელიც წინად არსებობდა, შეცვლილ იქნა ნატურალური გადასახადით, რომლის დროსაც მხედველობაში იყო მიღებული სასოფლო მეურნეობის კეთილდღეობა. გლეხებს საშუალება ჰქონდა მიცემული, რომ ზედმეტი ნაწარმოები თავისუფლად მოეხმარა. მაგრამ ამასთან ერთად არსებობდა საგადასახადო აპარატი სახალხო საფინანსო კომისარიატისა, რომელიც ფულად გადასახადს ჰკრებდა.

ამას გარდა ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება ჰქონდა მიცემული, რომ გლეხთათვის გადასახადი შეეწერა ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ისეთი პირობები შეიქმნა, რომ მშრომელ გლეხობას უხდებოდა გადასახადის მიცემა სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ ორგანოებისათვის, სახელდობრ: სახალხო საფინანსო კომისარიატისათვის, სახალხო სასურსათო კომისარიატისათვის, აღმასკომისათვის და სხვა. თვითეულ ამ ორგანოს შემუშავებული ჰქონდა გადასახადის შეწერისა და აკრების თავისებური მეთოდები.

გლეხს წარმოდგენა არა ჰქონდა იმის შესახებ, თუ ბოლოს და ბოლოს რამდენი უნდა გადაეხადნა წლის განმავლობაში. ხსენებულ დეკრეტის გამოცემის შემდეგ ყველა ეს უხერხულობა თავიდან აცილებულია. ყველა ამ გადასახადების მაგივრად დაწესებულია მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

გადასახადს საფუძვლად ედება როგორც თვითეულ რაიონის, ისე თვითეულ მეურნეობის გადახდის უნარიანობა. თვითეულ შემთხვევაში ირკვევა ამა თუ იმ მეურნეობის შეძლეობა და ღონიერება და ამის მიხედვით ხდება გაწერა. ვინც ყველაზე მდიდარია, ის ყველაზე მეტს აძლევს სახელმწიფოს. ამას გარდა აღიარებულია პრინციპი მეურნეობის გაყოფისა ჯგუფებად; ვისაც მეტი სახნავი მიწა აქვს, იმას უფრო მეტი გადასახადი ეწერება. შეწერის ობიექტები შემდეგია: სახნავი მიწა—დათესილი და დაუთესავი, მსხვილ-ფეხა და წვრილ-ფეხა საქონელი, ხილის ბაღები, კაკლის პლანტაციები, თამბაქო და სხვა ძვირფასი კულტურები. ყველა ეს გადატანილ იქნება ხორბლის ერთეულზე და გამოიანგარიშება ერთიან წონაში—ფუთ ხორბალში.

გლეხს უფლება ეძლევა შეიტანოს გადასახადი როგორც ფულათ, ისე ნატურით. თუ რომელიმე რაიონის მოსახლეობა დაადგენს, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელია ფულის გადახდა, მაშინ მათ ამის შესაძლებლობა მიეცემათ.

ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიც არის ბამბა და აბრეშუმი, სრულიად განთავისუფლებულია გადასახადისაგან. მეფუტკრეობა, რომლის განვითარებითაც დიდად დაინტერესებულია ამიერ-კავკასიის მოსახლეობა, აგრეთვე განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

ამ რიგად, მრავალ გადასახადის ნაცვლად დაწესებულია ერთი გადასახადი. ამასთანავე მხედველობაში მიღებულია სასოფლო მეურნეობის განვითარება. ეს იქნება ერთად-ერთი გადასახადი, რომელსაც გლეხები სახელმწიფოს მისცემენ.

ოჯახნი იმ მოსამსახურეთა, რომელნიც მსახურობენ წითელ ლაშქარში და ფლოტში (თუ ისინი არიან ოჯახის ერთად-ერთი მარჩენელნი), განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან. ასეთივე შეღავათი ეძლევათ იმათაც, რომელნიც სამოქალაქო ომით დაზარალდნენ და დასახიჩრებულნი არიან, აგრეთვე იმ ოჯახებს, რომელთა წევრებიც ტყვეობაში არიან.

ერთი სიტყვით, ეს პრინციპი სწორეა და ადვილად განსახორციელებელი მშრომელ გლეხობისთვის; მისი მოხერხებულად განხორციელება უეჭველია მჭიდრო და სასურველ კავშირს დაამყარებს ქალაქსა და სოფელს შორის, ანუ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის.

როგორც ვიცით, გლეხებს ესაჭიროებათ ისეთი პირობების შექმნა, როდესაც მათ შესაძლებლობა ექნებათ თავისუფალ შრომის და სრულიად თავისუფლად თავის შრომის ნაყოფის მოხმარებისა.

ამ ახალ, ერთი გადასახადის გატარების შემდეგ, დეკრეტით მათ უფლება ეძლევათ თავისუფლად გამოვიდნენ ბაზარზე სასოფლო მეურნეობის პროდუქტებით.

ამ დეკრეტის წარმატებით განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ფინანსების მოწესრიგების საქმეში.

თუ სახელმწიფოს გადასახადები არ შემოუვა, მაშინ იგი იძულებული იქნება გააძლიეროს ემისია, ესე იგი ბეჭდოს ფული და ბაზარზე გადმოყაროს. რამდენიც მეტი ფული გამოდის ბაზარზე, იმდენად მეტად ეკარგება მას ფასი. ფულის ფასის დაწევა იწვევს პირველ საჭიროების საგნებზე ფასის აწევას. საკვები პროდუქტების გაძვირება სამუშაო ხელფასის გადიდებას იწვევს და ამას კი მოსდევს ემისიის გადიდება.

ამ რიგად იქმნება მოჯადოვებული წრე, საიდანაც თითქოს გამოსავალი არ არის.

ამასთანავე კარგად მოწყობილი საგადასახადო აპარატი შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს, რომ უკანვე, თავის კასაში დაიბრუნოს გამოშვებული ფული. ეს გარემოება აჩერებს ემისიის გაძლიერების პროცესს და ფულის კურსის შეუჩერებელ დაცემას.

საკითხი შეიძლება გართულდეს მხოლოდ იმით, რომ დაბრკოლებანი შეგვხვდეს ხსენებულ კანონის განხორციელების დროს.

პრინციპი კარგია, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მის განხორციელებას. ჩვენმა პოლიტიკურმა მტრებმა კარგად იციან, რომ სოფელში სასოფლო მეურნეობის ობიექტების სწორე აღნუსხვა და სწორე გამოანგარიშება იმისი, თუ ვის რამდენი გადასახადი ეკუთვნის, ჩვენს ძირითადს მიზანს შეადგენს დეკრეტის განხორციელების დროს.

იმათ კარგათ იციან, რომ სამართლიანი გაწერა საუკეთესო საშუალებაა გლეხებთან კავშირის გასამტკიცებლად, ამიტომ ისინი ეცდებიან საქმე არივ-დარიონ, აგიტაცია გასწიონ გლეხებში, არასწორი ცნობების მიცემა ურჩიონ სახნავისა, სათიბისა და სხვათა შესახებ. და ყველა ეს იმიტომ, რომ საშუალება არ მოგვცენ, რომ სწორედ გამოვარკვიოთ შეწერის ობიექტები და ჩით გააშწვავონ მდგომარეობა.

ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა 1921 წელს. იმ გლეხს, რომელსაც ბეღელში სულ 19 ფუთი სიმინდი ჰქონდა, შეწერილი აღმოაჩნდა 25 ფუთი. ეს საბაბს აძლევს ჩვენს მტრებს, რომ შუღლი დასთესონ მუშურ სახელმწიფოსა და გლეხობის შორის.

ამის წინააღმდეგ ჩვენ დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

გადამხდელთა სიების შედგენის საქმის მთელი სიმძიმე ადგილობრივ აღმასკომებს აწევთ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ სიების სწორე შედგენაში პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ აღმასკომები. პასუხისმგებლობა ყველა ჩვენთაგანს ეკისრება. მუშათა ადგილობრივი ორგანიზაციები ფეხზე უნდა იყვნენ დაყენებულნი სახელმწიფოს დასახმარებლად გადასახადის აკრების საქმეში. პარტ. ორგანიზაციები სავსებით უნდა იქნენ გამოყენებული ამ მიზნისათვის.

მხოლოდ ამ პირობებში შეგვეძლიან საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დაყენებულ ამოცანის შესრულება.

ა. ერქომაიშვილი.

საქალაქო აღწერისათვის

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერატიულ საბჭ. რესპ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

ქალაქთა საყოველთაო აღწერის წარმოებისათვის.

ახალ ეკონომიურ პირობებში, საქალაქო ცხოვრების განვითარების შესახებ სწორი ცნობების მიღებისათვის, ა. კ ს. ფ. ს. რ. ყველა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში სწარმოებს, მოსახლეობის, ბინების, სახლკართა, სახელმწიფო (სამხედრო და საზღვაო უწყებათა ჩათვლით) და კერძო პირთა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა საყოველთაო აღწერა, ამ. კავკ ც. ა. კ.-თან არსებულ საგანგებო კომისიის მიერ, აღწერის წარმოებისათვის, დამტკიცებულ ინსტრუქციის თანახმად, რომელსაც ევალება აგრეთვე აღწერის საერთო ხელმძღვანელობაც.

შენიშვნა: საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, ვინაიდან ქალაქთა მოსახლეობის, ბინების და სახლკართა აღწერა უკვე გატარდა 1922 წ. 30 ნოემბერს, წარმოებულ იქნეს მხოლოდ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა.

1. აღწერის დღეთ ცხადდება ა. წ. 5 მაისი

2. აღწერის წარმოება ცალკე რესპუბლიკებში ევალება მათ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს.

3. ყველა საბჭოთა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებს ევალებათ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს, მათ ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე აღწერაში მომუშავე პირთ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა მესრულებისათვის, და კერძოთ:

ა. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკური სამმართველოები, აღწერის წარმოებისათვის გახსნილ კრედიტის ფარგლებში, დააკმაყოფილოს ფულის ნიშნებით, თავის დროზე.

ბ. ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს—ნება დართოს აღწერის მონაწილე პირთ რიგს გარეშე სამგზავრო ბილეთის აღებისათვის და მიიღოს ყოველგვარი ზომები სააღწერო მასალების ადგილებზე სასწრაფოდ გადაგზავნისა და მიღებისათვის.

4. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს, მათ ადგილობრივ ორგანოებს და რწმუნებულებს უფლება ეძლევათ აღწერის თანამშრომლების მოწვევისა, რის შესახებ აცნობებენ შრომის ბირჟას ან მის განყოფილებებს; საჭიროების მიხედვით საბჭოთა დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ თანამშრომლებს აღწერაში სამუშაოდ სტატორგანიზაციებთან შეთანხმებით.

5. ეს დეკრეტი მოქმედებაში შედის ტელეგრაფით.

ა. კ. ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

ა. კ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ორახელაშვილი.**

ა. კ. ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი **ტალიბლი.**

1923 წ. აპრილი.
ტფილისი—სასახლე.

სავაჭრო-სამრეწველო აღწერისათვის

ამხანაგებო და მოქალაქენო!

იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მთელი ყურადღება და ძალღონე მიმართულია სამეურნეო ფრონტისკენ, ხანგრძლივი ომის და რევოლიუციის დანგრეულ ქვეყნის მეურნეობის აღდგენასა და აყვავებისაკენ, მან უნდა იცოდეს ამ მეურნეობის მდგომარეობა; მისი საჭიროება, მისი განვითარების დამაბრკოლებელი მიზეზები და სხვ.

და აი, ქვეყნის მეურნეობის წესიერად მოწყობისათვის, სახელმწიფოს მხრივ დახმარების აღმოსაჩენად, საჭიროა ამ მეურნეობის შესახებ ზედმიწევნითი ცნობები გვქონდეს. უამისოდ ჩვენ უმწეონი ვიქნებით, ჩვენი მუშაობა სიბნელეში ხელის ფათური იქნება, და აქ აუცილებელი იქნება მრავალი, ზოგჯერ გაუსწორებელი, შეცდომა.

მშრომელი ხალხი ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ქვეყნის პატრონიც გახდა. მაგრამ ეს არ კმარა. ის კარგი პატრონიც უნდა იყოს, კარგი პატრონი კი პირველ ყოვლისა ის არის, ვინც თავის ქონებას, თავის ფაბრიკებს და ქარხნებს იცნობს, იცის სად რა აქვს და რა მდგომარეობაშია. იცის რა აკლია მის მეურნეობას და მაშინ ისიც ეცოდინება, თუ რა უნდა გააკეთოს, როგორ ააშენოს თვის მეურნეობა.

ეს ცნობები კი შეგვიძლია მოვიპოვოთ ჩვენი ქვეყნის ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა დაწვრილებითი **აღწერის საშუალებით.**

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების წესიერად მოწყობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად რიგიანად იქნება ჩატარებული აღწერა.

აღწერამ უნდა მოგვცეს სწორი და ზედმიწევნითი ცნობები.

აღწერის გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა, სახელოსნო დაწესებულება, მაღაზია, დუქანი და სხვ.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს თხოვნით ყველა მეურნეს, კოოპერატორს და ვაჭარ-მრეწველთა კლასს შეგნებით მოეკიდონ აღწერას, ყოველგვარად დაეხმარონ მის გატარებაში, უტყუარ და სწორი ცნობების მოწოდებით; უნდა ახსოვდეთ, რომ აღწერის მიზანი რაიმე გადასახადების შეწერა არ არის და სამეურნეო ცხოვრების წესიერად მოწყობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად ჩატარდება აღწერა.

მშრომელნო!—ყველაზე მეტად თქვენა ხართ დაინტერესებულნი ქვეყნის მეურნეობის სწრაფი და სავსებით აღდგენითა და განვითარებით. ქვეყნის სამეურნეო ძლიერება თქვენი ძლიერებაა. დაეხმარეთ აღმწერებს უტყუარ ცნობების აკრეფაში.

სრ. საქართ. საბჭოთა ცენტრ. აღმასკომის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**
ცენტრ. აღმასკომის მდივანი **ხახაშვილი.**

1923 წ. 28 აპრილი.
ტფილისი—სასახლე.

სავაჭრო-სამრეწველო აღწერა ქალ. ტფილისში.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ა. წ. 4 აპრილის დადგენილების თანახმად, ქ. ტფილისში სავაჭრო-სამრეწველო აღწერის პირველ დღეთ დანიშნულია 5 მაისი.

ქალაქი დაყოფილია 6 სააღწერო უბნებათ.

უბნების ბიუროები იმყოფებიან:

1-ლი უბნისა—ვერის დაღმართი № 4, დარაბა № 400. ხელმძღვანელი—დ. კარიჭაშვილი

მე-2-ე უბნისა—ვორონცოვის ქ № 7, (5 რაიკომი). ხელმძღვანელი—ლ. კარბელაშვილი.

მე-3-ე უბნისა—მუხრანის ქ. № 4, (შენობა 5 რაიონის სახ. სასამართლოს), ხელმძღვანელი—ამხ. დივნოგორცევი.

მე-4 ე უბნისა—რიყე, 19 თებერვლის ქ. ყოფილ ხითაროვის ქარვასლაში ხელმძღვანელი ამხ. ვარძიელი.

მე 5-ე უბნისა—ჩერქეზიშვილის ქ № 29 (81 შრომის სკოლა), ხელმძღვანელი—ამხ მხეიძე

მე 6-ე უბნისა—პლეხანოვის პროსპ. № 182 (ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბი), ხელმძღვანელი—ამხ. ჯანაშია.

აღწერის ყოველგვარ კითხვებით როგორც მოსახლეობას, აგრეთვე ხელმძღვანელთ, შეუძლიანთ მიმართონ აღწერის ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარეს გ. მ. გრიგორიანს (ტელ. №№ 6-56, 5-75), ც. ბ. წევრს ა. გ. რუხაძეს (ტელ. №№ 19-11, 3-73), ც. ბ. წევრს ა. მ. გონჩაროვს (ტელ. № 7 07)

აღმწერლები ყოველგვარ კითხვებით აღწერის შესახებ მიმართავენ ზემოაღნიშნულ პირთ თავიანთ ხელმძღვანელების საშუალებით.

სავაჭრო-სამრეწველო აღწერის ცენტრალური ბიურო.

მთავრობის პოლიტიკა სირიაში საფრანგეთის ხელისუფლებამ გასცა განკარგულება დაეხურათ ადგილობრივი გაზეთები, რომელშიაც გამოსჭვივის ადგილობრივ მცხოვრებთა დელეგატების თვალსაზრისი. დელეგატებმა მოითხოვეს განკარგულების გაუქმება მაგრამ ფრანგებმა უარი სთქვეს.

რუსეთი და იაპონია

ტოკიო. 1 მაისი. გაზეთ „ნიცი-ნიცის" თანამშრომელთან საუბრის დროს, იაპონიის პრემიერმა კატომ განაცხადა: „ბედნიერება იქნება თუ გოტოს წყალობით დასაწყისს დაუდებთ რუსეთის საკითხის გადაჭრას. იაპონიის მთავრობას სურს დაჩქარებით გადაჭრას ყველა საკითხები, თვით ცნობის საკითხიც, რომ რაც შეიძლება ჩქარა აღადგინოს ურთიერთობა რუსეთთან ახალ საფუძვლებზე".

კომუნისტების დევნა
ოსმალეთში

კომუნისტების დატუსაღება

ანგორა, 30 აპრილი. გაზეთ „ენი გიუნის" ცნობით, სტამბოლში დაატუსაღეს ბევრი რუსი და ოსმალო კომუნისტი, რომლებმაც გამოუშვეს მოწოდება პირველი მაისის და კაპიტალისტებთან ბრძოლის შესახებ დატუსაღებულები სამხედრო სამართალში მისცეს.

გერმანიაში

კომუნისტური პრესის დევნა

ბერლინი, 1 მაისი. გერმანიის მთავრობამ აკრძალა კელნის კომუნისტური გაზეთი „სოციალისტური რესპუბლიკა".

სხვადასხვა ამბები

ინგლისი

ლოიდ-ჯორჯი საფრთხეების წინაშე ლონდონი. 1 მაისი მანჩესტერში ლოიდ ჯორჯმა წარმოთქვა სიტყვა ლიბერალური ფრაქციების გაერთიანების პირობების შესახებ. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ საჭიროა ვაჭრობის თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტა ეს განცხადება სრული უარის თქმაა მის წინანდელ პოლიტიკაზე. „თავისუფლებასო, განაცხადა ლოიდ ჯორჯმა, სამი საფრთხე მოელისო: პროტექციონიზმი, სოციალიზმი და ფაშიზმი. ფაშიზმის საფრთხე არ არის ნათელი, მაგრამ რეალურია. პირველი საფრთხეა სოციალიზმი".

გერმანია

მთავრობის კრიზისის ლიკვიდაცია.

ბერლინი. 30 აპრ. მთავრობის კრიზისი საქსონიაში დასრულდა, საქსონიის საოლქო სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის მიერ არჩეული შვიდთა კომისია შეუთანხმდა კომუნისტებს პროლეტარული თავდაცვის რაზმების მოწყობის შესახებ. რაზმები მოეწყობა ქარხნებთან და წევრებით მიიღებიან პროფკავშირის წევრი მუშები ორივე პარტიების თანხმობით. კომუნისტებმა განაცხადეს რომ ისინი აღარ მოითხოვენ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გადადგომას საქსონიაში.

მიზეზს ეძებენ.

ბერლინი, 3 მაისი დღეს გაიხსნება რეიხსტაგი და პრუსის ლანდტაგი პარტიებმა და პროფკავშირებმა შეიტანეს შეკითხვა უკანასკნელ ხანებში მარკის კურსის დაცემის მიზეზის შესახებ.

საჰაერო მიმოსვლა.

ბერლინი, 3 მაისი გაზეთი „დეილი ექსპრესი" უკმაყოფილობას გამოსთქვამს საფრანგეთის მიერ ინგლისის ნაპირების და სამხედრო გემების სადგომის ახლო ახალი საჰაერო ხაზის შექმნის გამო.

საფრანგეთი

საჩუქარი ფოშს.

პარიზი 3 მაისი მარშალი ფოში ჩავიდა ვარშავაში, სადაც მას სამხედრო მინისტრმა გადასცა მარშლობის ნიშნები.

ინგლისის გენერალური შტაბის უფროსის გამგზავრება.

პარიზი, 3 მაისი ინგლისის გენერალური შტაბის უფროსი ლორდი კევანი მიემგზავრება ვარშავაში გენერალ სიკორსკისათვის საპასუხო ვიზიტის მისაცემათ კევანი კრაკოვში დაესწრება პოლონეთის კავალერიის ალლუმს, იქიდან კი გაემგზავრება ვარშავში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გლეხის სახლი.

როსტოვი-დონზე. 1—5. როსტოვში დიდის ზეიმით გაიხსნა გლეხის სახლი. სახლში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

მენშევიკების გახრწნა.

ოდესა 1 მაისი. ჯგუფი გამოჩენილ მენშევიკების, რომლებიც განთავისუფლებული იქნენ ციხეებიდან, ათავსებს „იზვესტია-"ს ნომერში წერილს პარტიიდან გამოსვლის შესახებ.

სმოლენსკი. 2 მაისი. გამოჩენილ მენშევიკების ჯგუფმა გამოაქვეყნა სმოლენსკის გაზეთში წერილი, რომელშიდაც აცხადებს მენშევიკური პარტიიდან გამოსვლას და თანაუგრძნობს მუშათა კლასის, ერთად-ერთ დამცველს—რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

სრულიად-რუსეთის საეკლესიო ყრილობა

ყრილობა მადლობას უცხადებს საბჭოთა მთავრობას ეკლესიის განთავისუფლებისათვის.

მოსკოვი. 2 მაისი. სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობის გახსნაზე გამოაქვეყნეს უმაღლეს საეკლესიო სამმართველოს მიმართვა საბჭოთა მთავრობისადმი. ამ მიმართვას მხარი დაუჭირეს ყრილობის ყველა დელეგატებმა. მიმართვაში ყრილობა მადლობას უცხადებს საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ უკანასკნელმა ნება დართო მართლმადიდებელ მოსახლეობას, რათა ყრილობის საშუალებით მოაგვაროს შინაური მმართველობა საეკლესიო ცხოვრებაში. დეკრეტში ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ ყრილობა ხედავს ეკლესიის განთავისუფლებას საპოლიციო ვალდებულებებისაგან და რელიგიური მოღვაწეობის გამოყოფას პოლიტიკური ინტერესებისაგან.

ყრილობა მოუწოდებს მორწმუნეებს დაადგენ ახალ შრომის საზოგადოებრივობის გზას.

მოსკოვის მიტროპოლიტმა ანტონიმ, ყრილობის გახსნის შემდეგ, თავის სიტყვაში აღნიშნა: „ჩვენი სამშობლო ახდენს ჩვენი ცხოვრების გადახალისებას ახალ შრომის საფუძველზე. ჩვენ ვდგევართ უღელ-ტეხილის მწვერვალზე, საიდანაც მოსჩანს სასიხარულო მომავალი. ჩვენ მოუწოდებთ მორწმუნეებს დაადგენ ახალი შრომის საზოგადოებრივობის გზას საერთო ბედნიერების და კეთილდღეობის შექმნისათვის. ჩვენ უნდა გავაშუქოთ მოსალოდნელი ამბები რელიგიური თანაგრძნობით,

„ცოცხალი ეკლესიის" ჯგუფის ყრილობა.

მოსკოვი. 2 მაისი. „ცოცხალი ეკლესიის" ჯგუფის ყრილობამ აღიარა თავის ძირითად ამოცანად რელიგიის რევოლიუციასთან შეთანხმება ყრილობა მოუწოდებს ეკლესიას, რათა მან თავისი ავტორიტეტით მხარი დაუჭიროს წითელ არმიას, რომელმაც პირველად განახორციელა მსოფლიოს ისტორიაში სახარების ლოზუნგი: „გავსწიროთ სიცოცხლე ჩვენი მეგობრებისათვის" ყრილობა მოუწოდებს მორწმუნეებს ემსახურონ სამშობლოს რევოლიუციონურ საბჭოთა სახელმწიფოებრივობის პირობებში, რომელიც ყველაზე უფრო აკმაყოფილებს საზოგადოების მშრომელთა კლასების მოთხოვნილებებს. ყრილობას აუცილებლად მიაჩნია ჩამოერთვას ტიხონს სამღვდელო წოდება, ვინაიდან ტიხონმა ჩაითრია ეკლესია სამოქალაქო ომში და მხარი დაუჭირა ეკლესიის ავტორიტეტით სამშობლოს მტრების გამოლაშქრებას.

მიტროპოლიტ ანტონის ჯგუფი ტიხონის შესახებ.

მოსკოვი, 2 მაისი, საეკლესიო ჯგუფმა „აღორძინება"-მ, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი ანტონი, გამოაქვეყნა დეკლარაცია პატრიარქ ტიხონის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ ეკლესიამ არა თუ უარი უნდა უთხრას ტიხონს მორალურ დახმარებაში, არა თუ უნდა გაასამართლოს ის მისი მოქმედებისათვის, არამედ მას პირადათ პასუხი უნდა აგებინოს ახალი მთავრობისადმი წინააღმდეგობაში.

ტიხონმა დამნაშავედ გახადა ეკლესია და ის უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე. ამ მომენტში ეკლესიამ აშკარად უნდა აღიაროს ის, თუ ვისთან არის ის: პატრიარქ ტიხონთან ბრალდებულთა სკამზე, თუ სასამართლოსთან. ჯგუფი „აღორძინება" ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ეკლესია სასამართლოსთან უნდა დარჩეს და ჩამოართვას ტიხონს წოდება. ამით ის დასჯის ტიხონს ეკლესიისათვის ზიანის მიყენების გამო. ის მხოლოდ ხაზს უსვამს, რომ მან ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა და ორგანიულად გამოსადეგარია ახალი საეკლესიო აღმშენებლობისათვის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

პროფკავშირების დღესასწაული.

ბათომი. 2 მაისი. პროფკავშირების საბჭოს არსებობის ორი წლის თავის დღესასწაული დანიშნულია 11 მაისს. ამ დღეს გაიმართება პროფესიული მოძრაობის გამოფენა.

დასასვენებელი სახლები.

ბათომი. 2 მაისი. დამზღვევი საბჭო აწყობს დასასვენებელ სახლებს მწვანე კონცხზე და სურამში. სახლები გაიხსნება მაისის დამლევს.

ბანდიტების დაკავება.

ბათომი. 2 მაისი. ს. სოუქსუში ქალაქის მილიციამ დაატუსაღა ბანდიტები ნუსრეთ ყაზარ-ოღლი და ალიჯან-ოღლი, რომლებიც ტრაპიზონის ვილაეთიდან გადმოვიდენ აჭარაში. ამ ბანდიტებს დიდი ხანია ეძებდა ოსმალეთის ადმინისტრაცია.

ამას წინათ სისხლის სამართლის მილიციამ დაატყვევა ბანდიტი მანწკავა, რომელიც დიდი ხანია თარეშობდა ბათომ-ნატანების რაიონში, მოკლა ბათომის პერონის კანტროლიორი ჯანელიძე და გაიქცა ციხიდან, სადაც იხდიდა სასჯელს ბანდიტიზმისათვის. მასთან ერთად დაატუსაღეს მისი მეგობარი და ხელის შემწყობი მაბავა. დევნის დროს ორივე ბანდიტი დაიჭრა: მანწკავა მძიმეთ, მაბავა კი—მსუბუქათ, დატუსაღების დროს ორივე ბანდიტმა დიდი წინააღმდეგობა გასწია—ისროდენ თოფებიდან და რევოლვერებიდან.

მიწის რეფორმა.

ბათომი. 2 მაისი. პირველ მაისამდი ცენტრის დავალება აგრარული რეფორმის დარგში შესრულებულია 70 პროცენტით, უმიწაწყლო გლეხების მიწით უზრუნველყოფა კი 50 პროცენტით, რაც აიხსნება დასამუშავებლათ სავარგისი მიწების სიმცირით.

სომხეთი

გერმანია—სომხეთს

ერევანი. 2 მაისი. საზოგადოებამ „გერმანია-სომხეთს" გამბურგიდან გამოგზავნა 16 ყუთი მედიკამენტი, ტანსაცმელი და წიგნები, უკანასკნელი—ერევნის უნივერსიტეტისათვის. ყველაფერი ეს შეადგენს გერმანიაში სომხეთის დასახმარებლად შეკრებილ შემოწირულებას.

აიკოოპი.

ერევანი. 2 მაისი. სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი ამ დღეებში მოელის 30.000 ოქროს მანეთის მანუფაქტურის მიღებას, რის ნაცვლად გაგზავნის აბრეშუმს, მატყლს. და სხვა საქონელს.

დახმარება მაზრებს.

ერევანი. 2 მაისი. სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა კარაკლისის, ეჩმიაძინის და მენგრინის მაზრებს გაუგზავნა 30.000 ოქროს მანეთის სხვადასხვა საქონელი.

ტაძარი კომკავშირს.

ერევანი. 2 მაისი. ერევანის აღმასკომმა დაადგინა გადასცეს კომკავშირს ოსრაგორის ტაძარი.

ოთხშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი

1. პრეზიდიუმის მოხსენება აღმასკომის მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
2. 1923 წ. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
3. „კომზაგის" ის მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ.
4. მიმდინარე კითხვები.

ვინაიდან განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, ამიტომ სხდომაზე დასწრება ყველა საბჭოს წევრთათვის სავალდებულოა.

იმ წევრთა შესახებ, რომელნიც არ გამოცხადდებიან სხდომაზე საბჭოს ცალკე იქნება მსჯელობა.

1—1 **პრეზიდიუმი.**

საზ. „ჩემო"-ს წევრთა საერთო კრება
(პირველი სხდომა).

29 აპრილს გაიხსნა საზ. „ჩემო"-ს წევრთა მეორე მორიგი საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ საზოგადოებაში მყოფ ფირმების წარმომადგენლები, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი კ. ს. მოდებაძე, ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოს წარმომადგენელი ი. ბაქრაძე, საზოგადოების დირექტორები ა. დარახველიძე და კ. თუმანოვი და სტუმრები—ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ბიბინეიშვილი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს წარმომადგენლები: მოქ. აბრამოვი და ლედერი, საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მოქ. ფიცხელაური, შავი-ქვის კომიტეტის—მოქ. სოლოკიევი და საბაჟოს სამმართველოს—მოქ. მიქაძე.

სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ მ. მასხულიამ, რომელმაც, გააცნო რა ყრილობას საზოგადოების მდგომარეობა ოთხი თვის წინად, ესე იგი პირველი მორიგი კრების დროის, აღნიშნა, რომ ამ დროს განმავლობაში მდგომარეობა რამოდენიმედ შეიცვალა. პირველად, ამბობს მასხულია, ბაზარი უნდობლობის თვალით გვიყურებდა ეს გარემოება და მასთან ერთად დაბრკოლებები პირველი დატვირთვის საშუალებების გამოძებნაში და ძლიერ დაბალი ფასები ქმნიდენ ისეთ მდგომარეობას, როდესაც აუცილებელი იყო მსხვერპლის გაღება, დაბალი თვით ღირებულების ჩვენება იმისათვის, რათა გაგვემტკიცებია მდგომარეობა ბაზარზე და დაგვერწმუნებია ახალი მთავრობა საზოგადოების არსებობის სარგებლობასა და მიზანშეწონილებაში.

ეხლა კი შეიძლება ითქვას, რომ მიზანი თითქმის მიღწეულია, რასაც ამტკიცებს გაზიდვის ციფრები და ფასების განმტკიცება შავ ქვაზე.

შემდეგ მასხულია ხელისუფლების წარმომადგენლებს მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ეხლა ძველებურად შეუძლებელია დაბალი თვითღირებულების დატოვება, როდესაც შავი-ქვის მარაგი ამოწურვამდე მიდის. აუცილებელია ენერგიული ზომები წარმოების აღორძინებისათვის.

ორგანიზაციის სფეროში სქემა, რომელიც დასახული იყო 1922 წელს ადგილობრივ ორგანოებზე ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობისათვის, ამ ჟამად განხორციელებულია. ამასთან დაკავშირებით ჰააგაში აღმასრულებელი კომიტეტის მაგიერ გაგზავნილია საზოგადოების რწმუნებული, რომელსაც დავალებული აქვს მოგვაწოდოს ინფორმაციები მსოფლიო ბაზრის მდგომარეობის შესახებ, თვალყური ადევნოს ტვირთების ჩაბარებას, ხელშეკრულების შესრულებას და სხვ.

მიმდინარე წლის დასაწყისში მმართველობის იგივე პრინციპი იყო გატარებული ფოთში და ჭიათურაშიაც.

გადადის რა მუშათა საკითხზე მასხულია აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს ეს საკითხი ისე მწვავედ არ სდგას, ზოგიერთ პარაგრაფ[illegible] ველის გამო კოლექტიურ [illegible] ლებებში, რასაც შედეგა[illegible] უკანასკნელების მეტი ელას[illegible] და ნაკლები სიმძიმე შავ-ქვაზე ბულ ფასების დროის, ხარჯების ნაწილი მუდამ დიდი იქნება ჩვენთან, რადგანაც გადაჭრით გადაწყვეტილია წელს, თუნდაც, რომ ნაწილობრივ, განხორციელებული იქნეს მექანიკური დატვირთვის გეგმა.

მაგრამ ერთ-ერთ ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხს, განაგრძობს მოქ. მასხულია, წარმოადგენს ვალიუტის საკითხი. ოქროს მანეთის კურსის განსხვავება ჩვენს ჩეკებთან შედარებით მეთოდიურად გვართმევს ჩვენ მსხვერპლს მსხვერპლზე.

ანგარიშები და თვით ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის რეალური სურათი მოწმობს იმას, რომ ჩვენ ვდგევართ აუცილებელი კრახის წინაშე, თუ საკითხი არ გადაიჭრა საფუძვლიანად.

შემდეგ მოქ. მასხულია მოკლედ ახასიათებს მნიშვნელობას ახლად გახსნილი დაწესებულების,—შავი-ქვის საგანგებო სამმართველოს, რომელშიაც თავს უნდა იყრიდეს შავი-ქვის მრეწველობის ყველა საკითხები: ამავე დროს ის შიშს გამოსთქვამს, რომ თუ ეს დაწესებულება მიჰყობს ხელს წარმოებას ცალკე ფირმის სახით, მაშინ ის ისარგებლებს განსაკუთრებული შეღავათებით, რაც შეუძლებლად გახდის მასთან კონკურენციას, რის გამოც კერძო ინიციატივა საბოლოოდ განდევნილი იქნება.

მასხულიას სიტყვის შემდეგ კრების თავმჯდომარედ ირჩევენ ფიცხელაურს, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ ბიბინეიშვილს. ამის შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი კ. მოდებაძე, რომელიც აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება პირველ რიგში აყენებს მრეწველობას, მით უმეტეს ჭიათურის მრეწველობას, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოში. მთავრობის აქტიური დახმარებით, რომელსაც ის ფაქტიურად უწევს საზოგადოებას, უკანასკნელი დაიპყრობს ბაზარს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ჭიათურის მრეწველობა წინ გაუსწრებს ინდოეთის მრეწველობას. მაგრამ თვით საზოგადოებამაც უნდა შეასრულოს მორიგი ამოცანები, სახელდობრ მისადგომი გზების და მექანიკური დატვირთვის მოწყობა.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარის ი. ბაქრაძის, ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს წარმომადგენლის—ლედერის და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—გ. ფიცხელაურის მისასალმებელ სიტყვების შემდეგ, საერთო კრება ირჩევს სამანდატო კომისიას, რომელსაც ევალება დამსწრე წევრების უფლებების გასინჯვა, რომლის შემდეგაც სხდომა იხურება.

პარტიული პრესა რუსეთში
(მასალები პრესის დღისათვის 1923 წ. 5 მაისისათვის).

1. პირველი რუსული ორგანიზაცია, რომელიც დადგა მეცნიერულ სოციალიზმის ნიადაგზე იყო. „შრომის განთავისუფლების ჯგუფი"; ეს ჯგუფი დაარსდა 1883 წელს და შესდგებოდა გ. ვ. პლეხანოვის, ვ. ი. ზასულიჩის, ლ. გ დეიჩის, პ. ბ. აქსელროდის და ვ. ნ. იგნატოვისაგან. ჯგუფი სცემდა „თანამედროვე სოციალიზმის ბიბლიოთეკას" და ქ. მარქსის და ფ. ენგელსის თარგმანებს კომუნისტური პარტიის მანიფესტის დაქირავებული, შრომა და კაპიტალი, მეცნიერული სოციალიზმი. სიტყვა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ. ფილოსოფიის სიღატაკე და პლეხანოვის ორიგინალურ ნაწარმოებს („სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა", „ჩვენი უთანხმოებანი") აქსელროდის, („მუშათა მოძრაობა და სოციალური დემოკრატია"), დიკშტეინის („ვინ რით სცხოვრობს"):

2. 1888 წელ. ჯგუფებმა ჩაუყარა საძირკველი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ კავშირს", რომელმაც გამოსცა ჟურნალ „სოციალ-დემოკრატის" 4 წიგნი და მთელი რიგი ბროშურების და მარქსის და ენგელსის თარგმანებისა. ჟურნალის მთავარი მუშაკები იყვნენ პლეხანოვი და აქსელროდი).

3. 1895 წ. დაარსდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატების კავშირი". შრომის განთავისუფლების ჯგუფი 1898 წლამდე რედაქტორობდა კავშირის გამოცემებს, კერძოთ, „ლისტოკ რაბოტნიკა". (გამოვიდა 8 ნომერი.

4. 1893 წ. დაარსდენ სხვა საგამომცემლო ჯგუფები. „სოციალ დემოკრატიული ბიბლიოთეკა" ბ. კრიჩევსკის მეთაურობით და „პოპულიარული ბიბლიოთეკა", რომელმაც გამოსცა სხვათა შორის 1897 წელს ნ. ლენინის ბროშიურა „ჯარიმების კანონის განმარტება". („Об'ясненіе закона о штрафахъ").

5 1898 წ. მოწვეულ იქნა „რუსეთის სოციალ-დემოკრატების კავშირის" პირველი ყრილობა", ყრილობაზე გაიმარჯვა „ეკონომიზმის" მიმართულებამ და დაარსებულ იქნა ჟურნალი „რაბოჩეე დელო", რომლის რედაქცია შესდგებოდა ბ. კრიჩევსკის, სიბირიაკის (ნ. ცეპლოვის) დაივანშინისაგან. ჟურნალი არსებობდა 1903 წლამდე. გამოვიდა 12 ნომერი. 1901 წლიდან ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდა მარტინოვი.

6. 90-იან წლების მეორე ნახევრიდან, გარდა საზღვარ-გარეთელ არალეგალურისა ფართოთ ვრცელდებოდა ლეგალური მარქსისტული პრესა და ლიტერატურა რუსეთში. სამარაში იწყო გამოსვლა პირველმა მარქსისტულმა გაზეთმა „სამარსკი ვესტნიკმა", ციმერმანის (გვოზდევის), ა. ა. სანინის, პ. პ. რუმიანცევის, პ. მასლოვის, ვ. პორტუგალოვის და ი. ა. სამჭერის მონაწილეობით.

პეტერბურგის ჟურნალებმა „ნოვოე სლოვო", „ნაჩალო" „ნაუჩნოე ობოზრენიემ" ბელტოვის (პლეხანოვის) „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის", ვ. ილიჩის (ლენინის) „რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებისათვის", სტრუვეს—„კრიტიკული შენიშვნები", გვოზდევის (ციმმერმანის)—„კულაკობა და მევახშეობა", გურევიჩის „რუსეთის სოფლის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ", ტ. ბარანოვსკის „რუსეთის ფაბრიკა" და სხვა წიგნებმა დაიწყეს ბრძოლა ნაროდნიკულ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც გამეფებული იყო მანამდე რუსეთის ინტელიგენციის შორის და ყველასათვის მისაწვდომი გახადეს მარქსიზმის იდეები.

7. 90-იან წლების დასასრულში იწყება ფართო არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გამომცემლობა რუსეთში, განსაკუთრებით ფურცლების და პროკლამაციების გამოცემა. მაგრამ მათ გარდა გამოდის რამოდენიმე გაზეთი და ჟურნალი.

1897 წელს, ეკატერინბურგში არალეგალურად დაიბეჭდა კრებული „პროლეტარული ბრძოლა", სამარის ლიტერატორების—სანინის, ციმმერმანის და პორტუგალოვის მონაწილეობით. ხელმძღვანელ წერილში „ვინ მოახდენს პროლეტარულ რევოლიუციას?"—უკვე მაშინ იყო აღნიშნული, რომ მასიური პოლიტიკური გაფიცვა არის მუშათა კლასის ბრძოლის ჭეშმარიტი და მძლავრი იარაღი.

1898 წელს გამოვიდა ჟურნალ „რაბოჩეე ზნამიას" პირველი ნომერი, რომელსაც სცემდენ ს. ვ. ანტროპოვი და ვ. პ. ნოგინი. შემდეგ ეს გამომცემლობა გადატანილ იქნა საზღვარ-გარეთ, გამოვიდა 1901 წლამდე 4 ნომერი.

პეტერბურგში რეგულარულად გამოდიოდა ჟურნალი „რაბოჩაია მისლი", რომელიც იყო უკიდურესი ეკონომიზმის წარმომადგენელი. ჟურნალში ხელმძღვანელ როლს თამაშობდა აკიმოვი (მახნოველი). 1898—1902 წლამდე გამოვიდა 16 ნომერი, ჟურნალის გამოცემა შესწყდა რევოლიუციონურ („ისკრის") მიმდინარეობის გამარჯვების გამო.

ხარკოვში იწყო გამოსვლა გაზეთმა „იუჟნი რაბოჩი", რომელიც ახლოს იდგა მიმართულებით „ისკრასთან". გაზეთში მუშაობდენ ლოლოიანცი ხარტენკო, ნაუმოვი (გინსბურგი, როზანოვი და სხვ., არსებობდა რუსეთის სოც.-დემოკრატ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობამდე, 1903 წლამდე).

8. 1900 წელს „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი გამოეთიშა „ეკონომისტებს", რომელნიც უმრავლესობას შეადგენდენ „რუსეთის სოციალ-დემოკრატების კავშირში" და გამოვიდა კავშირიდან. 1900 წლის დეკემბრიდან ამ ჯგუფმა დაიწყო გაზეთ „ისკრას" და ჟურნალ „ზარიას" გამოცემა. რედაქცია შესდგა პლეხანოვის, ლენინის, აქსელროდის, მარტოვის, ზასულიჩის და პოტრესოვისაგან (სტაროვერი). რედაქციის ამ შემადგენლობით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მეორე ყრილობამდე (1903 წ.) გამოვიდა „ისკრას" 45 ნომერი.

სხვა საზღვარ-გარეთელ საგამომცემლო ჯგუფებიდან 90-იან წლების დასაწყისში არსებობდენ: „ბორბას" ჯგუფი (ნ. რიაზანოვი, ნევზოროვი, ი. სტეკლოვი), ვ. დანევიჩი (ვ. სმირნოვი); ჟურნალი „ჟიზნი" (პოსსე, ბონჩ—ბრუევიჩი, გამოვიდა 6 ნომერი) და „რუსეთის პროლეტარის ბიბლიოთეკა" (კუკლინი).

9. რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშ. პარტიის მეორე ყრილობამ (1903 წ.) შესწყვიტა არსებობა ყველა სხვადასხვა საგამომცემლო ჯგუფების არსებობა და პარტიის ცენტრალურ ორგანოთ აღიარა „ისკრა". რედაქციაში ამორჩეული იყვნენ პლეხანოვი, ლენინი და მარტოვი, მაგრამ უკანასკნელმა უარი სთქვა. ახალი რედაქციის შემადგენლობით გამოვიდა, „ისკრის" 6 ნომერი. (№№ 46—51) ბ. კნუნიანცის და ვოროვსკის (ორლოვსკის) თანამშრომლობით.

10. ლენინი ჩქარა გამოვიდა რედაქციიდან, ხოლო პლეხანოვმა კოოპტაციით მოიწვია აქსელროდი, ზასულიჩი, მარტოვი და პოტრესოვი. აქედან დაწყებული 1905 წლამდე „ისკრა" დარჩა მენშევიკების ორგანოთ. სულ გამოვიდა 111 ნომერი: უახლოეს მონაწილეობას გაზეთში იღებდა ამხ. ტროცკი, დანი, ორტოდოქსი (აქსელროდი), კოლცოვი, პარვუსი და მარტინოვი. 1904 წლის სექტემბრიდან „ისკრას" რედაქცია სცემდა პოპულიარულ მუშათა გაზეთს „სოციალდემოკრატს" (გამოვიდა 16 ნომერი).

11. 1904 წლიდან ბოლშევიკებმა ლენინის, ოლმინსკის, ლუნაჩარსკის და ვოროვსკის რედაქტორობით დაიწყეს გაზეთ „ვპერიოდის" გამოცემა. რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის მე-3 ყრილობამდე (1905 წ.) გამოვიდა 18 ნომერი. ყრილობამ დაარსა პარტიის ცენტრალური ორგანო „პროლეტარი", 1905 წლის ბოლომდე გამოვიდა 26 ნომერი.

12. პლეხანოვი გამოვიდა „ისკრას" რედაქციიდან, ჟენევაში მენშევიკურ კონფერენციის მოწვევის შემდეგ 1905 წელს. და დაიწყო „დნევნიკ სოციალ-დემოკრატიას" პერიოდულად გამოცემა.

13. 1905 წ. დასასრულში საზღვარგარეთელი პრესა შესწყდა 1908 წლის დასაწყისამდე. როდესაც გაძლიერებულმა რედაქციამ ხელახლა გადახიზნა საზღვარ-გარეთ ცენტრალურ ორგანოების რედაქციები, ბოლშევიკებმა განაახლეს თავის ცენტრალურ ორგანოს „პროლეტარის" გამოცემა.

14. 900-ან წლების დასაწყისში რუსეთში განუწყვეტლივ გამოდიოდენ ცენტრალურ მარქსისტული ჟურნალები „ჟიზნი" „პრავდა", „მირ ბოჟი" („სოვრემენი მირი") გაზეთი „სევერნი კურიერი" ამ დროს რუსეთში დაარსდა ახალი ლიტერატურული ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა ა. ბოგდანოვის (მალინოვსკის), ლუნაჩარსკის, ბაზაროვის (რუდნევის), სტეპანოვის და ავილოვისაგან. წინააღმდეგ ყოფილ მარქსისტების ჯგუფისა (ბერდიაევის, ბულგაკოვი და სხვ.). რომელნიც გადავიდენ მატერიალიზმიდან იდეალიზმზე და რომელთაც გამოსცეს კრებული „იდეალიზმის პრობლემები" ჯგუფმა გამოსცა კრებული „რეალისტურ მსოფლ-მხედველობის მიმოხილვა". ამ ლიტერატურულ ჯგუფის შორის ძლიერი იყო მახის და ავენარიუსის ფილოსოფიურ შეხედულებათა მომხრეთა მიმდინარეობა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია პოლემიკა თვით სოციალ-დემოკრატების (პლეხანოვის, ლენინის, ორტოდოქსის) შორის ბოგდანოვის და ლუნაჩარსკის წინააღმდეგ.

15. 1905 წლის დასასრულსა და 1906 წლის დასაწყისში ს.-დემოკრატიული გაზეთები გამოდიოდენ რუსეთში თავისუფლად. ბოლშევიკების ცენტ. ორგანო იყო „ნოვაია ჟიზნი" ხოლო მენშევიკების—„ნაჩალო. მაგრამ 1906 წლის მეორე ნახევრიდან სოციალ-დემოკრატიული პრესა განიცდიდა უფრო და უფრო მეტ გავლენას გამარჯვებულ რეაქციის მხრივ და მთელი რიგ ცდების შემდეგ შენარჩუნებით ლეგალური პრესა (ბოლშევიკები მაგ. ერთმანეთზე მიყოლებით სცემდენ პეტერბურგში 12 გაზეთს, რომელნიც არსებობდენ 1—25 ნომრამდე („ვოლნა"), იძულებული გახდენ 1907 წლის დასაწყისში ხელახლა გადასულიყვნენ არალეგალურ მუშაობაზე.

16. 1910 წლის დეკემბერში მუშათა მასების დაქვეითებულ სულიერ განწყობილებაში მომხდარ გარდატეხის დროს (ეს დაქვეითება გამოწვეული იყო 1905 წ. რევოლიუციის დამარცხებით) დაარსდა ყოველკვირეულ გაზეთი „ზვეზდა", გაზეთმა მიიღო აშკარა ბოლშევიკური მიმართულება გამომცემელი იყო ბრმა ვ. ა. მელგუნოვი, ერთი უხუცესი მუშა-რევოლიუციონერთაგანი, რომელიც შევიდა პარტიაში 80-ან წლებში—პირველი პასუხისმგებელი რედაქტორი და პირველად ციხეში მჯდომარე—მუშა ი. ვ. გრიტალევი.

„ზვეზდაში" აქტიურ მონაწილეობას იღებდენ საზღვარ-გარეთიდან ლენინი, ზინოვიევი და კამენევი, ხოლო რუსეთის ამხანაგებიდან მუშაობის მთელ სიმძიმეს ატარებდენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრნი პოლეტაევი, გლადნევი, ეგოშევი, რასკოლნიკოვი (ფ. ილინი) ბატურინი, სკრიაბინი. მაშინ დაიწყო თავისი იგავ-არაკების წერა დემიან ბედნიმ.

17. ლენის მუშების დახვრეტის შემდეგ მუშათა მოძრაობა უფრო გაცხოველდა და დაიბადა აზრი ყოველ-დღიურ მუშათა გაზეთის გამოცემის შესახებ.

„ზვეზდამ" დაიწყო გაძლიერებული აგიტაცია შემოწირულებათა შესაგროვებლად და 1912 წ. 22 აპრილს (15 მაისს) გამოვიდა „პრავდას" პირველი ნომერი. მის გამომცემლად ითვლებოდა პოლეტაევი, რედაქტორად სახელმწიფო სათათბიროს წევრი ი. პ. პოკროვსკი. რედაქციის მდივნად იყო რასკოლნიკოვი შემდეგ ქ. ი. სამოილოვი. უახლოეს მონაწილეობას, გარდა საზღვარ-გარეთელებისა, იღებდენ დენილოვი, ერემეევი, სკრიაბინი.

18. გაზეთმა მოიპოვა მკითხველთა დიდი წრე და გახდა ნამდვილი მუშათა გაზეთი. პირველ წელსავე 27 ნომრიდან დევნა დაუწყეს 116-ს, დაადეს 7,800 მან. ჯარიმა, აღძრული იქნა 36 სამოსამართლო საქმე, რედაქტორები იქნენ დაპატიმრებულნი ადმინისტრატიული წესით 47 ერთი მერვედი თვით. კიდევ მეტი, რედაქციაში კინაღამ არ შეიპარა პროვოკატორი (ჩერნომაზოვი) მაგრამ ვერც რეპრესიებმა და ვერც პროვოკაციამ ვერ შეაჩერეს გაზეთი. პროვოკატორი გაძევებულ იქნა, მუშებმა შეკრიბეს „რკინის ფონდში" 18,000 მანეთი და მხოლოდ კერენსკის[illegible]ომმა შეაჩერა „პრავდა" 1917 წლის მარტამდე, როდესაც იგი განახლდა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპ. განყოფილება.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

ამხ. ტროცკის საბოლოო სიტყვა

საჭიროა კოოპერაციისა და სახელმწიფო კრედიტის საშუალებით შინამრეწველთან კავშირის გამოძებნა. გლეხურ მეურნეობისაგან ჩამორჩენა დაუშვებელია. ჩვენი ამოცანაა—პროდუქციის თვითღირებულების დაწევა. გეგმით ხელში,—ადმინისტრატიულ პარტიზანობასთან საბრძოლველათ! გაზეთი არა მარტო პროპაგანდის იარაღია, ის თვალხედვითი აღზრდაც არის. საჭიროა მისი ტეხნიკის მაღალ დონეზე აწევა. პარტიის დიქტატურა, წითელი არმია, წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაცია და საგარეო ვაჭრობის მონოპოლია—სოციალისტურ მეურნეობის განვითარების ოთხი პირობაა.

საჭიროა შინა მრეწველობის ჩაქსოვა სახელმწიფო სამეურნეო ქსოვილში

თავის საბოლოო სიტყვას ამხ. ტროცკი იწყებს იმ წინააღმდეგობიან სამეურნეო სტრუქტურის ანალიზით, რომლითაც ჩვენ შევედით ომში და რომელიც მდგომარეობდა მრეწველობის უაღრესი კონცენტრაციაში—ჩამორჩენილ, ნახევრათ ველურ, პრიმიტიულ მეურნეობის გვერდით. ომმა, რევოლიუციამ და სამოქალაქო ომმა დიდი ცვლილებები შეიტანა ამ სტრუქტურაში. მრეწველობის სხვა და სხვა დარგებს შორის და მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ურთიერთი განწყობილება დაირღვა და ამ სახით ქვეყანა შევიდა სამხედრო კომუნიზმის პერიოდში, რომელმაც ჯერ დიქტატურის მუხრუჭი მოუჭირა მთელს ამ მემკვიდრეობას და შემდეგ გააყინა. სამხედრო-სამეურნეო დიქტატურის რეჟიმის ქვეშ, რომელიც იყო საშუალება პოლიტიკურ თავდაცვისა და სამოქალაქო ომისთვის საჭირო სახსარი, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებით ეს ყინული მოთბა, დადნა რაც პირველ ყოვლისა პერიფერიას, სოფელს შეეხო. სოფელთან დაკავშირებული შინა მრეწველი, სავაჭრო კაპიტალი—აი ამ პროცესის პირველი ეტაპები, თვით ფაქტი შინა მრეწველობის განვითარებისა, რასაკვირველია, პროგრესიული ფაქტია, ვინაიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ამოცანაა ყოველ სახის სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის პირობების შექმნა. მაგრამ შემდეგ ეს შინა მრეწველი სახელმწიფო მრეწველობის არა საკმაო განვითარების გამო, სავაჭრო კაპიტალის ბატონობის ქვეშ ვარდება. სავაჭრო კაპიტალისა და შინა მრეწველის ამ კავშირს შეუძლია მეორე-ჯერ შექმნას ჭეშმარიტ-რუსული ნიადაგიანი კაპიტალიზმი. **ამ პერსპექტივების გაუთვალისწინებლობა, მათი არ დაფასება ნიშნავს სიბრმავეს და ყოველგვარ საშიშროებისაკენ წინსვლას.** ჩვენი ამოცანაა გამოვძებნოთ კავშირი ამ შინა მრეწველთან კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის საშუალებით, ჩავაქსოვოთ ის სახელმწიფო-სამეურნეო ქსოვილში. მაგრამ ჯერ-ჯერობით კი ჩვენ სულ უფრო და უფრო უნდა შეუფარდოთ გლეხურ მეურნეობას და წვრილ შინა მრეწველობას ჩვენი ფისკი, ჩვენი საგადასახადო აპარატი.

მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა

უცხოელ კაპიტალის შემოსვლის მოლოდინში ჩვენ უნდა ჩავაყენოთ მრეწველობის განვითარება სასოფლო მეურნეობასთან მჭიდრო კავშირში. ჩვენი მრეწველობა ცდილობს ერთი ფრთით საგლეხო ბაზარს დაეყრდნოს, მეორეთი კი—ბიუჯეტს, ბიუჯეტი კი გლეხობაში კრებს ძალებს. ამნაირათ თუ ჩვენ ვერ შევძლებთ აქ წონასწორობის შენარჩუნებას, მრეწველობა მოსხლტება ერთ ერთ დასაყრდნობ წერტილს და დაემხობა, მაგრამ მეორე მხრით თუ ჩვენ ვერ დავისახავთ ამოცანას გადავახტეთ გლეხურ მეურნეობას ან ავტომობილით გადავასწროთ მას, მასთან ჩამორჩენა მაინც არ უნდა [illegible]. ეს საშიშროება არა ნაკლებია, ვიდრე პირველი,—გავიხეხოთ წინ, მოვწყდეთ გლეხურ მასას, ჩამოვრჩეთ გლეხურ მეურნეობას, მასში ზედმეტ პროდუქტების დაგროვებას. ამ უდიდეს სიძნელეზე და მასთან დაკავშირებულ საშიშროებებზე ვამბობდი მე გუშინდელ მოხსენების ძირითად ნაწილში. ამაშია საკითხის არსება.

სამეურნეო ორგანიზმის გამოცოცხლების პერიოდში ჩვენ შევდივართ ერთი სერიოზული კრიზისით—ნედლი მასალის კრიზისით. ჩვენ ვხვდებით მეორე, გაცილებით უფრო ღრმა კრიზისს—ძირითად კაპიტალის კრიზისს. აი, ამხანაგებო, საერთო სურათი,—არა იმისათვის რომ შევშინდეთ, არამედ იმისათვის, რომ ნამდვილად გავითვალისწინოთ ის.

საჭიროა პროდუქციის თვითღირებულების დასაწევ საშუალებათა გამონახვა

ქვეყნის მეურნეობა ცოცხლდება, კიდევ ორი-სამი კარგი მოსავალი და გამოცოცხლება დიდი ნაბიჯებით წავა წინ. აქედან ის აუცილებლობა გამომდინარეობს, რომ არა მარტო კმაყოფილებით აღვნიშნოთ ხოლმე შინა მრეწველობის ზრდა, არამედ ვეძიოთ სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოებთა თვითღირებულების შესამცირებელი საშუალებები, ამიტომ ამხ. ბოგდანოვს უნდა ახსოვდეს რომ, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არის ორგანიზაცია, რომლის ამოცანაა—წინ წარმართოს გაერთიანებული სახელმწიფო მრეწველობა, ეკონომიურათ და კულტურულათ ბაზრისა და შინა მრეწველთა დაპყრობისა და ამნაირათ, ქვეყნის მთელი ეკონომიკის დაპყრობის გზით.

ექსპორტის საშიშროება

რაც შეეხება ჩვენი გლეხობის ევროპიულ კაპიტალთან დაკავშირების საშიშროებას, რომლის შესახებ ლაპარაკობდა ამხ. სმილგა,—ეს საშიშროება მდგომარეობს მრეწველობის ფასების განსხვავებაში ევროპაში და ჩვენთან, როდესაც ეს განსხვავება შინაურ და საგარეო ფასებს შორის საზღვარს გადალახავს, აუცილებელია კონტრაბანდა, თუნდაც უსასტიკეს მონოპოლიის პირობებში.

ადმინისტრატიულ პარტიზანობასთან

ადმინისტრატიულ პარტიზანობასთან ბრძოლისათვის

შეეხო რა საკითხს გეგმიან მუშაობის შესახებ, რომელსაც შეეხო ამხ. სმილგაც, ამხ. ტროცკი ამბობს: ჩვენი სახელმწიფო აპარატისა და სამეურნეო მუშაობის განვითარების განსაზღვრულ ეპოქაში ჩვენ განზრახული გვაქვს ადმინისტრატიულ პარტიზანობის ე. ი. შემთხვევიდან შემთხვევამდე მუშაობის გადალახვა. ამხ. ტროცკი კითხულობს რამოდენიმე მუხლს ცენტრ. კ—ის თეზისებიდან მრეწველობაში გეგმიანი მუშაობის შესახებ. ამხ. რუბარის საპასუხოთ, რომელიც ამბობდა, რომ ამ თეზისებში არ არის გამოყოფილი საკითხი მძიმე მრეწველობის შესახებ და აგრეთვე პასუხათ ამხ. სმილგას სიტყვებზე მეურნეობის დაგეგმვის საკითხის შესახებ, იმეორებს რა თავის ძირითად სიტყვაში გამოთქმულ აზრს ჩვენი მრეწველობის ზარალიანობის შესახებ, ამხ. ტროცკი ამბობს, რომ მომავალში ამ მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია.

მრეწველობისათვის ფინანსების გაღება

რაც შეეხება საკითხს მრეწველობისათვის ფინანსების გაღების შესახებ, თავის თავათ ცხადია, მძიმე მრეწველობაში ჩვენ ჩავდებთ კიდევ უფრო დიდ თანხებს გრძელვადიან კრედიტისა და გაზრდილ კაპიტალის სახით, მაგრამ ყოველი ასეთი შეტანა იქნება სახსრის გადატანა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამრეწველოში. ჩვენი მრეწველობის ახალი ეპოქა დაიწყება მაშინ, როდესაც მრეწველობის შემოსავალი ბიუჯეტის დამატებითი ნაწილის მიმატებით მრეწველობის ხარჯებს გაუთანასწორდება და აღემატება ე. ი. ჩვენ არ მოვითხოვთ ჩვენი მრეწველობისაგან, რომ მან დაუყოვნებლივ მოგება მოგვცეს. ეს შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ მრეწველობის დეფიციტი არ აღემატოს იმ თანხას, რომლის შეტანა მრეწველობაში სახელმწიფოს შეუძლია.

ეს ჩვენი უდიდესი მონაპოვარია

ამხ. ანდრეევი ამბობდა, რომ ჩვენი პროფესიონალისტები მოითხოვენ მეურნეობის მუშაკებისაგან, რომ ის მუშათა ენერგია, რომელსაც მცირე ხელფასი ეძლევა და რომელიც სულ უფრო მეტს შრომის ინტენსივობას იჩენს, რაციონალურათ იყოს გამოყენებული მათ მიერ. მე ვფიქრობ, რომ პროფესიონალისტები სწორ გზას ადგებიან. ჩვენ მოვისმინეთ აქ სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს ავტორიტეტული განცხადება, რომ სამთომადნო მუშათა ც. კ-ის ბროშიურაში გამოთქმული აზრები არ წარმომადგენენ მხოლოთ საბედნიერო გამონაკლისს, არამედ, რომ ეს არის პროფესიონალისტების საერთო განწყობილება, მათი რწმენა, მათი სამოქმედო ხაზი. ეს უდიდესი მონაპოვარია, რომელიც მივიღეთ ჩვენ პარტიაში ამ დროის განმავლობაში **ჩვენი ხელმძღვანელ პროფესიონალისტების ასეთი განწყობილება, მათი აზრისა და ნებისყოფის მისწრაფება, რომელიც ასეთ პროგრამაში და მოთხოვნილებებში გამოიხატება, არის ჩვენი უდიდესი პარტიული მონაპოვარი.**

გაუფრთხილდით სავაჭრო „გლავკოპრატ"ს

ამხ. ნოგინმა რამოდენიმე კერძო შენიშვნა გააკეთა საფეიქრო მრეწველობის შესახებ იმ აზრით, რომ კალკულიაცია უმჯობესდება. მე ამას არ უარვყოფ. ამხ. ნოგინი ამბობს, რომ სინდიკატი იმ გზით მიდის, რომელიც წარმოადგენს პარტიის გეზს. რასაკვირველია, პარტიისთვის საამოა, რომ სინდიკატი მას უსწორდება. ც. კ-ის რეზოლიუცია ამბობს, რომ სინდიკატი საუცხოვო რამ არის და თავის დროზე იქ, სადაც სინდიკატის მოცულობა ბაზრის მოცულობას შეეფერება, სინდიკატს მართებს სავაჭრო ფუნქციების გაერთიანება, როდესაც მათი მოცულობა ბაზრის მდგომარეობით არის მომზადებული. მაგრამ როდესაც სინდიკატი წინ იჭრება, ის იქცევა სავაჭრო „გლავკოკრატიათ", გლავკოკრატიის უსასიზღრეს ფორმათ, ამხ. ლომოვი ჩივოდა, რომ კალკულიაცია ბრკოლდება. მართალია აქ გეგმიანი საფუძველია საჭირო. შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული კომისია მუშაობს და მე ვფიქრობ, რომ კომისია მიიღებს სათანადო შესწორებას.

ამის მოთმენა შემდეგში შეუძლებელია

რაც შეეხება ჩვენს ტიპოგრაფიულ მრეწველობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მასში არის უაღრესათ არა ჯანმრთელი გადახრა. ჩვენში ჩნდება საუცხოვო გამოცემები და სახელმწიფო გამომცემლობას აქვს ისეთებიც, რომლებიც სასიქადულო იქნებოდენ, ყოველ ევროპიელ გამომცემლობისათვის, ხოლო ყველაფერი, რაც მასებისათვის არის დანიშნული, ჩვენში უაღრესათ ცუდათ იხატება საღებავის, შრიფტის გარკვეულობის, შეცდომების რაოდენობის, ქაღალდის და აკინძვის მხრით. ამის მოთმენა შემდეგში შეუძლებელია, ამხანაგებო, (ტაში), და ჩვენი გაზეთი? მართალია როგორც ძველი მეგაზეთე მე არა ვარ სრულიად მიუდგომელი ამ შემთხვევაში. როდესაც მე ვმუშაობდი ამ მოხსენების მოსამზადებლათ, მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების შესამოწმებლათ მე ვკითხულობდი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ს. კარგი გაზეთია—რაღა დასამალავია. უყურებ, თითქოს არა უშავს-რა, მაგრამ დაიწყებ კითხვას,—ცოცხალი ციფრი არ არის, ვერ გაარჩევ,—3 თუ 5 თუ 8, პოლიგრაფიული მრეწველობა გვიპასუხებს—ციფრები დაძველებულიაო და სხვა. მაგრამ ჩვენ ვერ აღვადგენთ ჩვენს მრეწველობას, თუ ციფრებს ვერ გავაუმჯობესებთ გაზეთებისათვის. გაზეთები მასსებისთვის არსებობს და ეს კი სახუმრო საკითხი როდია. შეუძლებელია თავი შევაჩვიოთ სწორ აზროვნებას, ფაქტებისადმი ყურადღებას, თუ ჩვენი გაზეთი ასეთ საშუალებებით იუწყება ეკონომიურ ფაქტების შესახებ. სასტამბო საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება არის არა მარტო საპროპაგანდო იარაღის. არამედ თვალხედვითი აღზრდის შექმნაც. შეუძლებელია მასების აღზრდა ცუდ გაზეთების საშუალებით. (ტაში) მე მეტყვიან: ხომ არისო სასტამბო ტრესტიო. ტრესტია თუ სხვა რამ, ყოველ შემთხვევაში, თუ ტრესტი ვერ ისწავლის უკეთეს გაზეთების გამოცემას, სხვა საშუალებას მივმართავთ—რედაქციებს გადავცემთ სტამბებს. (ტაში). ცხადია, მეგაზეთე-ძმები ტაშს დამიკრავენ (სიცილი). ეს ჩემთვის მოულოდნელი არაა, ამხანაგებო. ამ საკითხის გამო მე ანკეტები დავაგზავნე, მივმართე ყველა გამომცემლობებს, გაზეთებს, თვით პოლიგრაფიულ ტრესტს კითხვით—როგორ შეიძლება საქმის უკეთ მოწესრიგება. ც. კ-ს არ აქვს განზრახვა დაადგინოს ტრესტის გაუქმება და სტამბების რედაქციებისათვის გადაცემა. ასეთი წინადადება ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ მე ვამბობ, რომ შესაძლებელია დაგვჭირდეს ამ გზაზე დადგომა, ვინაიდან სტამბები—თვით მიზანი კი არა, ეს არის ინსტრუმენტი უდიდეს საქმისთვის—პროპაგანდა აღზრდისათვის.

ტროცკის წინააღმდეგობა კი არ არის,—მრეწველობის წინააღმდეგობაა

ამხ. ლომოვი ბრალსა მდებდა მე ზოგიერთ წინააღმდეგობებში. ეს სასაცილო ანეკდოტია. ტროცკიმ,—სთქვა მან,—ბალანსი ვერ გაუკეთა თავის მოხსენებას. მან იმით დაიწყო, რომ პროდუქციის ფასი საშინლათ მაღალიაო, შემდეგ კი აღმოჩნდა რომ ზარალი მიგვიღია. როგორ იქნება ფასები მაღალიო, მაგრამ მრეწველობა საზარალოთ მუშაობს? ამხანაგო ლომოვო ეს ჩვენი მრეწველობის წინააღმდეგობაა და არა ტროცკის (სიცილი და ტაში). ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალიზმი სწორეთ ისე ვითარდებოდა, რომ საქონელი სულ უფრო და უფრო თავდებოდა, მრავლდებოდა, მაგრამ კაპიტალიზმი კი სულ უფრო და უფრო სქელდებოდა. აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. ჩვენი ძირითად კაპიტალთან, ჩვენი სამეურნეო იერარქიის ბაბილონის გოდოლთან, მუშათა ძალის არარაციონალურ გამოყენების პირობებში, ყოველ სახელოსნოში და ყოველ წარმოებაში მუშაობის არა რაციონალურ დაყენების გამო ჩვენი პროდუქციის თვითღირებულება 3-ჯერ, 4-ჯერ და 5-ჯერ მეტია; ვიდრე ომის წინ. ჩვენ ოთხჯერ უფრო ძვირათ ვყიდით, ვიდრე ომამდე, მაგრამ მაინც საზიანოთ. ეს ჩვენი წინააღმდეგობა არ არის. ეს არის ჩვენი ეხლანდელ მრეწველობის ძირითადი წინააღმდეგობა.

კოოპერაციას ჩვენ ვაკუთვნებთ დიდ მნიშვნელობას

ამხ. ხინჩუკი აღნიშნავს, რომ ჩვენ უყურადღებოთ დავტოვეთ კოოპერაცია. დიახ, ჩვენ ვცდილობდით ამ თეზისებში აუცილებელ საკითხების მინიმუმი განგვეხილა, მაგრამ მე მზათ ვარ ვაღიარო, რომ უფრო სწორი იქნებოდა, რომ ამ თეზისებში ჩვენ გამოგვეთქვა ნათელი და მკაფიო აზრი კოოპერაციის შესახებ, რათა მისი მოუხსენებლობა გაცემული არ იქნას ისე, თითქოს ამიერიდან კოოპერაციას ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ.

ჩვენი გამარჯვების ოთხი პირობა

ძირითად მოხსენებაში მე ვსთქვი, რომ ყველა ჩვენი იმედები სოციალისტურ მეურნეობის განვითარების შესახებ 4 ელემენტს ემყარებიან: პარტიის დიქტატურა, წითელი არმია, წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაცია და საგარეო ვაჭრობის მონოპოლია.

პარტიის დიქტატურა ჩვენ გამოვხატეთ უფრო მკაფიოდ, ვიდრე როდისმე რეზოლიუციაში ც. კ-ის მოხსენების გამო. წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაცია არის ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ძირითადი ფაქტორი. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია განმტკიცებულია ჩვენში არა მარტო პრინციპიალურად, არამედ პრაქტიკულადაც. წითელი არმია საკადრო რაოდენობამდე მიყვანილი უმჯობესდება და მაგრდება და ის შესძლებს ჩვენი უძლეველობის უზრუნველყოფას ისე, როგორც ვერ უზრუნველყოფს მას ვერავითარი სხვა ძალა.

საგადასახადო პოლიტიკა სოფლად

ამხ. კამენევის მოხსენება



ამხ კამენევი

ორი კლასის,—მუშათა და გლეხთა,—თანამშრომლობა—ბოლშევიზმის ძირითადი იდეიაა. რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც ამ თანამშრომლობის შედეგი.

მუშათა და გლეხთა კავშირი სწორი ფენილი კი არ არის, რომელზედაც ჩვენ დავსეირნობთ გლეხთან ხელი-ხელ ჩაკიდებული—საჭიროა გათვალისწინება გლეხურ სტიქიის მერყეობისა.

გლეხობის სიმძიმე შემსუბუქებული უნდა იქნეს. გლეხს ისე უნდა გამოვართვათ, რომ შემდეგ წელიწადში ის უფრო ღარიბი კი არა, უფრო მდიდარი იქნეს. ჩვენი გადასახადები მეფის გადასახადებზე ნაკლებია. ჩვენ მტკიცეთ და გაბედულათ ვიბრძოლებთ ყოველგვარ ფლანგების წინააღმდეგ.

პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულება—პროლეტარულ დიქტატურის ძირითადი საკითხია

ამხანაგებო! საკითხი საგადასახადო პოლიტიკის შესახებ სოფლათ უშუალოთ დაკავშირებულია საბჭოთა ქვეყანაში პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთი დამოკიდებულების საკითხთან. ეს საკითხი წარმოადგენს პროლეტარულ დიქტატურის ძირითად საკითხს და ამიტომ სრულიათ ბუნებრივია, რომ ყრილობა არა ერთხელ თითქმის ყველა მოსმენილ მოხსენებებში და კამათში სხვა და სხვა მხრით უდგებოდა ამ საკითხს. ჩემი ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სისტემაში ჩამოვასხა პარტიის შეხედულებები ამ საკითხზე ყრილობისა და მთელი გლეხობის სახის წინ, ავღნიშნო ის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური საფუძვლები, რომლებმაც მიიყვანეს პარტია გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ მთელ რიგ ზომებამდე.

ჩვენი წესწყობილება მუშათა და გლეხთა თანამშრომლობას ემყარება

ხშირათ შეიძლება შეხვდეთ ელემენტარულ და პრიმიტიულ შეხედულებას, რომლის თანახმათ, რაკი ჩვენში საბჭოთა რესპუბლიკაა, კლასები მოსპობილია და საკითხი კლასთა დამოკიდებულების შესახებ წესრიგიდან მოხსნილია. ეს შეხედულება, რასაკვირველია, შემცდარია. ყოველ პრაქტიკულ ღონისძიებას, ყოველ ზომას, ჩვენ, ჩემის ფიქრით, საფუძვლათ უნდა ჩაუდევათ ვლადიმერ ილიჩის მიერ გამოთქმული მარტივი ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენი სინამდვილის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის განმარტებას წარმოადგენს.

23 წლას 23 იანვარს თავის უკანასკნელ წერილში ვლადიმერ ილიჩი სწერდა: „ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში სოციალური წესწყობილება დამყარებულია ორი კლასის,—მუშათა და გლეხთა, — თანამშრომლობაზე, რომელთა გვერდით ამ ჟამათ ზოგიერთი პირობით ადგილი დაეთმო ბურჟუაზიასაც". უდიდესი შეცდომა იქნებოდა ვიფიქროთ, რომ ეს თანამშრომლობა მუშათა და გლეხთა შორის მხოლოდ ეხლა დაიწყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დამყარებით, ან თუნდაც 1917 წლიდან.

შეუგნებლობა იმის, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის თანამშრომლობის იდეია არის ბოლშევიზმის ძირითადი, კონსტიტუციონური, დასაწყისი იდეია ნიშნავს ბოლშევიკურ პარტიის ისტორიის უცოდინარობას. 1905 წლიდან მუშათა და გლეხთა თანამშრომლობის იდეია არის ბოლშევიზმის დამახასიათებელი თვისება. და ჩვენ ვერაფერს ვერ გავიგებთ კლასობრივ ბრძოლაში, ბრძოლაში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, თუ არ შევიგნებთ, რომ 20 წლის განმავლობაში,—1903 წ.—1904 წლებიდან დღეისამდე განსხვავება ჩვენსა და სხვა, ეგრედ წოდებული, სოციალისტურ პარტიებს შორის მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ დიდი ხანია ვიმეორებთ: **რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშათა და გლეხთა თანამშრომლობის შედეგი.** მენშევიკების ძირითადი ფორმულა კი, რომელიც უკვე 20 წლის არის, ამბობს: პროლეტარისთვის საჭიროა ბურჟუაზიასთან ერთათ სიარული, რადგან გლეხობა წარმოადგენს ეკონომიურათ ჩამორჩენილ, პატრიარქალურ ფორმაციას, რომელსაც არ შეუძლია ფართე ბაზის შექმნა მრეწველობის ფართე განვითარებისათვის, რომელზედაც მხოლოთ შეიძლება დაეყრდნოს პროლეტარიატის დიქტატურა.

ბოლშევიზმი კი ამბობს: სოციალური წესწყობილება, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, რომელიც ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენ გავიტანოთ იმ ხანამდე, როდესაც მოხდება რევოლიუციონური აფეთქება დასავლეთსა და აღმოსავლეთში—დაყრდნობილია მუშათა და გლეხთა თანამშრომლობაზე. ამ თანამშრომლობის ფორმები და შინაარსი რევოლიუციის პროცესში იცვლება. და ამხ. ლენინის ტაქტიკური გენიოსობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ესმოდა მუშათა გლეხთა კავშირის ფორმებისა და შინარსის ცვლილები და ყოველ საჭირო მომენტში ნიშანს გვაძლევდა იქედან წარმომდგარ საშიშროების შესახებ.

ჩვენი პირველი ხელშეკრულება—მიწის კანონია

ავიღოთ ოქტომბრის რევოლიუციის მომენტი. პირველი ხელშეკრულება, რომელიც დავდევით ჩვენ გლეხობასთან—მიწის კანონია. ვინაიდან ეხლა ეს პოლიტიკა ხელახლა ეჭვის ქვეშ ვარდება, რადგან გლეხობა, მისი მძიმე მდგომარეობის გამო, უცქერის ამ ყრილობას და ჩვენს პარტიას კითხვით: „იქნება თუ არა გაგრძელებული ის პოლიტიკა გლეხობის მიმართ, რომლის წარმომადგენელი იყო ამხ. ლენინი,"—მე მგონია, ცოდვათ არ ჩაგვეთვლება ის, რომ რამოდენიმე წუთით შევჩერდეთ გამარჯვებით დაგვირგვინებულ პირველ ხელშეკრულების ანალიზზე, რომელიც დასდო გლეხობასთან ჩვენი პარტიის სახელით ამხ. ლენინმა. კანონი მიწის შესახებ წარმოადგენდა იმ აგრარულ გადატრიალებისა და აგრარულ პროგრამმის განსახიერებას, რომლებიც შექმნილი იყვნენ ქვედა ფენებში თვით გლეხობის მიერ.

ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ეს აგრარული გადატრიალება იყო სწორეთ ის მიწის სოციალიზაცია, რომლის წინააღმდეგ ჩვენ ათეულ წლების განმავლობაში თეორეტიულათ ვიბრძოდით. თქვენ იცით, რომ ბატონმა ჩერნოვმა თავისი დამარცხების შემდეგ მთელ მსოფლიოს გასაგონათ დაიბღავლა: „ლენინმა მომპარა პროგრამაო". მართლაც ხომ არ იყო აქ გადახრა, ხომ არ შევმცდარვართ ჩვენ? ხომ არ მომხდარა მართლაც ოპორტუნისტული გაკოტრება? შედეგი მიღებულია და ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ ამ ჩვენი პირველ გადახრის მნიშვნელობა.

მტრებიც კი აღიარებენ, რომ პირველი ხელშეკრულება შესრულებულია

არ გვეკადრება საკუთარ თავის ქება, მაგრამ ჩვენ არასოდეს უარვყოფთ ჩვენი მტრების დაფასების მოსმენას. აი, ცნობილ ესერის, ბუნაკოვის წერილი, რომელიც ამოწმებს, რომ ის, რაც ჩამოყალიბებულია ჩვენი მიწის კოდექსში, როგორც ხუთი წლის აგრარულ რევოლიუციის შედეგი, როგორც ამ რევოლიუციის უდიდესი მონაპოვარი სავსებით შეესაბამება ცხოვრებას, გამოხატავს გლეხობის ნამდვილ მისწრაფებას და, ამ გვარათ ამაგრებს საბჭოთა ხელისუფლებას გლეხობის ნდობის საფუძველზე. „მიიღეთ მხედველობაში,—ამბობს ჩვენი გაფთრებული მტერი, ესერი ბუნაკოვი,—თავის საფუძველში მიწის კოდექსი გონიერია, ცხოველ მყოფელი და ანსახიერებს იმას, რაც ცხოვრების მიერ უკვე განხორციელებულია". მოვისმინოთ ეხლა რას ამბობს ამავე საკითხის შესახებ მილიუკოვის მიმდევარნი? ისინიც ლაპარაკობენ იმ უაღრესათ მნიშვნელოვან აქტზე, რომელსაც მიწის კოდექსი ეწოდება. ეს მეორე მოწმეც ამბობს, რომ ის „ოპორტუნისტული" გადახრა, რომელსაც, თავის ფორმის გამო, საშუალება მისცა ჩერნოვს ეთქვა: „ლენინმა მომპარა პროგრამაო"—სწორი იყო.

წავიდეთ შემდეგ, ავიღოთ მონარქისტი, რომელიც სწერს „ხრისტიანსკაია როსია"-ში და რომელიც მთელს თავის პოლიტიკას გლეხობისა და მუშათა კლასის გათიშვაზე ამყარებს, ვინაიდან განხეთქილება მუშათა და გლეხთა შორის ერთად ერთი იმედია, რომელზედაც აშენებენ თავის უტოპიურ ოცნებებს ჩვენი მოწინააღმდეგენი, რომელთაც თუნდაც ერთი მისხალი ჭკუა აქვთ. ისიც იმავეს ამბობს.

ჩვენი მტრების ჩვენება მოწმობს, რომ ვლადიმერ ილიჩის მიერ 1917 წლის 26 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება სისრულეში მოყვანილი, რომ მისი ნაყოფი გამოღებულია არა მარტო ჩვენი სოფლების რეალურ ცხოვრებაში, არამედ ჩვენს ეკონომიკაშიაც. ეს საკითხი გადაჭრილია—გლეხობაში ცხვირს ვერ შეჰყოფ. დაანებეთ თავი, ბატონებო, თქვენს იმედებს!

სასურსათო გადასახადი—მეორე ხელშეკრულებაა

მე გადავდივარ ეხლა მეორე ხელშეკრულებაზე, რათა ვკითხო ყრილობას: შეგვიძლია თუ არა ჩვენ გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი და უნდა გადავდგათ ის ჩვენ თუ არა? ჩვენ ვიცით, რომ ამ ხელშეკრულებას ქვია სასურსათო გადასახადი, რომელმაც გაწერის (რაზვიორსტკის) ადგილი დაიჭირა. გლეხობასთან იმ დამოკიდებულების დაწესებას წარმოადგენს, რომელზედაც დამყარებულია პროლეტარიატის დიქტატურა. ჩვენი ხელშეკრულების საფუძველი: არა მრეწველობის დიქტატურა, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი, ის, რომ პროლეტარები ხელმძღვანელობას უწევენ გლეხობას.

დიდი შეცდომაა, ამხანაგებო, რომლებიც ფიქრობენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის ბურჟუაზიასთან შეთანხმება. ახალი ეკ. პოლიტიკა არის შეთანხმება არა ბურჟუაზიასთან, არამედ გლეხურ წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიასთან, რომელსაც, რასაკვირველია, შეუძლია ისტორიაში წარმოშვას მსხვილი კაპიტალიც. და ჩვენ დიდ შეცდომას დაუშვებდით, თუ ერთმანეთისაგან ვერ განვასხვავებდით წვრილ ბურჟუაზიას და გლეხის წვრილ ბურჟუაზიულ ბუნებას. ახალი ეკ. პოლიტიკა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩვენ შევითვისეთ ბურჟუაზიული კალკულიაცია და ანგარიში, არამედ იმაში, რომ ჩვენ შევქმენით ბაზარი და ამ ბაზარზე ეხლა გლეხობის მილიონი ფუთი პური ტრიალებს. აი რაშია ახალი ეკონომ. პოლიტიკა. **ამ პოლიტიკის საშიშროება იმაშია, რომ წვრილ-ბურჟუაზიულ გლეხურ სტიქიაში შეუძლია განვითარდეს და ვითარდება ბურჟუაზიული დამოკიდებულებები.** ამ საშიშროებისაკენ გვითითებდა ჩვენ ხელშეკრულების პირველ მომენტიდანვე ამხ. ლენინი. ეს საშიშროება ამხ. ლენინმა დაადასტურა თვის უკანასკნელ წერილშიც. ჩვენ რომ იმ დასკვნამდე მივსულიყავით, რომ წვრილ მრეწველობის ელემენტები გაზრდისთანავე ეკონომიურ აუცილებლობის ძალით ჩვენ წინააღმდეგ გაიმართებიან და ჩვენი სოციალურ მტრებათ გახდებიან, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი საქმე ცოტა თუ ბევრათ ცუდია. ვლადიმერ ილიჩი მართალსა სწერს, რომ ჩვენს წესწყობილებაში არ არის საფუძველი განხეთქილებისათვის. ჩვენი სოციალური მტერია—ვაჭარი, მევახშე, ის, რომელიც გლეხურ წარმოებას აერთიანებს და გარკვეულ სოციალურ ძალათ აქცევს.

უნდა გავითვალისწინოთ წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის მერყეობა

და აქ დგება საკითხი, როგორ ავაგოთ გადასახადი ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ წვრილ მრეწველს, ხელოსანს, რომელთა წარმოება არის პროლეტარულ ძალის გადიდება, არამედ დავაზიანოთ ის, ვინც სავაჭრო და სავახშო კაპიტალის საშუალებით ამონავებს, როგორც პოლიტიკური ექსპლოატატორი, ამ ფეხზე ამდგარ წვრილ მრეწველს.

თუ ვლადიმერ ილიჩი მართალია, რომ ჩვენ წესწყობილებაში არ არის საფუძველი განხეთქილებისათვის, რომ ის მდგომარეობა, რომელიც იქმნება ამ წესწყობილებაში, არ არის მიმართული პროლეტარულ დიქტატურის წინააღმდეგ,—ყოველ შემთხვევაში მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს საფუძველი წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის მერყეობისთვის. ეს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ. წვრილ ბურჟუაზიულ მასსების მერყეობა—მათი ნიშანდობლივი თვისებაა. ჩვენ იმ ხანაში შევდივართ, როდესაც ეს მერყეობა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკისა და ეკონომიკის საზომათ ხდება. გლეხობა, რომელიც იზრდება, მუდამ გამოგვცდის და გვკითხავს ხოლმე: ვინ მისცემს მას კრედიტს, ვინ მისცემს მას ექსპორტის საშუალებას, ვინ მისცემს მას კარგ ფასს პურში და იაფ ლურსმანს. და იმისდა მიხედვით, როგორი იქნება პასუხი ამ კითხვებზე წვრილ-ბურჟუაზიული მასა ხან ჩვენ მოგვემხრობა, ხან ჩამოგვცილდება. ეს მერყეობა ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, თუ გვსურს რეალისტებათ დარჩენა, თუ არ გვსურს ჩვენი ისტორიული გზა და მუშურ-გლეხური კავშირი წარმოდგენილი გვქონდეს როგორც სწორი ფენილი, რომელზედაც მსუბუქათ ვივლით გლეხთან ხელი ხელ გამოდებული. რასაკვირველია, ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია უყუროთ ამ მერყეობას, მაგრამ თუ ჩვენ კმაყოფილებით ვკითხულობთ, თუ როგორ აღიარებს მტერი ჩვენს გამარჯვებებს მთავარ ფრონტზე—აგრარულ ფრონტზე, საჭიროა ისიც გავიგოთ, თუ რას ემყარება მტრების იმედები. მათ იმედი აქვთ, რომ გლეხი, რომელმაც უკვე მიიღო მიწა, განთავისუფლდა მეფის გადასახადებისაგან, წელი გაიმაგრა, გაძღა, რომელიც თავისუფალი იქნება ომის სიმძიმისაგან, იტყვის: „კეთილ ინებეთ და შესცვალეთ თქვენი კომუნისტური პოლიტიკაო".

საჭიროა გლეხის მდგომარეობის შემსუბუქება

უახლოვდებით რა საკითხს—გვმართებს თუ არა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი მუშათა და გლეხთა შორის დადებულ ხელშეკრულების განსახორციელებლათ, როგორ მოვაწესრიგოთ გადასახადი ისე, რომ ჩვენი მტრების იმედები არ გამართლდენ,—ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ: არის თუ არა იმის სიმპტომები, რომ ხვრელი მუშურ სახელმწიფოსა და გლეხობის შორის ფართოვდება. უნდა ვთქვათ, რომ ამ ჟამათ ეს ხვრელი უმნიშვნელოვანესი გარემოებას წარმოადგენს და როდესაც მე და თქვენ თვალყურს ვადევნებთ ცხოვრებას, ადგილობრივი პრაქტიკა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქ რაღაც საჭიროა, საჭიროა ერთი რამის საჩქაროთ გაკეთება. აი აქ გამოჩნდა ვლადიმერ ილიჩის ტაქტიკური გენიოსობა და წინდახედულობა. მან სთქვა, რომ ორი წლის წინეთ გლეხობასთან დადებული ხელშეკრულება ზოგიერთ შესწორებებს და დამატებებს მოითხოვს—გლეხობის მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

და თუ ჩვენს პარტიაში ჯერ არ არის საკმაოთ შეგნებული, რომ გლეხობასთან დამოკიდებულების სფეროში საჭიროა ზოგიერთ გადამწყვეტ ნაბიჯების გადადგმა, ამ შემთხვევაში საკმაო იქნება ვლადიმერ ილიჩის შენიშვნების მოყვანა რომლებიც შემდეგში მდგომარეობს: გახსოვდეს, პროლეტარო, გლეხი, გაუსწორდი მის გლეხურ ძალას; გახსოვდეს, რომ ჩვენი ჯაჭვი, რომელიც ამაგრებს საბჭოთა რუსეთის მთელს შენობას, არის კავშირი გლეხობასთან, გახსოვდეს, რომ ეკონომიურათ და კულტურულათ განსაკუთრებით სუსტი თვალია ამ ჯაჭვში გლეხობა, ნუ დაატან ძალას იმ თვალს, ხშირათ მიუგდე ყური—რა ხდება ამ ადგილას, ამიტომ, ამხანაგებო, ჩვენთვის სრულიათ ცხადი გახდა შემდეგი ნაბიჯის აუცილებლობა. **ჩვენ უნდა შევამსუბუქოთ და შევამსუბუქებთ კიდეც გლეხობის მონაწილეობა იმ სიმძიმეში, რომელსაც მხრებზე ატარებს ქვეყნის მთელი მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების გასამაგრებლათ და მრეწველობის განსავითარებლად, საჭიროა გლეხობასთან დადებულ ხელშეკრულების გადახედვა და მისი გაუმჯობესება; საჭიროა შევუხოთ გლეხობის მდგომარეობას.**

ვისი გეზია უფრო სწორი

დგება საკითხი: შეგვიძლია თუ არა ჩვენ გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქება მისი ხარჯების იმ ნაწილის მოხსნით, რომელსაც ის იძლევა მთელი სახელმწიფო შენობის გასამაგრებლად? ამხანაგებო, ამხ. ლარინმა სთქვა, რომ საჭიროა მოქცევა წინააღმდეგ, საჭიროა ამ ნაწილის გადიდება. ლარინის მთელი წიგნი მე, რასაკვირველია, არ წამიკითხავს, მაგრამ მე წავიკითხე წიგნის ის თავი, რომელსაც ეწოდება: „სოფლის დაბეგვრა და პურის ფასები". და უნდა ვთქვა: აქ გამოთქმულია უდიდესი პოლიტიკური შეცდომა, როგორიც შესაძლებელია ჩაიდინა ჩვენს პარტიას 1923 წლის გაზაფხულზე.

ვის დაუჯეროთ? ამხ. ფრუნზეს, რომელმაც ადგილზე ალლო აუღო მდგომარეობას და ნიშანს იძლევა საშიშროების შესახებ: „სჩანს ჩვენ გადავლახეთ ის ეკონომიურ საზღვარი, რომელიც პოლიტიკურათ დასაშვებია" თუ ამხ. ლარინს დაუჯეროთ, რომელმაც ასეთი მსხვილი წიგნი დასწერა და რომელიც ამბობს: „გლეხობა თითქმის არავითარ ტვირთს არ ატარებს, მოდით გავადიდოთ ეს ტვირთიო". აი, უნდა ავირჩიოთ სწორი ხაზი. გავყვეთ ლენინის ხაზს, რომელიც ამბობს: „ჩვენ ვზივართ გალატაკებულ და დაჩაჩანაკებულ გლეხის ცხენზეო" თუ ამხ. ფრუნზეს მიერ ნაჩვენებ გზას, რომელიც ამბობს, რომ „რაღაც საზღვარი გადალახულიაო", თუ კიდევ ამხ. ლარინის ხაზს?

უნდა გაუსწორდეთ გლეხურ ძალას

როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ ამ გადასახადის ზომის შესახებ, ჩვენ წინ საკითხი ნათლათ იდგა: ეკონომიურათ ჩვენთვის აუცილებელი იყო სახსარი, მაგრამ პოლიტიკურათ ჩვენ ანგარიში უნდა გაგვეწია გლეხურ ძალისათვის, რესპუბლიკის საშუალებები 1922 წ.—1923 წ. საერთო ბიუჯეტით გამოიხატებოდა ერთ ნახევარ მილიარდ ოქროს მანეთით.

სასოფლო მეურნეობიდან ჩვენ ვიღებდით სახელმწიფო ხარჯების 25 პროც-ს. დანარჩენი მიღებული იყო: თითქმის ამდენივე ემისიიდან და დანარჩენი ვაჭრობა-მრეწველობის, ტრანსპორტის, სახელმწიფო წარმოებების მოგებიდან და სხვ.

პირდაპირი გადასახადის სახით ჩვენ გამოვართვით გლეხობას 250 მილიონი მან., ე. ი. მთელი სახელმწიფო ხარჯების 17 პროც. შეტანილი იყო არა გლეხობის მიერ საზოგადოთ, არამედ გლეხობის პირდაპირი გადასახადით. როგორი იქნება ჩვენი ბიუჯეტი 1923 — 1924 წელში. ფრთხილი ანგარიშით და ყოველგვარ შემცირებით, ჩვენ თითქმის იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ აუცილებლათ საჭირო ხარჯები მომავალ საბიუჯეტო წელს 2,000,000,000 მიაღწევს.

ეს არის მეფის ბიუჯეტის ნახევარი. თუ ვფიქრებთ, რომ ამ საერთო გასავალში გლეხობა შეიტანს 420 მილიონ მანეთს ოქროთი, ეს შეადგენს ყველა სახელმწიფო ხარჯების 21 პროც. ამ გვარათ შარშან 17 პრ. წელს კი—21 პროც მართალია ამისათვის არსებობს საფუძველი, მაგალითად, ნათესების გადიდებაში. ნათესის გადიდება წელს დაახლოვებით შეადგენს 15 16 პროცენტს და ამის და მიხედვით გლეხობის წილი საბჭოთა სახელმწიფოს ხარჯებში, რასაკვირველია, უნდა გაიზარდოს.

თუ წარმოვიდგენთ, რომ გლეხობამ მარტო პირდაპირი გადასახადით უნდა შეიტანოს სახელმწიფო ხარჯების 21 პროც., ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხობა აძლევს სახელმწიფოს მთელი სასოფლო-მეურნეობის წმინდა პროდუქციის 10 პროც. ჩვენ ამას ყუ-

რადღება უნდა მივაქციოთ და ავწონდავწონოთ—შეუძლია თუ არა გლეხობას გადაიხადოს ეს გადასახადი, ხომ არ არის ის მისთვის მეტად საძნელო? რასაკვირველია, ჩვენი მოთხოვნილებები კოლოსალურია. მაგრამ ამხ. ლენინმა სთქვა: „ამის შესახებ მე მინდა გაგაფრთხილოთ და ეს გლეხობასაც ეცოდინება, რომ მიუხედავათ მთელი ჩვენი გაჭირვებისა, ჩვენ გაუსწორდებით გლეხის ძალას და ამიტომ ჩვენ ყოველთვის ვიანგარიშებთ ისე, როგორც ანგარიშობს ხელმომჭირნე მეურნე **და გლეხს გამოვართმევთ იმდენს, რომ ის შემდეგ წელიწადში უფრო ღარიბი კი არა,—უფრო მდიდარი გახდეს“.**

ახალი გადასახადი გლეხობის ძალებს შეეფერება

როგორ მოვახერხოთ ეს? აი ის ციფრები, რომლებიც ჩემს განკარგულებაშია და რომლებიც მე საერთოთ სწორათ მიმაჩნია. ისინი ამბობენ, რომ გლეხურ მეურნეობის პროდუქცია, შინაურ პირუტყვის კვებისა და თესლის გამოკლებით, წელს მოგვცემს ჩვენ 4.000.000.000 მანეთს ოქროთი. ეს არის სასოფლო მეურნეობის ომის წინანდელ პროდუქციის 70 პროც. ომამდე,—და ეს საჭიროა დაიმახსოვრონ ჩვენმა აგიტატორებმა გლეხობაში და თვით გლეხობამაც,—ვაჭრები და თავად-აზნაურობა ართმევდენ გლეხობას სხვა და სხვა სახით მთელი პროდუქციის 20 პროცენტს, და თუ ჩვენ გვსურს ჩვენს მდგომარეობაში იგივე ნორმა დავტოვოთ, რომელსაც იტოვებდა აზნაურის, ვაჭრისა და მემამულის კავშირი, მაშინ ჩვენ უნდა ჩამოგვერთვა გლეხობისაგან მთელი პროდუქციის 20 პროც. ე. ი. 800 მილიონი ოქროთი, მაგრამ შევხედოთ საქმეს მეორე მხრიდან. შეუძლია თუ არა გლეხობას მოგვცეს ჩვენ პირდაპირი გადასახადის სახით 420 მილიონი მანეთი ოქროთი? გლეხობამ, როგორც ბიუჯეტიდან სჩანს, უნდა იყიდოს საცხოვრებლათ ქალაქის მრეწველობის სხვა და სხვა საგანი და საქონელი არა ნაკლებ 500.000.000 მანეთზე. მაშასადამე მთელი პროდუქციიდან მან უნდა გაიღოს პირდაპირი გადასახადების სახით 420.000.000 მან. და 500.000.000 მან. ყოველგვარ ქალაქის საქონლის საყიდლათ დაწყებული ასანთის, ნავთის, მარილიდან და სხვ. მაშასადამე ყველაფერი, რაც მან უნდა დახარჯოს თავისი მეურნეობიდან დაახლოვებით 1 მილიარდი ოქროს მანეთით გამოიხატება, მაგრამ იმავე დროს მთელი მეურნეობიდან ის იღებს 4 მილიარდ მანეთს ოქროთი. გლეხობამ უნდა გაიღოს 1 მილიარდი მანეთი სახელმწიფოს წინაშე თავის ვალის მოსახდელათ და რაც მას შეეძლოს შეიტანოს თავის მეურნეობაში ქალაქის მრეწველობის მისთვის საჭირო პროდუქტები.

1921—22 წელში მთელი ის სახსარი, რომლებიც გლეხს შეეძლო გამოეყო მეურნეობიდან გადასახადისათვის და მრეწველობის პროდუქტების შესაძენათ, 700 მილიონი მანეთით აღირიცხებოდა. წელს კი, ჩვენი ანგარიშით, გლეხობამ უნდა გამოჰყოს ამისათვის 700 მილიონი კი არა,—1 მილიარდი მანეთი ოქროთი, ე. ი. 300 მილიონით მეტი. და აი—პოლიტიკური საკითხი: შესძლებს თუ არა გლეხობა მეურნეობის შეურყევლათ, პირიქით, მისს აღდგენასთან ერთად, გაუძლოს დამატებით სიმძიმეს 300 მილიონი მანეთის სახით? ჩვენის აზრით, ნათესების გაფართოების გამო, მეურნეობის დაწინაურების, საზღვარ გარეთ პურის გაზიდვისა და ქალაქის გაზრდის გამო გლეხობის სასყიდლო უნარიანობა იმდენათ გაიზრდება, რომ ახალი გადასახადი, სახელმწიფო ხარჯებში გლეხობის წილის გადიდების პირობებშიაც კი. შეეფერება მის ძალებს და გლეხობა ამ გადასახადის მოხდით, არა თუ უფრო ღარიბი გახდება, ვიდრე ის იყო შარშან, არამედ გამოვა ამ კამპანიიდან გაძლიერებულ სამეურნეო რესურსებით.

უნდა გამოვძებნოთ შესამსუბუქებელი ზომები

მაგრამ ჩვენ უნდა უთხრათ ჩვენ თავსა და გლეხობას: გადახედვა ჩვენი პოლიტიკურ—ეკონომიური ხელშეკრულების იმ მიზნით, რომ შევამციროთ გადასახადი—ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენ არ ვთაღლითობთ, გლეხობას პირდაპირ ვეუბნებით: მე და შენ მეტათ მძიმე პირობებში თავზე ავიღეთ ქვეყნის აშენების ამოცანა მემამულეთა და კაპიტალისტების გარეშე, ეს მოითხოვს მსხვერპლს, მუშა იღებს მსხვერპლს. მისი შრომის არა საკმაო ხელფასის სახით, გლეხს მოაქვს მსხვერპლი ნატურალურ გადასახადის სახით, და საერთო თანხის შემცირება, როგორც ის აბსოლიუტურ ციფრებში გამოიხატება, ჩვენ არ შეგვიძლია მაშინ, ჩვენ უნდა გამოვნახოთ ამ საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების სხვა ფორმები და ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომუნისტური პარტია ამ ნორმებს გამონახავს და ცხოვრებაში გაატარებს.

ნატურალური თუ ფულით გადასახადები

პირველი შემსუბუქება, რომელსაც გიდგენთ განსახილველათ მდგომარეობს იმაში, რათა ნატურალურ გადასახადს მივცეთ თუნდაც ნაწილობრივ ფულით გადასახადის ფორმა. ეს ნიშნავს გლეხისათვის უფრო მეტი შესაძლებლობის მინიჭებას ვიდრე, დღემდე მოიხმაროს თავისი შრომის პროდუქტები. ეს არ არის წმინდა ფინანსიური ოპერაცია. გადავდიოდით რა 21 წელში სასურს. გაწერიდან სასურსათო გადასახადზე, ჩვენ ვამბობდით: „შემოიტანე სახელმწიფო გადასახადი ნატურით, დანარჩენს შენ თვით მოიხმარ“. ეხლა ჩვენ ვამბობთ: „ჩვენ ვაფართოებთ შესაძლებლობას გლეხისათვის, მოიხმაროს თავისი შრომის პროდუქტები იმით, რომ ვაძლევთ შესაძლებლობას შეიტანოს ფულად ის რაც საჭიროა შემდეგ ეს შეცვლა ანთავისუფლებს გლეხს დამატებითი ხარჯებისაგან, რომელიც თან სდევდა გადასახადის ნატურით გადახდას.

ნატურალურიდან ფულით გადასახადზე გადასვლა არ არის ფინანსიური, არამედ იგი არის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიება. ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება ტეხნიკურ კულტურას და გავითვალისწინოთ, როგორ მდგომარეობაშია ნათესები, რომელიც იძლევა ნედლ მასალას ჩვენი მრეწველობისათვის სელით იყო დათესილი 1916 წელს 1.000.000 დესეტინა; კანაფით. 16 წელს—დაითესა 584.000 დესეტინა, 22 წელს—173.000 დესეტინა; ბამბით 16 წელს—500.000 დეს.—22 წელს—50.000 დესეტ.

თუ ავიღებთ რძის მეურნეობას, აღმოჩნდება, რომ 16 წ. მსხვილ-ფეხა საქონელი იყო 50.000.000 სული, 21 წელს 38.000.000 სული, 22 წელს—33.000.000. ტეხნიკურ კულტურის შემცირებას, მსხვილ-ფეხა საქონლის რაოდენობის შემცირებას, გლეხის მეურნეობის ნატურალიზაციას დაჰყავს ეს მეურნეობა მომხმარებითი მეურნეობის დონემდე. ვაძლევთ რა გლეხს საშუალებას, შეიტანოს გადასახადი არა ნატურით, არამედ ფულით, ჩვენ ამით ვაძლევთ საშუალებას უფრო შეეგუოს ბაზარს, გადავიდეს მაღალ კულტურაზე, სადაც ამისათვის მოიპოვება შესაფერი პირობები. ბოლოს ფულით გადასახადზე გადასვლა გაზრდის მოთხოვნილებას ჩვენ საბჭოთა ფულის ნიშნებზე სოფლად.

ეხლა გლეხი იხდის გადასახადს პურით და ამიტომ ჩვენი საბჭოთა ფულები მას უმეტეს შემთხვევაში არ ესაჭიროება. გამოდის, რომ ჩვენ თვითონ უცხადებთ ბოიკოტს საბჭოთა ფულებს.

ბაზარზე ფულის ტრიალი, გლეხთა მეურნეობის ფულის ოპერაციები მცირდება. გლეხობა არ უყურის თავს ჩვენ ფულებს იმ ზომამდე, როგორც ეს საჭიროა. ხოლო ამავე დროს მტკიცე, ნამდვილი საბჭოთა ფული არის მთავარი, რასაც დღეს გლეხობა მოითხოვს ჩვენგან როდესაც გლეხს სურს გაჰყიდოს პური, მან უნდა გაჰყიდოს იგი მანეთად, რომელიც არ წარმოადგენს დღეს დაგროვების საშუალებას იმიტომ, რომ მისი ფასი ერთი კვირის შემდეგ დაეცემა და გლეხს ზარალი მოუვა.

ასეთ პირობებში ჩვენი მანეთი არის აგიტატორი ჩვენ წინააღმდეგ. ქალაქის ხელისუფლების წინააღმდეგ. ხოლო მტკიცე საბჭოთა მანეთი, რამდენადაც იგი განმტკიცდება, იქნება მთავარი აგიტატორი სოფლად ჩვენ სასარგებლოთ. ფულადი ქაღალდები სოფლის პოლიტიკურ განათლების მხრივ იძლევა უფრო მეტს, ვიდრე რომელიმე სპეციალური პოლიტიკური წიგნაკი.

ქვეყნის გაჯანსაღების პროცესი უნდა დაიწყოს გლეხისაგან და ჩვენ ყოველი ძალ-ღონით უნდა ვიაროთ ამ გზით.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს რომ აქ არ შეგვიძლია ავჩქარდეთ. გლეხს არ შეუძლია გადაიხადოს ფული იმ გვარად, როგორც ეს ჩვენთვის სასურველი არის, რადგან მას არ აქვს ეს ფულები გადასახადი არის სახალხო მეურნეობის უდიდესი რეგულიატორი—ეს მართალია, მაგრამ თუ ჩვენ წარუდგენთ გლეხობას მოთხოვნილებას შემოიტანოს გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილი ფულით, მაშინ გლეხობას არ შეეძლებოდა პირწმინდათ გადაეხადა, მას არ შეუძლია ერთბაშად გადავიდეს მეურნეობის ნატურულ ფორმებიდან ფულის ფორმებზე, რომელზედაც ის უსათუოთ გადადის. აქ საჭიროა ის მოქნილობა, რომელიც ახასიათებდა და მომავალშიაც უნდა ახასიათებდეს საბჭოთა ხელისუფლებას.

გადასახადების გაერთიანება

მეორე შემსუბუქება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივსცეთ გლეხობას და კიდეც უნდა მივსცეთ,—ეს არის გადასახადების გაერთიანება. მრავალ გადასახადების ნაცვლად, რომლის დროსაც სამი ორგანო მიდის გლეხთან ამ გადასახადების მისაღებად სხვა და სხვა გადასახადების შემოღების მოულოდნელობის ნაცვლად, ადგილობრივ საგადასახადო შემოქმედების ნაცვლად, ჩვენ უნდა შემოვიღოთ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. წინასწარ შემუშავებული ციფრით წელიწადში ერთხელ პროლეტარულმა მეურნეობამ უნდა წარუდგინოს თავისი მოთხოვნილება გლეხს. გლეხმა, წელიწადში ერთხელ სრული გარანტიით, რომ წლის განმავლობაში მას აღარ შეაწუხებენ, უნდა იცოდეს თავისი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. ეს გადასახადი უნდა იყოს პირდაპირი და პროგრესიული. პროგრესიული იმ მხრივ, რომ გადასახადის გაწერის დროს ჩვენ მხედველობაში ვიღებთ გლეხის მეურნეობის ძალას, გამოვყოფთ რა ყველა იმ ობიექტებს, საქონელს, ნათესი არეს, მეწველთა რაოდენობის და მოსავლიანობის სახით, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაწეროთ გადასახადი. უფრო მდიდარ და უფრო ღარიბ გლეხებათ დაყოფა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში უფრო გაიზრდება და ამიტომ ჩვენი გადასახადი უნდა იქნეს აშენებული იმგვარად, რომ იგი იცავდეს ღარიბებს და ამავე დროს უფრო მეტად მდიდრების დაბეგვრით არ შევასუსტოთ გლეხის ინტერესი მისი შრომის ნაყოფიერების გაზრდისადმი.

ჩვენ სოფელშიაც კი შევკვეცავთ კაპიტალისტურ დაგროვების უსაზღვრო სურვილს, მაგრამ შევკვეცავთ გონივრულად, და არ დავივიწყებთ იმას, რასაც ამბობდა ამის გამო ამხ. ლენინი: „ეხლანდელ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში უნდა გამოვდიოდეთ გლეხის პირადი ინტერესებიდან ნათესების გადიდების, კულტურის გაუმჯობესების და სხვ. მხრივ“.

ჩვენი გადასახადები ნაკლებია მეფისაზე

უკანასკნელი საკითხი, რომელიც ამ დარგს ეკუთვნის ეს არის ის, რომ ჩვენ მივდივართ სოფელში ეხლა პირდაპირი გადასახადებით და ეს მოითხოვს ჩვენი პარტიისაგან ყველა ჩვენი საგიტაციო ძალების დაძაბვას. ჩვენ უნდა განუმარტოთ გლეხობას, რომ პირდაპირი გადასახადები, თუმცა ისინი უფრო მეტია იმ პირდაპირ გადასახადებზე, რომელსაც წინად იხდიდა გლეხობა, მაგრამ იგი საერთო ჯამით გაცილებით ნაკლებია იმაზე, რასაც გლეხობა იხდიდა ძველი წესწყობილების დროს პირდაპირი არაპირდაპირი და უმთავრესად არაყზე გადასახადების სახით. დეე თვითეულმა გლეხმა იცოდეს, რომ ჩვენ სოფლის მცხოვრებთა თვითეულ სულს ვახდევინებთ პირდაპირი გადასახადის სახით 2 მან. და 50 კაპ. მაშინ, როდესაც მხოლოდ არაყზე გადასახადი წმინდა მოგება არაყისაგან 1912 წელს უდრიდა 2 მ. და 27 კაპ. პროლეტარული სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების სახით მოითხოვს გლეხისაგან იმისათვის, რათა დაიხმაროს და განამტკიცოს გლეხთა მიწა გლეხების ხელში, ძალაუფლება მშრომელთა ხელში, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, მშრომელთა პირველი გამარჯვება კაპიტალზე, მხოლოდ იმ თანხას, რომელსაც გლეხობა იძლეოდა წმინდა მოგების სახით არაყში. აი განსხვავება, რომელიც მდგომარეობს ჩვენ პირდაპირ გადასახადს და არაყზე გადასახადს შორის. თვითეულ სათემო აღმასკომში უნდა იქნას დაწერილი, რომ არაყისაგან წმინდა მოგება 1903 წელს უდრიდა 40 მილ. ოქრ. მან. ხოლო 1913 წელს, ათი წლის შემდეგ—690 მილ. მან. ე. ი. 10 წლის განმავლობაში ეს მოგება გაიზარდა 75 პროც. აი როგორი პროგრესით იზრდება და გადასახადი, რომელსაც გლეხობა აძლევდა მეფეს. გლეხმა უნდა განუმტკიცოს თავის თავს, რომ რას აძლევს მუშათა და გლეხთა მთავრობას სახალხო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რას აძლევდა წინად მეფეს. აი პატარა ცხრილი, რომელიც გვიხატავს გლეხთა გადასახადებს 1912 წ. 43 გუბერნიაში, რომელნიც დღეს შეადგენენ საბჭოთა რუსეთს პოლონეთის და ამ გუბერნიების გარდა, რომელნიც გადავიდენ ლიტვაზე, ესტონეთზე და სხვ. პირდაპირი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები, რომელსაც გლეხი იხდიდა 1912 წ. უდრიდა 145 მილ., წმინდა გადასახადის სახით, არაყზე—300 მილიონი; ნასყიდობის და იჯარით აღებულ მიწის გადასახადი მემამულეებს, ბანკებს და ვაჭრებს უდრიდა—340 მილ; სულ მემამულეს, ხაზინას და ბანკს გლეხი აძლევდა 1912 წელს 43 გუბერნიაში —800 მილ. მანეთს აქედან სჩანს რომ 1912 წელს ყოველ მესამე ძნას გლეხი აძლევდა მემამულეს, ხაზინას ან ვაჭარს.

ჩვენ არა მარტო მივეცით გლეხს მიწა, ჩვენ გავანთავისუფლეთ გლეხი ვალებისაგან. და ამის დავიწყება არ შეიძლება, რადგან დღეს რომ გლეხობა ყოფილიყო ბატონ მილიუკოვების და კერენსკების ბატონობის ქვეშ, მაშინ მას მხოლოდ ამ ვალების პროცენტები უნდა გადაეხადა 4-ჯერ მეტი, ვიდრე მთელი სასურსათო გადასახადი, რომელიც წელს იყო შეკრებილი, რაც დაახლოვებით იქნებოდა 40 ოქროს მანეთი ოჯახზე ყოველწლიურად.

პურის ექსპორტი

და ბოლოს, ამხანაგებო, მესამე შემსუბუქება უნდა იყოს შემდეგი: საბჭოთა სახელმწიფომ ხელახლა უნდა დაიპყროს (მე ვამბობ აქ არა ომზე, იარაღით ხელში დაპყრობაზე) თავისი ზეგავლენით, ეკონომიური ხერხით, თავისი დიპლომატიის ზეგავლენით, გლეხის პურისათვის ის საზღვარ გარეთელი ბაზრები, რომელიც იმპერიალისტურმა ომმა წაართვა მას. ჩვენ არ გავიტანთ რა თქმა უნდა, უცხოეთის ბაზარზე, იმ პურს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშრომელ ხალხს ესაჭიროება, მაგრამ ვიცით რა ჩვენი ბაზარი, ვიცით რა, რამდენი პურის გატანა შეუძლია გლეხობას ამ ბაზარზე, ჩვენ აბსოლიუტურად ვრწმუნდებით, რომ საჭიროა გლეხობისათვის საზღვარ-გარედ გატანა. რას ნიშნავს, სინამდვილეში პურის ყიდვა წვრილ მწარმოებელთაგან, რომელნიც გაბნეული არიან მთელ ქვეყანაზე, რას ნიშნავს ამ პურის შეკრება, გადატანა, საზღვარ გარეთ მოგებით გაყიდვა და ამ ფულით საჭირო პროდუქტების შეძენა მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღსადგენად? არ მოითხოვს განა ეს არა მარტო სასურსათო სახ. კომის, არამედ კოოპერაციის და „პურის პროდუქტის“ შეთანხმებულ მუშაობას? არ მოითხოვს განა ეს სახელმწიფო ბანკის პირდაპირ მონაწილეობას ამ ოპერაციებში—ფინანსების მიცემის სახით. არ მოითხოვს განა ეს ყველა ჩვენს რკინის გზების გამოყენებას ამ ამოცანის შესრულებისათვის? არ მოითხოვს განა ეს განსაზღვრულ მუშაობას ნავთსადგურებში, ელევატორებში და სხვ.? ეს ის გეგმაა, რომელშიაც ყველა დაწყობული სოფლის პატარა კოოპერატიულ იაჩეიკებიდან, გათავებული სახელმწიფო ბანკით, რკინის გზის უწყებით, და ყველა ცენტრალური დაწესებულებებით, შეკავშირებული უნდა იყონ და იმოქმედონ, როგორც საათის მექანიზმი, იმისათვის, რომ გლეხობამ იცოდეს, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობა იმსახურება გლეხობის ინტერესებს. თუ ჩვენ ამ გეგმას შევასრულებთ და წელს დავამტკიცებთ, რომ გლეხის პურის გაყიდვის საქმეში ჩვენ ვართ სწორი მექანიზმი და გლეხობის ერთგული მოსამსახურე, და რომ გლეხობისათვის საჭირო არ არის მიმართოს კერძო შუამავალს, მაშინ მართლაც, გლეხობა მიხვდება, რომ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია პატრონობა, რომ ის არა მარტო ლაპარაკობს მუშათა და გლეხთა კავშირზე სიტყვებში და პროკლამაციებში, არამედ მას შეუძლია ეკონომიკაში, კაპეიკში და მანეთში ამ კავშირის განხორციელება.

კიდევ ერთი საკითხი, თუ ჩვენ დავიწყებთ პურის გატანას, ან შესაძლოა გამოიწვიოს ფასების აწევა რუსეთის შიგნით, უნდა გვეშინოდეს თუ არა ამის? აბსოლიუტური პასუხი მაღალ და დაბალ ფასების საკითხზე მარქსისტებს არასოდეს არ გვქონია და არც გვექნება. ჩვენთვის ეს არის პრაქტიკის საკითხი, და შეიძლება გადაწყდეს სხვა და სხვა ისტორიულ მომენტებში და, სხვა და სხვა რაიონებში ერთსა და იმავე მომენტში სხვა და სხვა გვარად. მანამ, სანამ ქვეყნის ძირითად მცხოვრებთა, გლეხთა მასის ყიდვის ძალა არ იქნება გაზრდილი, მანამ მრეწველობის განვითარება შეუძლებელია, მანამ საქონლის მასალების კრიზისები აუცილებელი იქნება, როგორი გეგმებიც არ უნდა შევადგინოთ ჩვენ ქაღალდზე. რა თქმა უნდა, თუ ჩვენთვის საჭირო იქნებოდა ამორჩევა ასეთ ფაქტებს შორის, რომ პურის პროდუქტები შედიან მუშის ბიუჯეტში და რომ ფასების მომატება გამოიწვევს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესებას, მაშინ, რა თქმა უნდა საკითხი უფრო მკაფიო და უფრო ტრაგიკული იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ეხლა დანამდვილებით ვიცით, რომ ამ პროდუქტების ნაწილი მუშის ბიუჯეტში სულ უფრო და უფრო კლებულობს, მიუხედავათ ამ ბიუჯეტის საერთო გადიდებისა და აქ ჩვენ შეგვიძლია გავათანასწოროთ პურის ფასების აწევა ხელფასის აწევასთან, რაც აუცილებელი იქნება. ხოლო მუშათა კლასის ბიუჯეტის განსაზღვრის შემდეგ ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ გლეხთა ბაზრის ყიდვითი ძალის გაზრდას. მაკრატელი, რომელიც აქ გაჩვენათ ამხ. ტროცკიმ, შეიძლება გადაიქცეს ჩვენი ცუდი პოლიტიკის გამო, მაკრატლათ, რომელიც მოსჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ეხლა ზის მუშათა და გლეხთა კავშირი. ჩვენ უნდა უთხრათ გლეხს, რომ ფასების დღევანდელი შეფარდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და მრეწველობის პროდუქტების ფასების შორის არ არის ნორმალური შეფარდება, რომ ჩვენ ამის წინააღმდეგ მივიღებთ ზომებს და, რომ ერთი-ერთ უმნიშვნელოვანეს ზომად ითვლება პურის სახელმწიფოებრივი ექსპორტი და რომ ჩვენ არ შეგვეშინდება პურის ფასების აწევის. პურის გატანა არის ის რეალური და პრაქტიკული ამოცანა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია დავუმტკიცოთ გლეხობას, რომ ჩვენ ვართ გაბედული პატრონები, რომ ჩვენ შეგვიძლია განვაგოთ სახალხო ქონება.

საბჭოთა აპარატის გაწმენდა

მე დამრჩა აღსანიშნავი კიდევ ერთი საკითხი. ვინ გაატარებს გლეხობასთან კავშირს? ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ გლეხს წარმოდგენა აქვს საბჭოთა ხელისუფლებაზე, არა იმ სიტყვების მიხედვით, რომელსაც აქ ვლაპარაკობთ არა იმ ადამიანების მიხედვით, რომელნიც ზიან ამ დარბაზში, არამედ იმისდამიხედვით, ვინ არის ყველა ადმინისტრატიულ განკარგულებათა აღმასრულებელი, ვინ არის გადასახადების ამკრები, ვინ იქნება ეხლა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის დროს პურის სახელმწიფოებრივ მყიდველი. აი ამ ნიშნების მიხედვით გლეხს ყოველდღიურ ცხოვრებაში აქვს წარმოდგენა საბჭოთა ხელისუფლებაზე. და ამ აპარატის გაწმენდა უნდა იქნას სისტემატიურად გატარებული. ამ მიმართულებით უნდა იმუშაონ პარტიულმა დაწესებულებებმა ისეთივე ყურადღებით, როგორითაც ჩვენ ვმუშაობთ ჩვენი ტრესტების დირექტორების და მართველების შერჩევის დროს. თუ ჩვენთვის საჭიროა, ასე ვსთქვათ, სინიდისი, მუყაითობა, ჩვენ უნდა შევქმნათ ცოცხალი აპარატი, და ჩავაყენოთ ისეთი პირები, რომლებშიაც გლეხობა უნდა ხედავდეს მილიონ მშრომელთა ნებისყოფის განსახიერებას და არა ძველი აპარატის ნაშთს.

ჩვენ არ დაუშვებთ გაფლანგვას

ჩვენ კიდევ ერთი უნდა უთხრათ გლეხს; თუ ჩვენ მოვითხოვთ კუნთების დაჭიმვას მუშების და გლეხებისაგან, ამავე დროს, რკინის ხელით შევამცირებთ ყველა იმ ხარჯებს, რომელიც უნდა დავფაროთ გაჭირვებულ გლეხის ჯიბით. ყველა ბატონურ და ნახევრად ბატონურ გამოსვლებს, როგორც ვლადიმერ ილიჩი ლაპარაკობდა, მართლაც უნდა მოეღოს ბოლო. გლეხმა უნდა იცოდეს, რომ თვითეული კაპიკი ამოღებულია მის გალატაკებულ მეურნეობიდან, ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომ ჩვენ არ დაუშვებთ გაფლანგვას, რომ თვითეული კაპეიკი იპოვის თავის ადგილს.

ჩვენ ყოველივე იმას, რაც უკვე გაკეთებულია კომუნისტების მიერ მუშათა კლასისათვის უნდა დაუმატოთ კიდევ ერთი; გლეხმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვართ ყველაზე უფრო იაფი მთავრობა, რომელსაც შეუძლია არსებობა რუსეთში. და თუ ჩვენ ეს მოვახერხეთ, თუ ჩვენ გავიმსჭვალებით იმ აზრით, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის დღევანდელ გარდამავალ მომენტში მუშათა და გლეხთა კავშირი, თუ ჩვენ თავის დროზე, როგორც დღემდე ჩავდიოდით, შევიტანთ შესწორებებს იმ ურთიერთობაში, რომელიც ჩვენ გვაქვს გლეხობასთან, არ დავიგვიანებთ, გულდასმით დავუგდებთ ყურს იმას, რაც გლეხთა [illegible] შინ ხელ-ახლა [illegible] ჩვენ მტრებს.

სწარმოებს უკანასკნელი ბრძოლა

არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ სწარმოებს უკანასკნელი ომი. არა სამხედრო დარგში, არა სამოქალაქო ომის ასპარეზზე. არამედ სწორედ გლეხის ეკონომიკის სფეროში. ჩვენი მტრები ამბობენ: „ეს წვრილი ბურჟუაზიული სტიქია გაგანადგურებთ თქვენო“. ჩვენ უპასუხებთ: „არა, ამხანაგებო, ძალიან ადრე დაიწყო გალობა კაპიტალიზმის ბარტყმა, ძალიან ადრე“. ამ ყრილობამ უნდა უპასუხოს: „ჩვენი კომუნისტური პარტია გაატარებს იმ პოლიტიკას, რომელსაც 5 წლის განმავლობაში ატარებდა ამხ. ლენინი, და მხოლოდ გლეხებთან ერთად ვიმედოვნებთ და გვწამს, რომ შევსძლებთ ჩვენი ძირითადი ამოცანების განხორციელებას“. ამიტომ ჩვენ უნდა ვსთქვათ: „დიახ, კაპიტალიზმის ბარტყმა, რომელსაც იმედი აქვს გლეხობის და მუშების განხეთქილებისა, ძალიან ადრე დაიწყო გალობა მუშები და გლეხები გაანადგურებენ და მოსპობენ არა მარტო ესერების და მენშევიკების პატარა ბარტყებს არამედ კაპიტალიზმის ძერასაც“ (ტაში).

ამხ. კალინინის მოხსენება

მუშებისა და გლეხების კავშირი იზრდება, მაგრდება და ვითარდება.

ყრილობას ესწრება 80 უპარტიო გლეხი. ეს არის კავშირის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი.

დამშეულ გუბერნიების გლეხობას მთავრობამ 1921 წლის ოქტომბრიდან გადასცა 160.000.000 ფუთი პური, მიმდინარე წელს გადაეცა 41.000.000 ფუთი.

ჩვენი სახელმწიფო ხარჯები ნაკლებია მეფის დროისაზე, მაგრამ ის მაინც დიდია. უნდა შევეცადოთ შევამციროთ ეს ხარჯები.



ამხ. კალინინი

ამხ. კალინინის გამოსვლას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით ხვდება. დელეგატები დგებიან ფეხზე და სრულიად რუსეთის მამასახლისს ოვაციებს უმართავენ.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ამხ. კალინინი ვერ ახერხებს სიტყვის დაწყებას.

რა უფრო ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლებისათვის?

— ჩვენი პოლიტიკის საფუძვლები, —როგორც იქნა ახერხებს ის ოვაციების დაფარვას—ყველამ იცის: ეს არის მუშებისა და გლეხების კავშირი. ეს კავშირი იზრდება, მაგრდება და ვითარდება და, მგონია, არ არის არავითარი სიმპტომი ამ კავშირის დაშლისა. წინააღმდეგ, რუსეთის ექვსი წლის რევოლიუციის მთელ მანძილზე იყო მხოლოდ გამონაკლისი, იშვიათი შემთხვევები ამ კავშირის რყევისა, სინამდვილეში კი, მე ვიმეორებ, ეს კავშირი ვითარდება. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებით ვეპყრობით.

მე მოვიყვან მუშებისა და გლეხების დამოკიდებულების კონკრეტიულ დამახასიათებელ მაგალითს, რომელსაც მე ვხედავდი მგზავრობის დროს და კრებებზე. ეს იყო, თუ არ ვცდები, 1921 წელში. მე ვიყავი ივანოვოვოზნესენსკში უპარტიოთა საგუბერნიო კონფერენციაზე. იქ იყო ბევრი მენშევიკი, ესერი; ბრძოლა დაიწყო პირველივე მომენტიდან. და აი, მე საბოლოო სიტყვის დროს ვიღებ ერთ მეტად გესლიანი ენით დაწერილ ბარათს, ვკითხულობ: „რომელი უფრო ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლებისათვის—მუშა თუ გლეხი, და ვინ მეტი გააკეთა რევოლიუციისათვის, მუშამ თუ გლეხმა?“ როცა მე საჯაროთ წავიკითხე ეს ბარათი, გაისმა მხურვალე ტაში, ყველა ფიქრობდა: „როგორ გამოძვრება კალინინი ამ მდგომარეობიდან?“ კითხვა მოულოდნელი იყო, და მე მაშინ უპასუხე: „აბა რომელია უფრო ძვირფასი ადამიანისათვის—მარჯვენა თუ მარცხენა ფეხი? ჩვენს თანამედროვე რევოლიუციაში რომ ვთქვათ ჩვენ, რომ უფრო ძვირფასია მუშა, გლეხი კი უფრო იაფი, ეს იგივე იქნებოდა, რომ ადამიანისთვის მარცხენა ფეხი წაგვერთვა“. ჩემი ასეთი პასუხის შემდეგ კვლავ აპლოდისმენტების ზღვა, და საბოლოო ანგარიშით, გლეხობა დაკმაყოფილდა იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება აღიარებს გლეხის მნიშვნელობას. წარსულ კვირაში კურსკის ხახლოვნოვებში მე მივიღე მეტად საინტერესო ბარათი. ამ ბარათში მუშები მეკითხებოდნენ: ვინ სჭამს უკეთესად—მუშა თუ გლეხი? აი ამხანაგებო პატარა ეპიზოდები,—ნორმალური, ჩვეულებრივი პატარა ეპიზოდები, ისინი გვისურათხატავენ დამოკიდებულებას გლეხობასა და მუშებს შორის.

ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ საშუალო გლეხს, რომელსაც სურს როლი ითამაშოს რევოლიუციაში და სურს, რომ ეს როლი აღიარებული იქნას, მეორე მხრით კი ჩვენ ვხედავთ უბრალო მუშას, რომელიც გრძნობს მთელ სიმძიმეს, რომელიც მას წილად ხვდა.

ჩვენ, კომუნისტებმა, ვიცით საშუალო მუშის მძიმე მდგომარეობა, ჩვენ ვგრძნობთ მის სულიერ განწყობილებას და ვეუბნებით: სასაცილო იქნებოდა, რომ რევოლიუციის გამძლეობა შენთვის ადვილი ყოფილიყო, მაშინ შენი გმირობა, შენი ბრძოლა არავის არ გააკვირვებდა: ეჭვს გარეშეა, ეს მძიმე საქმეა და შენ უნდა გაიგო, რომ, როცა აშენებ შენს კომუნისტურ სახელმწიფოს, უნდა სძლიო უდიდეს დაბრკოლებებს, როცა ვდგევართ სახელმწიფო ხომალდის საჭესთან, ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ ის ზედმეტად არ დაიტვირთოს ერთ ან მეორე მხარეს. გამოცდილი კაპიტანი როცა ზღვაში დადის, არასოდეს არ მისცემს ნებას ზედმეტად დატვირთონ ხომალდის ერთი მხარე, რადგან მცირეოდენი ღელვაც საკმაოა, რომ ასე დატვირთული ხომალდი ფსკერისკენ წავიდეს. მე ვფიქრობ, რომ კომუნისტური პარტია საკმაოთ კარგი კაპიტანია, რომ თავს არ მისცეს ნება ასეთი შეცდომა ჩაიდინოს,

ჩვენ, რომლებიც ვხედავდით გლეხობის ყოფა-ცხოვრებას და გლეხობის ინტერესებს მტკიცედ ვიცავდით, უნდა განვაცხადოთ, რომ საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება კიდევ არ ნიშნავს გლეხობის ინტერესების დაცვას. ეს, მართალი რომ ვთქვათ, გლეხობის ინტერესების მეტად პრიმიტიული დაცვაა. გლეხობის მასის 90 პროც. ხომ წარსულში დამონებული და დაბეჩავებული იყო. მაშასადამე, შეგნებულ გლეხისათვის არ არის სხვა გზა, გარდა მუშასთან ერთად კომუნისტურ სახელმწიფოსკენ წასვლისა, რასაკვირველია, ამხანაგებო, ახლაც ბევრი მოიპოვება ისეთი, რომლებიც ამბობენ, რომ გლეხთან კომუნისტურ სახელმწიფოზე ლაპარაკი არ შეიძლება. მე პირადათ სხვა აზრისა ვარ. ამ ჟამად კომუნისტური სახელმწიფო უჩვენებს გლეხს თავის ნამდვილ სახეს. კომუნიზმთან დაახლოვება სისტემატიურად გააუმჯობესებს გლეხის მდგომარეობას. ამიტომ გლეხების 90 პროც., მე არ ვიღებ გლეხების შეძლებულ დანარჩენ 10 პროც., არამედ უღარიბესი და საშუალო გლეხობის 90 პროც., გლეხობის ეს ნაწილი დიდათ დაინტერესებულია კომუნისტურ წყობილებასთან მიახლოვებაში და იქცევა საბჭოთა შრომის რესპუბლიკის ნამდვილ მოქალაქეთ.

პარტიის მეთორმეტე ყრილობას გახსნის დღიდან ესწრება 80 უპარტიო გლეხი. ამაზე მეტი დაახლოვება წარმოუდგენელია. რასაკვირველია, ამხანაგებო, იმ ბერკეტს, რომელიც აწესრიგებს, მიმართავს და ათანხმებს ამ ორ ძალას—ძალას მუშებისას და გლეხებისას,—ცემენტს, რომელიც აკავშირებს მათ, წარმოადგენს კომუნისტური პარტია.

და როცა უახლოვდებით საგადასახადო პოლიტიკის საკითხს, გლეხობის დაბეგვრის საკითხს და ამ დაბეგვრის სიმძიმეს, ჩვენ გამოვდივართ ორი პრინციპიდან: ერთის მხრით იმ მოსაზრებიდან, რომ ეს დაბეგვრა მძიმე ტვირთად არ დააწვეს გლეხობას, ხელს არ უშლიდეს მისი მეურნეობის განვითარებას და მეორეს მხრით იმიდან, რომ ამ დაბეგვრამ გამოიღოს რეალური შედეგები.

ჩვენი ხარჯები

რას ვხედავთ ჩვენ, ამხანაგებო, როცა ვიხილავთ ჩვენი ხარჯების ცალკე ნაწილებს? მე განგებ ვითხოვე ამონაწერი 1913 და 1923 წ.წ. ხარჯებიდან. 1913 წელში ხარჯები შემდეგი იყო: იმპერატორის სახლისათვის —16,000 000 მ., ამ ჟამად, როგორც თქვენ იცით, ჩვენ განვთავისუფლდით ამ ხარჯებისაგან, უცხოეთმა აიღო თავის თავზე საიმპერატორო სახლის ნაშთების შენახვა. ეკლესია, სამღვდელოება და შინაგან საქმეთა სამინისტრო იმ ნაწილში, რომელშიც მას კავშირი ქონდა სამღვდელოებასთან— 40.900.000 მანეთი. ამ ჟამად ჩვენ ეს ხარჯი არ გვაქვს. უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებები—სახელმწიფო საბჭო, სახელმწიფო სათათბირო, მინისტრთა საბჭოს კანცელარია თხოვნების მისაღებათ და სხვა—8.000.000 მანეთი. ჩვენ დროს შესაფერი ორგანოები—სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო კომისართა საბჭო, სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობა, შრომისა და თავდაცვის საბჭო, ხარჯავენ 7.754.000 მანეთს. ეს დიდი თანხაა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამ თანხაში ხარჯების დიდი ნაწილი გაწეულია ყრილობების მოწვევაზე.

შემდეგ ხარჯი, რომელიც ახლა არა გვაქვს,—ეს არის სესხზე პროცენტების გადახდა. მე არ ჩამოგითვლით თქვენ ხარჯების ყველა მუხლებს. მე მინდა შევჩერდე ხარჯების იმ პარაგრაფებზე, რომლებსაც შედარებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთია ხარჯები უმაღლესი ადმინისტრატიულ მმართველობაზე ცენტრში და ადგილობრივ. ეს ხარჯი მეტად დიდ ციფრში გამოიხატება— 323.916.000 მანეთი, ადგილობრივი ხარჯები უდრის 127 მილიონ მანეთს. ეს დიდი თანხაა და შეადგენს მთელი ჩვენი ბიუჯეტის 20 პროც. და 79 პროც. 1913 წლის ხარჯებთან შედარებით ანალოგიურ დაწესებულებებზე. ამ ხარჯების გამართლება შეიძლება შემდეგით: რომ ჩვენი ხელისუფლება ძლიერ მრავალტოტიანია. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ნაციონალური განთავისუფლების გამო, შეიქმნა ნაციონალური ცენტრების მთელი რიგი, რომლებიც, რასაკვირველია, ხარჯებს მოითხოვენ. შემდეგ შეიქმნა ახალი დაწესებულებები, რომლებიც არ ყოფილა წინათ, მაგალითად ჯანმრთელობის, სოციალიური უზრუნველყოფის და შრომის კომისარიატები, შემდეგ მასსიური მმართველობა. პირველ ხანებში მასსიური მმართველობა უფრო მეტი ჯდება, ვიდრე ბიუროკრატიული. და მხოლოდ შემდეგ, გაუმჯობესების პროცესში, ეს აპარატი იაფდება. **ეჭვს გარეშეა, ხარჯების ამ დარგში ჩვენ უნდა ვცდილობდეთ შემცირებას.**

შემდეგი მთავარი მუხლი ხარჯების, რომელსაც უჭირავს ჩვენი ბიუჯეტის მესამედი, ეს არის ხარჯები ტრანსპორტის და კავშირის, თითეულ მოქალაქეზე ეს ხარჯი უდრის 3 მ. 30 კ. ეს შეადგენს მთელი ხარჯების 32 პროც. ეჭვს გარეშეა, რომ აქ გლეხს შეუძლია თქვას: მაგრამ მე ხომ ყველაზე ნაკლებ ვსარგებლობ ტრანსპორტით.

სახელმწიფო დახმარება გლეხობას

მე მოვიყვან მეორე საბუთს, რომ ხარჯები ტრანსპორტზე გლეხობისათვის ისევეა საჭირო, როგორც ქალაქის მცხოვრებთათვის. აი მე მაქვს ტრანსპორტის მუშაობის ფაბულა სიმშილობისათვის. **ჩვენს დამშეულ გუბერნიებში ამ პერიოდის განმავლობაში, დამშეულთა დამხმარე კომიტეტის არსებობის პერიოდში, გაიგზავნა 150.000 ვაგონი, წყლით კი 14.000.000 ფუთი ტვირთი. რომ არ გვქონებოდა რკინის გზები, ტრანსპორტი, მე ეჭვი არ მეპარება, რომ გლეხობის 0,75 სიმშილისაგან დაიხოცებოდა**

ეს პატარა კონკრეტიული შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ხარჯები ტრანსპორტისათვის, რომელიც ასე მძიმეთ აწვება ბიუჯეტს, რომ ეს ხარჯები ისევეა საჭირო გლეხობის მასებისათვის, როგორც მუშათა კლასისათვის.

მე მინდა კიდევ გადმოგცეთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში, 1921 **წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფომ გლეხობას გადასცა 160.000 000 ფუთი პური; ამ წელში სახელმწიფომ სიმშილის შედეგებთან მებრძოლ კომისიაში გლეხობას გადასცა— 41 000.000 ფუთი პური; ამათგან— 6.000 000 უშუალოდ სიმშილის შედეგებთან საბრძოლველად, და ბოლოს** შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად,—15,000.000 ფუთი და გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად—20.000.000 ფუთი, სულ, როგორც მე ვთქვი, 41 მილიონი ფუთი.

სხვათა შორის, უნდა ავღნიშნო, რომ პურის ამ რაოდენობაში, რომელიც დაიხარჯა დამშეულ გუბერნიებში, შედის სასურსათო გადასახადით შეკრებილი რაოდენობაც.

მე ახლა მოვიყვან **მთავრობის მიერ სიმშილობასთან საბრძოლველად ამ ორი წლის განმავლობაში დახარჯულ თანხებს ოქროს ვალიუტით.** ეს თანხა უდრის 156 მილიონ ოქროს მანეთს.

აქედან სჩანს, რომ ჩვენი გლეხობა, რომელიც მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, დიდ მონაწილეობას იღებს ამ თანხების დახარჯვაში. ამიტომ, ცენტრალური კომიტეტის კომისია, რომელიც იკვლევდა გლეხობაზე გადასახადების გაწერის საკითხს, გამოდიოდა იმ მდგომარეობიდან, რომ ერთის მხრით ხელი არ შეშლოდა და არ დაბრკოლებულიყო გლეხის მეურნეობის განვითარება და მეორეს მხრით ის არ ივიწყებდა, რომ სახელმწიფოს აქვს ისეთი მოთხოვნილებები, რომლის არ შესრულებაზე თვით გლეხობის მასაც არ დასთანხმდებოდა.

მე უკვე ვსთქვი, ბიუჯეტის შემცირება არ შეიძლება, მე მოვიყვანე ყველაზე უფრო ნათელი, დამახასიათებელი მუხლები ამ ბიუჯეტისა. ძველ სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯების თითოეული მუხლი იწვევდა გლეხობის უფრო დაბეჩავებას, მუშების მდგომარეობის გაუარესებას და გლეხობის და მუშურ-გლეხური მთავრობის მტრების გაძლიერებას; წინააღმდეგ, თითეული ჩვენი ხარჯების მუხლი იწვევს არა დაბეჩავებას, არამედ გლეხობისა და მუშათა კლასის კულტურული განვითარების განმტკიცებას. ამიტომ, **როცა ისინი იღებენ მსხვერპლს და გრძნობენ ამ მსხვერპლის სიმძიმეს, მათ მაინც არ უნდა დავიწყდებოდეთ, რომ ეს მსხვერპლი სხვა გზით ისევ ბრუნდება მუშებისა და გლეხების წრეში.**

ამით ვათავებ, ამხანაგებო, ჩემს მოკლე ცნობას. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება

გლეხისა და სახელმწიფო მეურნეობის ინტერესები განუყოფელია

— საკითხს საგადასახადო პოლიტიკის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს საერთო პრინციპიალურ ხაზთან, მთელი მიმდინარე წლისათვის აქვს, შეიძლება, ყველაზე დიდი მნიშვნელობა, მით უფრო დიდი, რომ ის სცილდება ქალაქის სამრავალ-მილიონიან გლეხობაში, როქარხნო-საფაბრიკო რაიონებს და შეჰყავს ჩვენი პარტია სოფელში, მელთანაც კავშირის მნიშვნელობაზე საკმაოთ ილაპარაკა ყველა ორატორებმა. **პირველ ყოვლისა ჩვენ პარტიის სახელით კატეგორიულად უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს პარტიულ და საბჭოთა ხაზსა და მის ცხოვრებაში გატარებას შორის არ იქნება არავითარი განსხვავება, არავითარი უთანხმოება.**

მიმდინარე წლისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობის გამორკვევის დროს, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში და ფინანსთა სახალხო კომისარიატში გამოიანგარიშეს, რომ გლეხობის დაბეგვრა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით შეიძლება მივაყვანოთ 800,000,000 მანეთამდე ოქროთი. პრაქტიკულად დაბეგვრის რაოდენობა ც. ს. სამმართველოს და ფინსახკომის მიერ განსაზღვრულია უფრო ნაკლების რაოდენობით, ვიდრე ამ შესაძლებელი თეორიული ნორმით, დაახლოებით ეს უდრის 400 მილიონს ოქროთი. ნიშნავს თუ არა ეს ციფრი 1923—24 წ.წ. გლეხობის დაბეგვრის გადიდებას 1922—23 წ.წ. შედარებით.

ნება მიბოძეთ მოგიყვანოთ ციფრები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა გლეხობის დაბეგვრა წარსული წლის განმავლობაში. ის შეადგენდა, ჩვენის ანგარიშით, 390 მილიონს ოქროს მანეთებში. 390 მილიონი შედგა როგორც ადგილობრივი ისე სახელმწიფო გადასახადებიდან. ამ ციფრიდან უნდა გამოვდიოდეთ მიმდინარე წელში საგადასახადო ნორმის გამომუშავების დროს. თუმცა ეს მეურნეობა ეკუთვნის გლეხებს, თუმცა ის არ ემორჩილება ს. მ. უ. ს., მაგრამ მილიონ გლეხების მეურნეობის წვრილის და საშუალოს ინტერესები, —ეს ჩვენი ინტერესებია. ის შედის იმ სახალხო მეურნეობაში, რომლის ინტერესებს იცავს პროლეტარიატის პარტია. რომ ჩვენ გამოვდიოდეთ მხოლოდ იმ მეურნეობის ინტერესიდან, რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს ეკუთვნის, ჩვენ სრულიად მოვსპობდით ამ სახელმწიფო მეურნეობისათვის წინსვლის ყოველგვარ საშუალებას.

მრეწველობა განვითარდება შინაური ბაზრის საფუძველზე

მე არ ვიცი, რომელი ჩვენგანი დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ჩვენს მრეწველობას შეუძლია განვითარდეს საგარეო ბაზრის დაპყრობის ხარჯზე. ამ გზით მიდიოდა თვითმპყრობელობა, მაგრამ ამ შემთხვევაში ის

ეყრდნობოდა გლეხობის გაღატაკებას, ჩვენ კი უარი ვთქვით თვითმპყრობელობის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე და სავსებით ვეყრდნობით შინაურ ბაზარს, ე. ი. გვიჭირავს გეზი გლეხის მეურნეობის აღდგენისაკენ, რომელიც ამ შემთხვევაში უზრუნველყოფს ჩვენი მრეწველობის აღდგენასაც.

მეორე მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი მრეწველობა საგრძნობათ არის დამოკიდებული გლეხობის ნედლ მასალაზე. რომ ჩვენ საგადასახადო პოლიტიკაში ისეთ გზას დავადგეთ, რომელიც შეკვეცავს გლეხის მეურნეობის აღდგენის შესაძლებლობას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნედლი მასალით ჩვენი მრეწველობა, ამით დავღუპავდით ამ უკანასკნელს. მატყლი, ბამბა, ტყავეული და სხვა ნედლი მასალა, რომელსაც იძლევა გლეხის მეურნეობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ჩვენს მრეწველობას და ხელს შეუწყობს მის მუშაობას, თუ ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის განვითარებას. საკითხი პურის პროდუქციის და პურის ექსპორტის რაოდენობის შესახებ, იმ ნედლ მასალის და მანქანების მისაღებათ, რომელიც რუსეთში არ მოგვეპოვება, არის მთელი ჩვენი მრეწველობის არსებობის სიკვდილ-სიცოცხლის და მისი განვითარების შესაძლებლობის საკითხი. ამიტომ, თუ გვსურს გავატაროთ ჩვენი მიზანშეწონილი გეგმა, რომელიც გამომდინარეობს მეურნეობის განვითარების პერსპექტივიდან, ჩვენ უნდა მტკიცედ აღვნიშნოთ ეს აზრი და შევეცადოთ გავატაროთ ის რაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ერთის მხრით, ჩვენ ვიხრებით იქით, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით უზრუნველყოთ ჩვენი მრეწველობის აღდგენა, მეორეს მხრით ჩვენ უახლოვდებით იმას, რომ შევამციროთ გლეხის დაბეგვრის რაოდენობა. როგორ ვიზამთ ჩვენ ამას?

საჭიროა ერთიანი საგადასახადო სისტემა

ერთიანი სასოფ.-სამეურ. გადასახადის გატარების დროს საქმე არა იმის შესახებ, რომ შეიცვალოს ან გლეხობასთან დადებული ხელშეკრულების ხასიათი (გაწერიდან—„რაზვიორსტკიდან" გადასახადზე გადასვლა). გლეხობას, რომელიც იხდის გადასახადს, რომლისთვისაც ეს გადასახადი არის მისი არსებობის ერთ ერთი ძირითადი ელემენტი, რასაკვირველია, უფლება აქვს მოსთხოვოს საბჭოთა სახელმწიფოს, რომ ეს გადასახადი მოეწყოს რაც შეიძლება რაციონალურად. ეს ჩვენი ინტერესსაც შეადგენს, რომ მან გადამხდელისათვის ნაკლებ სიმძიმის პირობებში სახელმწიფოსათვის მეტი სარგებლობა მოგვცეს. **იმას, რაც დღემდე ხდებოდა არ შეიძლება ეწოდოს რაციონალური.** ჩვენ სინამდვილეში არ გვქონდა ერთიანი სისტემა, არამედ ნამსხვრევები სამი სისტემისა: ერთის მხრით—სასურსათო გადასახადი; მეორე მხრით—ამ წლის განმავლობაში—სამოქალაქო გადასახადი ფულათ, რომელიც ხმარდებოდა ადგილობრივ სამეურნეო საჭიროების დაკმაყოფილებას და ბოლოს, ჩვენ გვაქვს დაბეგვრის ჯგუფი, რომელსაც ახდენდენ პირველი საფეხურის საბჭოთა უჯრედები, რომლებიც ხშირად უკანონო ხასიათს იღებდენ. რაც შეეხება საკომლო გადასახადს, მან მოგვცა 15 მილიონი მანეთი ოქროთი, თანხა მეტად მცირე სასურსათო გადასახადთან შედარებით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ, თვითნებურ გადასახადებს, რომლებიც გამომდინარეობენ იმ მდგომარეობიდან, რომ განვითარდა ადგილობრივი ბიუჯეტი და ბიუჯეტის ამ განვითარებას საბჭოთა ხელისუფლება, მისი ცენტრი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. ამ გადასახადებმა (სხვა და სხვა ადგილებში მათი რიცხვი ირყევა 16—35-დი) მთელ რუსეთში მისცა 70.000 მანეთამდი ოქროთი.

ამხანაგებო, სასოფლო-სამეურნეო გადასახადების უნიფიკაციამ ბოლო უნდა მოუღოს გადასახადების სხვა და სხვაობას, მან აგრეთვე საზღვარი უნდა დაუდოს საგრძნობათ ე. წ. თვითნებურ, ე. ი. საოლქო დაბეგვრას.

უნდა შევქმნათ საოლქო ბიუჯეტი

აქ, ამხანაგებო, მე მიკარნახებენ, რომ ყურადღება უნდა მიექცეს საოლქო აღმასკომებს. ამბობენ, რომ ფინსახკომმა მეტი საშუალებები უნდა გაიღოს საოლქო აღმასკომებისათვის. უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწყოთ საოლქო ბიუჯეტი, როგორ მოვაწესრიგოთ საოლქო მეურნეობა, როგორ გადავრიცხოთ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან საჭირო თანხები საოლქო აღმასკომების საჭიროებისათვის ისე, რომ გავანთავისუფლოთ გლეხობა დამატებითი გადარიცხვიდან და დაბეგვრიდან.

რა საფრთხეები იქნებიან უნიფიკაციის დროს? როცა გვქონდა რამდენიმე გადასახადი, თითეულ ცალკე გლეხზე ერთ გადასახადს შეეძლო მაგრათ დაეკვრა, მეორეს კი, შემთხვევით, უფრო ნაკლებათ. ამ რიგად მოხდებოდა ერთგვარი კომპენსაცია. როცა ჩვენ შემოგვაქვს ერთიანი გადასახადი, მაშინ თითეული გადამხდელის მიმართ შეცდომის შესაძლებლობა საშიშ ხასიათს იღებს. ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ დაბეგვრის ცხოვრებაში გატარების დროს.

გადასახადი და მისი გატარება არ არის მარტო დაბეგვრის საერთო ციფრის დაწესება. ჩვენ ვდგამთ ნაბიჯს წინ, როცა ვანაწილებთ გუბერნიებს შორის, გუბერნიები კი—მაზრებს შორის, მაზრები კი—ოლქებს შორის იმ თანხებს, რომლებიც მათ უნდა შეაგროვონ. საერთო გადასახადი გამონაგარიშებულია გადამხდელის საგადასახადო უნარიანობასთან შეფარდებით გაწერის. **ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ, მოვსპოთ, („რაზვიორსტკის") წესების კვალი გადასახადის აკრებაში.** ამ წელში ეს ძირითადი ამოცანაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს გადასახადებს არ ექნება ის კლასობრივი ხასიათი, რომელსაც ისინი უნდა ატარებდენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენ ნატურალურ მეთოდებიდან გადავდივართ ფულის მეთოდებზე.

საჭიროა სიფრთხილე

ფულით დაბეგვრაზე გადასვლის დროს ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მის ისე გატარებას რომ არ გამოვიწვიოთ არევ-დარევა გლეხის მეურნეობაში ამიტომ შეუძლებელია წინადადება ნატურალური გადასახადების სრულიად ფულით დაბევრით შეცვლის შესახებ, ეს შეცვლა უნდა მოხდეს ნაწილობრივ, რისთვისაც რუსეთის ტერიტორია უნდა დაიყოს რაიონებათ.

მთელი ჩრდილო და სამრეწველო რაიონი, რომლებიც არ წარმოადგენენ პურის რაიონებს, შეიძლება გადაყვანილ იქნენ ფულით დაბეგვრაზე პურის მიმწოდებელი რაიონები კი ამ წელს არ შეიძლება გადავიყვანოთ სავსებით ფულით დაბეგვრაზე რატომ? იმიტომ, რომ იმ რაიონებში, რომლებიც მეტს ხმარობენ პურს ვიდრე ქმნიან, სახალხო მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით, უნდა შევეცადოთ ვაიძულოთ გლეხობა განვითარონ ამ რაიონისთვის უფრო ხელსაყრელი, ტექნიკურად გამოსადეგი კულტურები. ფულით დაბეგვრის შემოღება ამ რაიონებში შესაძლებლობას მისცემს გლეხობას გადაიხადოს თავისი ხვედრი გადასახადი არა ბაზარზე თავისი პურის გაყიდვის ხარჯზე, არამედ სხვა პროდუქტების-სელის, ერბოს და სხვა პროდუქტების გასაღებით. პურით მდიდარ გუბერნიებში ჩვენ ვერ წავალთ ისეთი გზით, რომ ვაიძულოთ გლეხობა ბაზარზე გამოიტანოს პურის დიდი რაოდენობა, რადგან ეს გამოიწვევს პურზე ფასების დაწევას და გლეხობისათვის სამეურნეო კატასტროფას გადასახადის განაწილება დაახლოვებით ასეთია-გადასახადის 0,4 საშუალოდ შეკრებილი იქნება ნატურით დანარჩენი 0,6 კი—ფულათ. ამ სახელმწიფო გეგმის ფარგლებში, თითეულ გუბერნიაში საგუბერნიო აღმასკომებთან შეთანხმებით უნდა დაწესდეს კონკრეტიული ნორმა, რომლის მიხედვითაც განაწილდება ეს ფულიანი და ნატურალური ნაწილი.

პარტიის მაქსიმალური ყურადღება სოფელს

ფულით დაბეგვრის განვითარება, რომელიც ნიშნავს, რომ გლეხობა უფრო სრულ ურთიერთობაში შევა ბაზართან, იწვევს სოფელში ურთიერთობის უთანასწორობის მეტი ზრდის საფრთხეს. ეს ავალებს ჩვენს პარტიას უფრო მეტი ყურადღება და ძალები დაუთმოს მუშაობას სოფელში, სოფლათ პრაქტიკულ მუშაობას კომუნისტები უნდა ჩაუდგენ სათავეში. ამ მხრივ, ამხანაგებო, **ჩვენმა ყრილობამ უნდა მიიღოს დადგენილებების მთელი რიგი, რომლებმაც შესაძლოა შექმნან მოხაზავი პუნქტი ჩვენ პარტიულ მუშაობაში იმ მნიშვნელობით, რომ პარტიამ მეტი ყურადღება მიაქციოს სოფლათ მუშაობის საკითხს.** მეტი ძალების დათმობა ოლქის უჯრედების მუშაობისათვის, მეტი ყურადღება მუშაობას სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში.

პურის ექსპორტის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, ყველაფერი ეს ჰაერში იქნება გადმოკიდებული თუ ჩვენ არ უზრუნველ ვყავით ჩვენი პარტიისათვის მეტი გავლენა სოფელში. 70-იან წლებში ნაროდნიკები მიდიოდენ გლეხობაში, რომ აემოძრავებიათ ის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. დროა გავიგოთ და გავატაროთ მუშაობა ხალხში. ჩვენ ათასი კომუნისტები უნდა გავგზავნოთ სოფლის უჯრედებში არა იმისთვის, რომ იქ გაატარონ პროგრამა კომუნიზმზე დაუყოვნებლივ გადასვლისა, არამედ იმისთვის, რომ ეს კომუნისტები ჩავაყენოთ საშკოლო, კოოპერატიული და საკრედიტო საქმის სათავეში, ჩავაყენოთ მიწის რევოლიუციის ნამდვილათ გატარების სათავეში, რომ ამ რიგად შევუკავშირდეთ გლეხობას და მრავალ მილიონიან მოკავშირესთან ერთად გავსწიოთ შეტევის გზაზე. (ტაში).

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი

სამშაბათს, 8 მაისს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირების საბჭოს პატარა დარბაზში იწვევს პოლიტიკური წრეების, პარტიული სკოლების ხელმძღვანელების და უჯრედებთან მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგების და მდივნების

თათბირს

დღის წესრიგში დგას საკითხი:

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ჯამი.

ვინაიდან ახლო ხანში მოხდება პოლიტიკური ცოდნის შემოწმება და აგრეთვე საჭიროა საამისო მეთოდების გამომუშავება, ყველა მოწვეულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომიტეტის მდივნის მაგიერ **ივანოვი**.

სააგიტაციო-საპროპ. განყოფილების გამგე **ესენი**.

ფოთის პარტკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა მარტში.

საანგარიშო თვეში საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა წარსულ თვეებთან შედარებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. თუ უწინ განყოფილებისა და პროფკავშირებ შორის არ არსებობდა შეთანხმებული მუშაობა, რაც გაუგებრობას იწვევდა და ყოველ დღიურ მუშაობას ძლიერ აფერხებდა პოლიტიკური აღზრდის სფეროში, დღეს თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამას ადგილი აღარ აქვს. როგორც სახელმწიფო და სამრეწველო დარგებში, ისე ჯარის ნაწილებში არსებული კულტგანყოფილებები მუშაობას აწარმოებენ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ხელმძღვანელობით. საანგარიშო თვეში მათთან ერთად მოხდა რამოდენიმე თათბირი, რომელმაც სასურველი შედეგები მოგვცა: აქ წამოიჭრა ისეთი კითხვები, რომელთა გადაჭრას და ცხოვრებაში გატარებას მომენტი მოითხოვდა.

ჩვენი ორგანიზაციის კავშირი სხვა ორგანიზაციებთან მაგარი ძაფებით არის გადანასკული, შეთანხმებულად ტარდება პოლიტიკური წრეების ბიბლიოთეკების, წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების დაარსების და დღესასწაულების ჩატარების კამპანიები.

ამ თვეში ჩატარებული იქნა შემდეგი მიტინგი და მასიური კრებები: რურის ოკუპაციის, ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის, კომუნისტური პარტიის 25 წლის თავის, მენშევიზმის გახრწნის, საბჭოთა ქვეყნების შინაური და საგარეო მდგომარეობა, რელიგიის გასამართლების, საფრანგეთის კომუნარების მოძრაობის და წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების დაარსების შესახებ. ამავე თვეში გადამტვირთველთა კავშირის წევრთათვის და მათი ოჯახის შემადგენლობისათვის თეატრ „კომეტაში" წაკითხულ იქნა სამი ლექცია: ვენერიული ავადმყოფობის, მალარიის და გიგიენის შესახებ. საერთო რიცხვი ხსენებულ ლექციაზე დამსწრეთა უდრის 1,300 კ., მათ შორის კომ. ქალები და კაცები 450.

საერთაშორისო ქალთა დღესასწაულის ჩატარების დღეს გაიხსნა სამრეცხველო-სამკერვალო და საყანე, რომელმაც სასურველი შთაბეჭდილება დასტოვა ფოთის მშრომელ ქალებში. აღსანიშნავია ცენტრალური ქალთა განყოფილების წარმომადგენლის ამხ. ქიქოძის ენერგიული და მხურვალე მონაწილეობა, რომელიც მან მიიღო ამ დღესასწაულის ჩატარების მოსამზადებელი მუშაობის საქმეში და თვით დღესასწაულშიაც.

რურის ოკუპაციის კამპანიის ჩატარების დროს ამავე ოლქის მუშების დახმარებისათვის მოგროვილ იქნა ას ორმოცდა ათ მილიონ მანეთამდე, რომლის ნაწილი გაგზავნილია ცენტრში, ნაწილსაც ამ დღეებში გადავგზავნით, აკრეფა გრძელდება.

18 მარტს, საფრანგეთის კომუნარების მოძრაობის აღნიშვნის დღეს, თანახმად მშრომელი ხალხის მოთხოვნისა, სამღვდელოებას ჩამოერთვა ეკლესიები და ძვირფასი განძეულობა, რომელნიც აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა.

პარტიის პოლიტიკური აღზრდის საქმე, სიმართლე უნდა ითქვას, არ დგას სასურველ სიმაღლეზე. საქმე იმაშია, რომ მარქსისტულად მომზადებული ინტელექტუალური ძალები ადგილობრივად სულ ცოტა მოიპოვება ჯერ—ჯერობით შესაძლო გახდა მხოლოდ ერთი საშუალო წრის დაარსება სადაც შედის მომზადებული ამხანაგი.

საამშენებლო კავშირში არსებობს ერთი დაბალი ტიპის უპარტიო პოლიტიკური წრე, მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ ამ წრის წევრები ყველანი მუშებია მსმენელთა რიცხვი თვის გმნავლობაში უდრის 480-ს, მათ შორის კომუნისტები—32

კომუჯრედებში მეცადინეობა სწარმოებს ერთიან პარტიულ დღეს კომუნიზმის ანბანის პროგრამით. საანგარიშო თვეში დამსწრეთა რიცხვი უდრის 1200-ს, მათ შორის ქალები 108.

სალიკვიდაციო სკოლები ფოთის მაზრაში არსებობს 8, რომლებშიდაც გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით მეცადინეობა კარგად მიდის, თუმცა-ღა ფოთი ტერიტორიალურად ფართის დიდი და მცხოვრებთა რიცხვი ათი ათასს არ აღემატება მაგრამ ეს სკოლები სულ მცირედია ამ მაზრისათვის.

ამ ჟამად უმთავრეს რაიონებში სალიკვიდაციო სკოლები და ბიბლიოთეკების მნიშვნელობის შესახებ ტარდება კამპანიები, რასაც კარგი შედეგები მოაქვს. ჩვენთან მოდიან მშრომელი გლეხობის მიერ ამორჩეული დელეგატები და გვთხოვენ სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსებას; მიღებულია ზომები და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აპრილში გვექნება 15 სალიკვიდაციო სკოლა და 8 ბიბლიოთეკა. ამ ჟამად ზემოხსენებულ სკოლებში ირიცხება ას ორმოცდა ორი მოწაფე,—ორგანიზაციაში წერა-კითხვის უცოდინარები სულ უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენენ, რომლის ლიკვიდაცია ახლო მომავალში მოხდება. რაიონში მოგვეპოვება სამი ათწლადი კლასიფიკაციის სისტემაზე მოწყობილი ბიბლიოთეკა, მკითხველთა რიცხვი საკმაოა.

მთელი სიმძიმე მუშაობისა გადატანილია უპარტიო მასების გათვითცნობიერების და პოლიტიკურად აღზრდის საქმეში. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ყოველ კვირაობით იწვევს მასიურ კრებას ყველა რაიონებში, სადაც სათანადო მომზადებული პროპაგანდისტები მოხსენებას აკეთებენ სხვადასხვა თემაზე. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენ დიდათ წავიწიეთ წინ, მთელი მშრომელი მასების თანაგრძნობა და სიმპატია საბჭოთა წესწყობილებისადმი არას დროს არ ყოფილა ასე დიდი, როგორც ამას ჩვენ ვაჩნევთ ამ უკანასკნელ ხანებში. არც ერთი კამპანია არ ჩატარებულა ისე, რომ უამრავ ხალხს არ მიეღოს მონაწილეობა, უპარტიო მასების აღფრთოვანება და გამოცოცხლება დღითი—დღე იზრდება. საანგარიშო თვეში ჩატარდა სამი პოლიტიკური კამპანია, ერთი ანტირელიგიური და ერთი წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების მნიშვნელობის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, ფოთი სამრეწველო ქალაქია, სადაც ასე თუ ისე, თავს იყრის რამოდენიმე ასეული მუშები და აქ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არსებობს ბეჭვდითი ორგანო, რომლის საჭიროება საკმაოა.

შ. ჯალაღანია.

პირველი მაისის დღესასწაული

საბჭოთა ფედერაციაში

საქართველო

მისალმება კომპარტიის ბელადებს.

ახალქალაქი. კომუნისტურ პარტიის ახალქალაქის ორგანიზაცია მოგესალმებათ თქვენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ბელადებს, ჩვენს მასწავლებლებს და გილოცავთ საერთაშორისო მუშათა დღესასწაულს პირველ მაისს გისურვებთ დღეგრძელობას და თქვენ იდეების საბოლოოდ განხორციელებას მსოფლიო მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

ახალქალაქის მაზრის კომუნ. ორგანიზაციის განყოფილების მონდობილობით **თაყაიშვილი.**

გურია.

ოზურგეთში. გურიის მშრომელმა ხალხმა დიდი ზეიმით და აღფრთოვანებით იდღესასწაულა საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაული პირველი მაისი. გრანდიოზულ მიტინგზე გამოიტანეს რეზოლიუციები, რომელშიაც წყევლა-კრულვას უგზავნიან მეორე ინტერნაციონალის ბელადებს, რომლებიც ასულდგმულებენ საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციას; ფაშიზმს და ურცხვად ყიდიან მუშათა კლასის და ულარიბესი გლეხკაცობის ინტერესებს.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე **ა. დოლიძე.**

სომხეთი

პირველი მაისის დღესასწაული.

ერევანი, 2 მაისი. 30 აპრილს საღამოს ქალაქის ყველა კუთხეებში მოეწყო ლექციები პროლეტარული დღესასწაულის შესახებ. პირველი მაისის დღესასწაული დიდის ზეიმით ჩატარდა. დილა ადრიანადვე მთელი ქალაქი, სახლები და ქუჩები შემოსა მწვანეულობით, ხალიჩებით, ნოხებით, პლაკატებით, ლოზუნგებით და რევოლიუციის ბელადების სურათებით. დილის 9 საათიდან დაიწყო მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მუშებმა, მოსამსახურეებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ, კომკავშირმა და ჯარებმა სასტუმრო „ორიანტის" წინ გაიხსნა მიტინგი, რომლის შემდეგ ზღვა ხალხი გაემართა სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ, სადაც ც. კ მდივანმა ამხ. იოანისიანმა წარმოსთქვა სიტყვა პროლეტარული დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ, ცაკის და სახკომსაბჭოს შენობის წინ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. დადიანმა. ამის შემდეგ გაიმართა ჯარების აღლუმი. აღლუმის შემდეგ სამი ამხანაგი—იაგუბიანი, ზეგლარიანი და გასპარიანი დაჯილდოვებული იქნა წითელი დროშის ორდენით საბჭოთა ხელისუფლების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. მსვლელობას ავსებდა გლეხების მორთული ურმები, გლეხები ჩამოვიდენ სოფლებიდან თავისი სასოფლო მეურნეობის იარაღებით და მანქანებით.

გლეხების ლოზუნგი იყო: „გაუმარჯოს კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის". საღამოს ღია ჰაერზე გაიმართა მიტინგები, წარმოდგენები, კონცერტები. ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

ხარკოვში.

ხარკოვი. 1 მაისი. ხარკოვმა დიდის აღფრთოვანებით და ზეიმით გადაიხადა პირველი მაისი დემონსტრანტები წითელი დროშებით, მუსიკით და სიმღერით მიდიოდენ ქუჩებზე, პროცესია რამდენიმე ვერსის მანძილზე გაიმართა. მუშების რიგში ყურადღებას იპყრობდა გლეხების ჯგუფი—შეფობაზე აყვანილ სოფლების წარმომადგენლები. იპოდრომზე მანიფესტანტებს შეხვდენ მთავრობის წარმომადგენლები. იქვე გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. ღამით ქალაქში ილიუმინაციები გაიმართა. ყველა თეატრებში ამ დღეს წარმოდგენები უფასო იყო.

ოდესაში.

ოდესა. 1 მაისი. პირველი მაისი ოდესაში განსაკუთრებულის სიცოცხლით ჩატარდა. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო მუშებისა და წითელი არმიელების დიდმა მასებმა. ავტომობილზე გამართული იყო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა მოწოდებები, რომლებიც იქვე რიგდებოდა დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მუშფაკებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა და ბავშვებმა.

ტულაში.

ტულა 1 მაისი. პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო ქალაქის თითქმის მთელმა მოსახლეობამ. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ამხ. დომბალი. რკინისგზელებმა პროფინტერნს საჩუქრათ მიართვეს ზედმეტი მუშაობის დროს შეკეთებული ორთქმავალი.

ივანოვო-ვოზნესენსკში.

ივანოვო-ვოზნესენსკი. 1 მაისი. პირველი მაისი ივანოვო-ვოზნესენსკში საუკეთესო დამამტკიცებელია იმ ავტორიტეტის, რომელიც მოიპოვა პარტიამ მასებში. ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდენ გლეხების წარმომადგენლები ზეიმის დასაწყისი მცხოვრებთ აცნობეს ფაბრიკა-ქარხნების საყვირებმა.

როსტოვში.

როსტოვი. 1 მაისი. როსტოვში პირველ მაისობის ზეიმი სამ დღეს გაგრძელდა. გაიხსნა მთელი რიგი კლუბებისა და ბიბლიოთეკებისა მუშებისათვის. ამ დღეს წითელმა არმიამ დაანახვა მცხოვრებთ თავისი ძლევამოსილობა. კომკავშირმა მოაწყო გრანდიოზული კარნავალი. მუშებს მიქონდათ ალეგორიული ფიგურები, რომლებიც გამოხატავდენ კავშირს სოფელსა და ქალაქს შორის.

უკრაინაში.

ხარკოვი. 1 მაისი. უკრაინის სხვა და სხვა ადგილებიდან იტყობინებიან, რომ პირველი მაისის დღესასწაული ყველგან დიდის ზეიმით ჩატარდა. ყოველგან დღესასწაულზე ხაზს უსვამდენ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის მნიშვნელობას. ქალაქის მუშების მრავალრიცხოვანი დელეგაციები მოეღო უკრაინის ყველა კუთხეს. თავის მხრივ გლეხებმა დელეგატები გამოგზავნეს ქალაქში, რომ პირველი მაისი მუშებთან ერთად ედღესასწაულათ.

ყოველგან.

მოსკოვი. 2 მაისი. სიმფეროპოლიდან, ნიჟნი-ნოვგოროდიდან, უფიდან კრასნოდარიდან, ტარნოპოლიდან, პოკროვსკიდან, პიატიგორსკიდან, ვიატკიდან, კოსტრომიდან, სარატოვიდან. კაზანიდან, ომსკიდან, ირკუტსკიდან, ვლადივოსტოკიდან, იაკუტსკიდან და სხვა ქალაქებიდან გადმოსცემენ დეპეშებით გრანდიოზულ საპირველ მაისო დემონსტრაციების შესახებ, რომლებიც გაცილებით სჭარბობდენ წინანდელ წლების დემონსტრაციებს. პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობდა თითქმის მთელი მოსახლეობა. გლეხების დელეგატები ესალმებოდენ მუშებს. პროფკავშირები და წარმოებები ღებულობდენ შეფობას სოფლებზე, ყოველგან იმართებოდა კარნავალები, მასიური სახალხო სეირნობა, მიტინგები და სხვა.

რკინის გზელები და მუშები უშვებდენ პროლეტარული დღესასწაულის აღსანიშნავად ორთქლმავლებს, ვაგონებს, ამუშავებდენ ქარხნებს და ელექტრონის სადგურებს.

ტფილისში

პირველ მაისს, როგორც მოსალოდნელი იყო, ტფილისის პროლეტარიატმა კიდევ ერთხელ მოახდინა თავის ძალების გრანდიოზული დემონსტრაცია. მუშათა საერთაშორისო დღე ჯერ არ ნახული ზეიმით ჩატარდა ტფილისში, იგი საერთო სახალხო დღესასწაულად იქცა. მშვენიერი მზიანი გაზაფხულის დღეც ხელს უწყობდა და მოუწოდებდა ადამიანს სიხარულსა და სიხალისისაკენ. მთელი ქალაქი მორთულია მწვანეულობით, ნოხებით, დროშებით და ბელადთა სურათებით. დილიდანვე ქალაქს არა ჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობა, მუშები მიდიან დანიშნულ ადგილებისაკენ, რათა იქიდან გაემართონ ხუდადოვის ტყეში, იქითკენ, სადაც პირველად გაისმა მძლავრი მოწოდება აჯანყებისა.

ტყეში.

ხუდადოვის ტყეში მუშების, წითელ-არმიელების სულ ახალ-ახალი რიგები მოდის და წითელ დროშებს დასასრული არ უჩანს, ჰაეროპლანი ყრის სადღესასწაულო ფურცლებს. ტყეში განმზადებულია ტრიბუნები. იქვე ახლოს მიდამოს ამშვენებს უშველებელი ქვეყნის ბურთი (გლობუსი) წარწერით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით". არტისტები ინსცენიროვკებისათვის ემზადებიან, აი აგერ ბერძნულად სეირნობს მსახიობი, რომელიც მღვდლის ტანისამოსშია გამოწყობილი; აი აგერ ერთა ლიგა, აგერ სტინნესი, და ჩვენი ემიგრანტები ჩაძველებულ სერთუკებში და ფრაკებში დიდ ყურადღებას იწვევს მშვენივრად მორთული ავტომობილი, ორთქლმავალი. მას შემდეგი წარწერები აქვს. —„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით: პირველ მაისი—პროლეტარიატის მებრძოლი ძალების აღლუმია!" მეორე მხარეზე სწერია; „მატარებლის მართველობა მინდობილი აქვს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის მემანქანეს ლენინს, მის თანაშემწეს-ზინოვიევს, კოჩეგარს ლოზოვსკის და კონდუქტორს ტროცკის. გამგზავრების სადგური,

მოსკოვი, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი".

დანიშნულების სადგური: „მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია" გამგზავრების დრო. 1923 წ, 1 მაისი, მისვლის დრო — 1924 წ 1 მაისი, „მარშრუტი: მოსკოვი—ვარშავა—პარიზი—ბერლინი—ლონდონი—რომი ნიუ იორკი". იხსნება მიტინგი სიტყვებს ამბობენ კავკასიის ცალკე არმიის სარდალი—ეგოროვი, მიქელაძე, ყაზაროვი, სურიშვილი, ვირაპი და სხვ.

თამაშობა

დღის ორ საათზე იწყება სატანვარჯიშო თამაშობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ კავკასიის სამხედრო კურსანტთა მეორე სკოლა, სპარტაკი, საქართველოს შეერთებული სამხედრო სკოლა, მუშათა ორგანიზაციები, ბავშვთა ჯგუფები და სხვ. დიდი ყურადღება მიიქცია ცხენოსანთა ხმლებით ვარჯიშობამ. საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა „ბალაგანი". გამოყავთ ძველი ნაცნობები კოლჩაკი, დენიკინი, ბურჟუა, სპეკულიანტი, ანტანტა, მუსოლინი და სხვ.

„საერთაშორისო მიმოხილვა"

4 საათზე იწყება „საერთაშორისო მიმოხილვა". პროცესიას მეთაურობს ანტანტა თავის შვილობილებით: ლატვიით, ჩეხო სლოვაკიით და პოლონეთით. ამ ჯგუფს თან მისდევს ერთა ლიგა, შემდეგ პუანკარე ჟანდარმებით. შემდეგ ძლივს მიათრევს ფეხებს კერზონი, რომელსაც ბორკილებში მიჰყავს ინდოეთი და ირლანდია, მათ მისდევდა რომის პაპა, რომელიც კურთხევას უგზავნიდა მის წინა მყოფთ. აქვე არის მუსოლინი, გერმანიის კაპიტალისტები, ყვითელი ინტერნაციონალი „30 ვერცხლის" სახით იყო გამოხატული. მას მისდევდა რუსეთის ემიგრაცია.

ყველა ეს ჯგუფები მოთავსდა იქვე ერთ მაღლობზე. უცბად მათ ყურამდე მოაღწია „ინტერნაციონალის" სიმღერამ და მუსიკამ. ბანაკში შიშიანობა ეტყობათ. როდესაც მოახლოვდა ხმები და გამოჩნდა სიმბოლიურად მორთული ავტომობილი, „საერთაშორისო მიმოხილვის" მონაწილენი ვირთხებივით გარბიან.

ქალაქი ღამით.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ქალაქი ღამით. ყველა დაწესებულებები, მთავარი ქუჩები გაჩირაღდნებული და მორთული იყო. ყველანი დიდ სიამოვნებას გრძნობდნენ.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში

პირველი მაისი ვარშავაში.

რომი. 3 მაისი. ვარშავიდან მიღებული ცნობით პირველი მაისის დემონსტრაციების დროს ვარშავაში მოხდა შეტაკებები. დემონსტრაციები გაიმართა პოლონეთის ყველა სამრეწველო ქალაქებში.

პირ მაისობა ბურჟ სახ

შეერთებულ შტატებში.

ნიუ-იორკი. 1 მაისი. 1 მაისის დემონსტრაციებში შეერთებულ შტატებში უინციდენტოთ ჩატარდა. საპირველმაისო პროკლამაციაში დემსი სალამს უძღვნის საბჭოთა მთავრობას, რომელიც გაბედულად იბრძვის მუშათა კლასის ხელისუფლებისათვის.

მექსიკაში.

ნიუ-იორკი. 1 მაისი. ქალაქ მექსიკაში 1 მაისს გაიმართა ფართო დემონსტრაციები. შეწყვეტილი იყო ყოველივე მუშაობა.

სტოკჰოლმში.

სტოკჰოლმი. 1 მაისი. სტოკჰოლმში გაიმართა გრანდიოზული საპირველმაისო დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა გაატარეს 150 დროშა წარწერით: „გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს და კომუნიზმს".

მრავალრიცხოვან მიტინგებზე გამოდიოდენ კომუნისტები, რომლებიც მოუწოდებდენ დამსწრეებს ერთიან ფრონტისაკენ. დემონსტრაციები და მიტინგები იმართებოდა მთელს შვეციაში.

ნორვეგიაში.

ქრისტიანია. 1 მაისი. 1 მაისს მთელს ნორვეგიაში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაციები და მიტინგები.

ბერლინში.

ბერლინი. 1 მაისი. 1 მაისს ბერლინში ყოველგვარი მოძრაობა, გარდა რკინის გზებისა, შეჩერებული იყო. მაღაზიების მეტი ნაწილი დაკეტილი იყო. გრანდიოზულ დემონსტრაციებში მონაწილეობას ღებულობდა 1 ნახევარი მილიონი კაცი. მუშები გამოდიოდენ მხოლოდ წითელი დროშებით და საბჭოთა ვარსკვლავებით. ყველა იმას აღიარებდა, რომ მთელი ზეიმის ტონის მიმცემი იყვნენ კომუნისტები. სოციალ-დემოკრატები დღესასწაულში მეორე როლს თამაშობდენ. დემონსტრაციები მშვიდობიანად ჩატარდა.

უნგრეთში.

ვენა. 1 მაისი. მთავრობის მიერ საპირველმაისო დემონსტრაციების აკრძალვის გამო, 1 მაისის დღესასწაული უნგრეთში აღნიშნული იყო მუშაობის საყოველთაო შეწყვეტით.

რურში.

ბერლინი. 1 მაისი. რურის სხვა და სხვა ადგილებიდან მიღებული ცნობებით, სოციალისტები და კომუნისტები, მიუხედავად საფრანგეთის ხელისუფლების ბრძანებისა, მოუწოდებდენ მუშებს საპირველმაისო დღესასწაულში მონაწილეობისაკენ.

ავსტრიაში.

ვენა. 1 მაისი. გრაკენკურტში, 1 მაისის დღესასწაულის დროს, პოლიციელები თავს დაესხენ კომუნისტების მიტინგს. მოხდა შეტაკება. დაჭრილია 10 მუშა.

პოლონეთში.

ვარშავა. 30 აპრილი. იმის გამო, რომ კომუნისტურმა პარტიამ გადასწყვიტა გაეტარებია პირველი მაისის დღესასწაული, პოლიცია ახდენს მასიურ დაპატიმრებას და ჩხრეკას. დაპატიმრებულია 200 კაცი, მათ შორის პროფკავშირთა ცენტრალური კომისიის წევრები, მთავარ საგაფიცვო სამმართველოს თანამშრომლები და სხვ.

ლოძში პოლონეთის სოციალისტური პარტიის საოლქო კომიტეტი დათანხმდა პირველ მაისს კომუნისტებთან ერთად გამოსვლაზე, თუმცაღა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კატეგორიულად აკრძალა შეერთებული დემონსტრაცია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(3 მაისი)

ოქროს 10 მან.—14,500 ათასი.
გირ. სტერ. — 7,700 ათასი.
დოლარი — — 1,750 ათასი.
ოსმ. ქაღ. ლირა— 1,320 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშ. 17 ათასი.

ბაზრის განწყობილება.

(3 მაისს).

წინა დღესთან შედარებით—განწყობილება უცვლელია. კავკავიდან და ახლო სოფლებიდან მოაქვთ დიდძალი ხორბალი.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება

(3 მაისი).

ოქროს ათ-მანეთიანის და უცხოეთის ვალიუტის კურსი მტკიცეა, წინა დღესთან შედარებით ცვლილება არ მომხდარა.

ძვირფასი ლითონების კურსი.

(3 მაისს).

ოქრო 96 სასინჯ. მისხალი—3 მან. 50 კაპ., ოქრო 56 სასინჯ. მისხალი—1 მ. 80 კ., ვერცხლი 84 სასინჯ. მისხ.—7 კაპ. 1 მანეთი ხურდა ვერცხლი—18,5 კაპ.

ბირჟის მიწოდება.

სინგაპურის პირპილი, სოდა კაუსტიური, მატყლი, შაქარი რაფინადი, რუსეთის მანუფაქტურა შაქარი ფხვნილი, ფაიფური, რკინეული, ხორბალი, ცემენტი, ცხვრის ნაწლევები, ნიჩბები, ბაწარი, წუმწუმა, ლურსმანი, შპაგატი, ერბო, შოკოლადი, ცელი, თამბაქო, მარილი, ჩაი ინგლისური.

ბირჟის მოთხოვნილება.

ბრინჯი, ხორბალი, ჩაი, თამბაქო, ნედლი ტყავეული, შაბიამანი ნაწლევები, ცხიმი ტექნიკური, პარაფინი, ერბო, ლურსმანი, წუმწუმა რუსეთის, საპნის სუროგატი, რეზინის ტრესტის ნაწარმოები, ჯაგარი, ბამბა, მატყლი, მარილი.

მუშკოოპის ფასები.

(3 მაისი).

პური თეთრი—25, საპონი „ტროლე"—240, საპონი ადგილობრივი—240, შაქარი ფხვნილი წევრებისათვის—275, წუმწუმა—15—25, მარილი—35, ლობიო—18—25.

თბილისის ბაზრის ფასები.

(ბითუმათ)

ყუბანის ხორბალი—800, ადგილობრივი ხორბალი—700, ბრინჯი—7000, ფქვილი ყუბანის—1600—1750, ფქვილი ადგილობრივი—850—950, შაქარი რაფინადი—36 მანეთი ყუთი, შაქარი ფხვნილი—7 მ. 20 კ, ჩაი „ყაზვინი"—95—100 ლირა, საპონი მარმარილოს—7,400—7500, ნარმა არშინი—320—360.

თბილისის სადგურზე 2 მაისს მიღებული ტვირთი.

პირდაპირი მარშრუტით: ფქვილი—1000 ფ., შაქარი ფხვნილი და რაფინადი—10 875 ფ., მანუფაქტურა—538, რკინეული—298 ფ., ლურსმანი მავთულის—657 ფ., ბაწარი წვრილი—161 ფ., ქსოვილები—285 ფ., ძაფი—89 ფ., შაქარი ფხვნილი—2140 ფ., შაბიამანი—987 ფ.

ადგილობრივი მარშრუტით: ქვანახშირი—3 ვაგონი, შეშა—4 ვაგონი, მაზუთი—1 ცისტერნა, სიმინდი—1011 ფ., მარილი ტბის—1000 ფ., მანუფაქტურა—225 ფ., ძაფი—28 ფ. კალა—40 ფ., ბენზინი—1 ცისტერნა, სპირტი პურის—428 ფ., გუთნები—27 ცალი.

ტრაქტორები.

„არკოსის" განყოფილებამ ბათომში, თბილისში გამოგზავნა 6 ტრაქტორი გუთნებით ტრაქტორები დანიშნულია რეალიზაციისათვის თბილისის ბაზარზე.

იმპორტი.

ბათომში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისიის განყოფილების სახელზე აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს სახელზე მოვიდა 6 საბეჭდი მანქანა და 20 ადგილი ჯაჭვი.

ნავთის ექსპორტი.

სტამბოლიდან ბათომში მოვიდა გემი „ტიურბო", რომელიც წაიღებს 390.000 ფ. ნავთს.

სავაჭრო კავშირი აღმოსავლეთთან.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით, სავაჭრო კავშირი პეტროგრადის მრეწველობისა აღმოსავლეთის ბაზრებთან მტკიცდება. ფაბრიკების მთელი რიგი მუშაობს მხოლოდ და მხოლოდ ოსმალეთში, სპარსეთში და ბუხარაში ექსპორტისათვის. ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა აღმოსავლეთის ქსოვილებზე, ფაიფურის ჭურჭლებზე და წუმწუმაზე.

ოქროს კურსი რ. ს. ფ. ს. რ. სხვა და სხვა ადგილებში.

პეტროგრადი — 750 მილიონი,
კიევი — — 830 „
ოდესა — — — 896 „

პროფკავშირებში

საინჟინერო სექციაში.

საინჟინერო-ტექნიკურ ძალების საერთო კრებამ 29 აპრილს მოისმინა სექციის დროებით ბიუროს მოხსენება თავის მოქმედების შესახებ და მოიწონა იგი.

მუდმივი ბიუროს არჩევნები.

იმავე კრებაზე არჩეულ იქნა მუდმივი ბიურო ხუთი წევრის და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

კომისიების შედგენა.

იმავე კრებაზე შედგენილ იქნა საორგანიზაციო, საინჟინერო-ტექნიკური და სატარიფო-ეკონომიური კომისიები.

პლენუმის სხდომა.

კვირას, 6 მაისს, დილის 10 საათზე მუშათა სასახლის წითელ დარბაზში შესდგება საინჟინერო ტექნიკურ სექციის ბიუროს გაფართოებული პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. ინჟ. ფელდტის სადისკუსიო მოხსენება ფხვიერ საგნების მექანიკურად დატვირთვის შესახებ.
2. საწევრო გადასახადების შესახებ.
3. შტატების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

საპროცენტო ანარიცხების შესახებ.

საინჟინერო ტექნიკურ ძალთა საერთო კრებაზე დაწესებულ იქნა ერთი პროცენტი საწევრო გადასახადი სექციის სასარგებლოდ; ამაში ნახ. პროც. გადაირიცხება საინჟინერო-ტექნიკურ ძალთა ბიუროს განკარგულებაში.

ტრანსპორტის მუშაკთა კავშირი.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის პლენუმმა „ცენტროტრამოტის" წარმომადგენლის მოხსენების შესახებ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

სუბსიდია „ცენტროტრამოტს".

კავშირის გამგეობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა სამეურნეო ორგანოს „ცენტროტრამოტს" საქ. სახალხო კომისართა საბჭომ აღმოუჩინოს დახმარება ან რუსეთის სახ. ბანკმა მისცეს სესხი.

სათბობი მასალა „ცენტროტრამოტს".

იმავე პლენუმმა გამოიტანა დადგენილება, ეთხოვოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს რათა მან მისცეს „ცენტროტრამოტს" საჭირო სათბობი მასალა.

ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

პლენუმმა დაამტკიცა ცენტრალური გამგეობის და სამაზრო განყოფილებების წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვები და წინადადება მისცა ადგილებს არ გადააჭარბონ ამ ხარჯთ-აღრიცხვას.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

სამდივნოს მოხსენება.

კავშირის პლენუმმა მოისმინა სამდივნოს მოხსენება, საიდანაც სჩანს, რომ ამ ჟამად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ადგილკომების და კავშირის სამეურნეო ორგანოების მუშაობას, უკანასკნელისათვის მუშავდება გეგმები და წესდებანი. კავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ დაარსა 4 მთავარი სამაზრო განყოფილება, 15 ადგილკომი. ყველა ამ განყოფილებებში მოწყობილია ურთიერთი დამხმარე კასები.

სატარიფო—ეკონომიური მუშაობა

უკანასკნელ ხნის განმავლობაში კავშირმა 15 სამეურნეო ორგანოსთან მიაღწია სატარიფო შეთანხმებას. ზოგიერთ დაწესებულებებთან გაგრძე-

მუშათა ცხოვრება

„შეგორკილი გოლიათები“.*)

„ტყავმთავრის“ ერთ-ერთ ტყავის ქარხნის განყოფილებაში მოთავსებულია ფეხსაცმელის საკერავი დიდი მანქანები, რომელთაც რამოდენიმე ათასი კაცის სამუშაო შეუძლია გააკეთოს. უკვე წელიწადზე მეტია, რაც ეს მანქანები დადუმებულია და არ მუშაობენ და ეს ხდება მაშინ, როდესაც მათი ამოძრავებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმისთვის.

საჭიროა, ვიცოდეთ,—რამ შებორკა ეს „გოლიათები“ და როდის ფიქრობს მათ ამოძრავებას რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო საბჭო?!

მუშა ცოვიანცი.

ეს არის სამართალი?!

(რკინის გზელთა კავშირის საყურადღებოდ).

ნათქვამია: „თვითონ არ იყო ძმარიო, შეურიეს წყალი“-ო. ეს ანდაზა სწორედ ჩვენზე, რკინის გზის დაბალ მოსამსახურეებზე, კერძოთ კანტორის თანამშრომლებზეა გამოთქმული. ჯერ არას ვიღებთ და მერე იმასაც, რასაც ვიღებთ უსაფუძვლოდ გვართმევს ხელიდან ჩვენი სარკინისგზო ადმინისტრაცია. და თუ ყოველივე ეს ჩვენ დღემდე „იობის“ მოთმენით გადაგვქონდა, დღეს კი გასწყდა ძაფი მოთმინების და ჩვენი დაბეჩავების მიზეზი უნდა გამოვააშკარავოთ საჯაროდ.

ვინ გნებავთ, რო ჩვენ არ ვიყოთ საჭიროების დროს: მემანქანე, მწონავი, ვაგონების აღმწერი, საქმის მწარმოებელი და სხვა. ყველას თავის განსაზღვრული დრო და სამსახური აქვს, ჩვენ კი მთელს ხაზზედ „ხვთის ანაბარათ“ ვართ მიტოვებული და არც კი ვიცით თუ რას შეიცავს ჩვენი თანამდებობა. მაგრამ ამას ვინღა დაეძებს, ჩვენ ხვედრ გასამრჯელოსაც ვერ ვიღებთ თავის დროზე.

გვიხდება შეუწყვეტლად ზედმეტ საათებში მუშაობა და ზედმეტ შრომის ხელფასიც კი არ გვეძლევა.

ამ უკანასკნელ დროში გამოვიდა ექსპლოატაციის სამსახურის უფროსის ბრძანება № 76, რომლის ძალით ყველა ხაზზე მომუშავეთ სატარიფო განაკვეთში უნდა მოგვმატებოდა ორ-ორი ხარისხი და სამუშაო დრო უნდა გადიდებულიყო 6 საათიდან 8 საათამდე. რაც ცხადად იწვევდა ზედმეტი ნამუშევარის დაკარგვას, ვინაიდან ჩვენ 6 საათის მეტი არ გვეკუთვნის კანონის ძალით და ფაქტიურად კი 6 საათზე მეტი გვიხდება ხოლმე მუშაობა. ამ ბრძანების თანახმად სადგურის უფროსებს ევალებოდათ წარვედგინეთ ის მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც ბრძანება ეხებოდა. მაგრამ ბრძანება ძალიან ბუნდოვანი იყო და სადგურის უფროსებმა იგი ვერც კი გაიგეს კარგად. ზოგმა ყველა მუშა-მოსამსახურე წარადგინა გადასარიცხად, ზოგმა კი რამოდენიმე. ზოგს მათგანს გამოეწერა ზედმეტი ნამუშევარი საათების და მათ ფულიც უკვე მიიღეს და ზოგი კი გულდაწყვეტილი დაგვტოვეს და ისიც ისეთები, რომლებიც არამც თუ 6—8 საათი, არამედ დილიდან დაწყებული საღამომდე თავს ვავლავთ სამუშაოს, ვინაიდან ბევრი გვაქვს სამუშაო და თუ ასე არ მოვიქეცით თავის დროზე ვერც მოვასწრებთ მის დასრულებას.

არ ვიცით, რით იხელმძღვანელა სიების შედგენის დროს ექსპლოატაციის განყოფილების უფროსმა, რომ ზოგი გამოგვტოვა და ზოგს მისცა ზედმეტ საათების შრომის ხელფასი; ამის გარდა ჩვენი გადარიცხვის ფურცლებიც თავისუფლად განისვენებენ მის „სამწერლოში“, ალბად თუ „მწვანე მაუდის“ ქვეშ!? არ ვიცით, თუ რით აიხსნება მათი ამდენი ხნით დაგვიანება. ფულის ნიშნებს ღირსება დღითი დღე ეკარგება, რაც თვით განყოფ. უფროს. სამ. კოხრეიძესაც კარგად მოეხსენება და თუ კი ეს ასეა, მაშინ რად იჭერს მას და რაა დამაბრკოლებელი მიზეზი იმისა რომ თავის დროზე არ გვაძლევს რაღაც ორიოდე გროშ კაპეიკებს?

ჩვენ ვაქცევთ ამ უსამართლობაზე რკინის გზის პროფკავშირის სერიოზულ ყურადღებას და მოვითხოვთ, რომ ჩვენც სხვებსავით დავკმაყოფილდეთ ჩვენი ჯამაგირით თავის დროზე. ამის გარდა სანამ ბრძანების თანახმად ორ-ორი ხარისხი მოგვემატებოდეს, მოვითხოვთ ზედმეტ საათების ნამუშევრის ხელფასსაც.

„თაგვიხარა“.

საქიმიო სან-შრომის კულტუჯრედების კრება.

ა. წ. 25 აპრილს მუშათა სასახლის ბინაზე შესდგა აღნიშნულ კავშირის ადგილკომების კულტუჯრედთა გაერთიანებული სათათბირო კრება, სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან და კულტკომისიების მოქმედებათა და მათი მომავალ მუშაობის ინსტრუქციის კითხვა.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებები გააკეთეს სხვადასხვა ადგილკომების წარმომადგენლებმა, რომელნიც აღნიშნავდენ კულტმუშაობის დადებითი ან უარყოფითი მხარეებს ამა თუ იმ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებში. მოხსენებებმა გამოარკვია ზოგიერთ კულტუჯრედების მუშაობის შეცდომები და მეორე მხრივ ზოგ მოხსენებებმა დაგვანახვა წესიერი კულტმუშაობის ნიმუში, როგორც მაგ. (მთავარ საავათმყოფოში). კრების თავმჯდომარე ამხ. ჩიქოვანი და ამხ. ვერემეიჩეკო მოუწოდებდენ ყველას გულდასმით მოესმინათ მოხსენებები, რომ ხსენებული შეცდომები აღარ განმეორებულიყვნენ.

შემდეგ განხილულ იქნა კულტმუშაობის ინსტრუქცია, რომლის ყოველი მუხლი დაწვრილებით და ყოველ მხრივ იქნა გაშუქებული, რის შემდეგ ინსტრუქციები დარიგდა წარმომადგენელთა შორის სახელმძღვანელოდ.

ძალიან კარგს იზამს კავშირი, თუ ასეთ კრებებს უფრო ხშირ და სისტემატიურ ხასიათს მისცემს, ვინაიდან ასეთ საურთიერთო ინფორმაციის მნიშვნელობა მეტად დიდია კულტმუშაობისათვის.

მუშკორ. ა. ნ.

საბჭოთა აფთიაქის მუშა-მოსამსახურენი.

საბჭოთა მეთერთმეტე აფთიაქში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა უდრის 14 კაცს. ამათგან ერთი გამგეა, ერთი ბუჰალტერი, ორი რეცეპტარი, ერთი სუბ-რეცეპტარი, ერთი დეფექტანტი, 4 ასისენტი, ორი მოლარე და ორი მუშა.

მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა აქ ფულის კურსის შეცვლამდე უფრო კარგი იყო. ჯამაგირები მუშა-მოსამსახურეთ ურიგდებათ თავის დროზე—ყოველ თვიურად—15 და 30 რიცხვებში. დაწესებულ ჯამაგირებიდან მუშა-მოსამსახურეთ ექვითება: 2 პროც. კავშირების სასარგებლოდ, 2 პროც უმუშევართა სასარგებლოდ და 1 პროც დამხმარე კასის სასარგებლოდ. დაწესებულია, როგორც სხვა აფთიაქებში 6 საათის სამუშაო დრო. კვირა,—უქმი დღეებში აქ, როგორც ზოგიერთ აფთიაქებში, მუშაობა არ სწარმოებს. მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობის სხვა მხარეებს უჩანს კარგი სახე: არ არის კულტურული ჩამორჩენილობა; მუშებს აქვთ ყველა გაზეთები გამოწერილი და სარგებლობენ აგრეთვე კავშირის ბიბლიოტეკით. ხსენებულ აფთიაქის მუშა-მოსამსახურენი შეკავშირებული არიან: 1, 4, 19 და 11 საბჭოთა აფთიაქების ერთ გაერთიანებულ ადგილკომში. მუშა თანამშრომელნი მადლიერი არიან ადგილკომისა და გამოსთქვამენ იმედს, რომ ამავე კომიტეტის დახმარებით და შუამდგომლობით მუშა მოსამსახურეთა ჯამაგირების ნორმა შეფარდებულ იქნება მომავალში ცხოვრების საერთო სიძვირესთან.

ინფ. კორ.—ძველთაგანი.

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

მე-3 რაიონის შრომის ინსპექტორმა ამხ. პ. სუხორუკოვმა ოქმი შეუდგინა და სასამართლოს გადასცა შემდეგი პირები შრომის კანონების დარღვევისათვის.

— 1. **ნიკოლოზ გვარამაძე—კაფეს პატრონი** (რუსთაველის ქ. № 8), რომელთანაც მუშაობდა 8 მუშა. მათ შორის 4 შრომის ბირჟის გარეშე იყო მიღებული და საანგარიშო წიგნაკები არ ქონდათ და არც დაზღვეულნი იყვნენ.

— 2. **ხერგო პარემუზოვი—სასადილოს პატრონი.** (სოლოლაკის ქ № 14). ამუშავებდა მზარეულს ელემოვო გძელიშვილს, რომელიც მიღებულია ბირჟის გარეშე და რომელიც ჯამაგირს ღებულობდა დღიურად—მინიმალურ ხელფასზე ნაკლებს, აგრეთვე აქ მუშაობდა მცირეწლოვანი 16 წლისა არამ ვარტანიანი ყოველ დღიურად 12-13 საათს, ხელფასს ღებულობდა 600,000 მან. თვიურად არც ერთი მათგანი დაზღვეული არ იყო და არც საანგარიშო წიგნაკები ჰქონდათ.

— 3. **მოსეს ხარქიხიანცი.**—წინდების საქსოვი სახელოსნოს პატრონი, (მადათოვის ქ. № 7). ამუშავებდა 4 მცირეწლოვან ქალებს, რომელთაგან ერთი პატრონი სტეპანიანცი ხელფასს არ ღებულობდა სრულებით დანარჩენი სამიც ღებულობდნენ მინიმალურ განაკვეთზე ნაკლებს. ყველა მუშები მიღებული არიან შრომის ბირჟის გარეშე, მათ არა აქვთ საანგარიშო წიგნაკები და არც დაზღვეულნი იყვნენ.

— 4. **ლალიანცი სტეფანე**—ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონი. (პასკევ. ქ. № 5). ამუშავებდა ორ ხელოსანს, რომელნიც დაზღვეულნი არ იყვნენ, გარდა ამისა ერთი მათგანს 1 წლის ნამსახურს არ მიუღია კუთვნილი 1 თვის შვებულება და არც საკომპენსაციო ფული.

ლა სამი თვის ვადით კოლექტიური ხელშეკრულებანი.

ქულევის (რედუტკალეს) ტვირთმზიდველი მუშები.

პლენუმმა დაადგინა ქულევის ტვირთმზიდველები გადაიყვანოს ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

უმუშევარნი.

უმუშევართა შორის შედგენილია კომისია, რომელიც მეთვალყურეობს სამუშაოზე უმუშევართა წესიერად გაგზავნას, დახმარების განაწილებას და აწარმოებს ორ. კვირაში ერთხელ უმუშევართა ხელ-ახალ რეგისტრაციას.

---

*) მეტყავე მუშები ასე უწოდებენ ფეხსაცმელების შესაკერავ ვეებერთელა მანქანებს, რომელნიც არ მუშაობენ რაღაც მიზეზების გამო.

წითელ ქარში

საავიაციო დივიზიაში.

სანიტარული გასამართლება.

საავიაციო დივიზიის კლუბში ამხ. კალამკაროვის თავმჯდომარეობით, გაიმართა საყურადღებო სანიტარული გასამართლება მუშა-სიფილიტიკზე. ბრალდებული იყო დივიზიის უფროსის თანაშემწე ამხ. ხანჯონქს, იცავდა სამხკომი ჩილინგირი გასამართლებას აუარებელი წითელ არმიელი დაესწრო და გულმოსმენით ისმენდა გასამართლების პროცესს.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

2 მაისს ახლად გაწვეულთა პატივსაცემლათ, გაიმართა სადღესასწაულო სხდომა, რომლის დროს მოხდა გამოცდები წერა-კითხვის უცოდინართა უკანასკნელ ჯგუფს.

წითელ-არმიელების გუნდი.

აღნიშნულ დივიზიასთან დაარსდა წითელ-არმიელების გუნდი, რომელმაც შეისწავლა სახალხო სიმღერები. გუნდმა უკანასკნელ საღამოზე დამაკმაყოფილებლად შეასრულა რამოდენიმე ნომერი.

კლუბის მუშაობა.

ბოლო ხანს კლუბის მუშაობას დაეტყო სიცხოველე. კლუბის სათავეში ჩადგნენ ინიციატივის მქონე ამხანაგები და დაიწყეს მძინებულ კლუბის ცხოვრებაში მრავალ-ფეროვანი მუშაობა.

წარმოდგენები.

კლუბთან არსებობს წითელ-არმიელებისაგან შემდგარი დრამსექცია, რომელიც მართავს წითელ-არმიელთათვის წარმოდგენებს. იდგმება სარევოლიუციო რეპერტუარი.

წრეების მუშაობა.

კლუბთან მუშაობენ აგრეთვე სხვა და სხვა დარგის წრეები.

სხვა და სხვა ნაწილებში.

ახალი სკოლა. აპრილის ბოლო რიცხვებში მოხდა საზეიმო გახსნა ქართულ მსროლელ დივიზიის საკავშირო სკოლისა, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული მომზადება საკავშირო გუნდების უფროსებისა. მსმენელთა რიცხვი ჯერ უდრის 20 კაცს, ზეიმზე წარმოითქვა მრავალი სიტყვები და სურვილები.

ანტი-რელიგიური მიტინგი. ყოფილ პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოეწყო ანტირელიგიური მიტინგი. მიტინგის ინიციატივა ეკუთვნოდა № ლეგიონს, მიტინგზე წარმოითქვა მრავალი საყურადღებო სიტყვები. სხვათა შორის მიტინგს მიესალმა ყოფილი ღვდელი ჩაგანავა.

სამხედრო რევტრიბუნალში.

საქმეების გამრავლება. ბოლო ხანს სამხედრო რევტრიბუნალში მრავალი საქმე მოაწყდა სხვა და სხვა ხასიათისა.

კოკვაძის საქმე. ამ ახლო მომავალში დაიწყება გარჩევა სასურსათო მაღაზიის გამგის კოკვაძის საქმისა. პასუხის გებაში მიცემულია თითქმის მთელი მისი შტატი, რომელიც ხელს უწყობდა თავის უფროს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებებში.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **სავალდებულო დადგენილების გამოცემისათვის.** აღმასკომის საადგილ-მამულო კოლეგიამ დაადგინა ეთხოვოს აღმასკომის პრეზიდიუმს გამოცემულ იქნას სათანადო სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ყოველი სახლის პატრონი ქ. ტფილისის ფარგლებში მოვალე იქნება აცნობოს განსაზღვრულ ვადის განმავლობაში აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებას თუ რამდენი და რა პირუტყვი იმყოფება მდგმურების მიერ დაქირავებულ ეზოებში.

— **ქუჩებში მოხეტიალე უპატრონო ძაღლები.** საადგილ მამულო განყოფილებამ განცხადება შეიტანა აღმ. პრეზიდიუმში, რათა აღდგენილი იქნეს აღმასკომის შარშანდელი დადგენილება ქუჩებში მოხეტიალე ძაღლების დაჭერის შესახებ და დაწესდეს სავალდებულოთ სამ თვეში ერთხელ ცხენების შემოწმება საეთილო ექიმების მიერ.

— **ხუდადოვის ტყის დაცვა.** ვინაიდან ხუდადოვის ტყეს დიდ ზიანს აყენებს ქურდულათ შერეკილი პირუტყვები, საადგილ-მამულო განყოფილებამ საჭიროთ სცნო შემოღებულ იქნეს დაჭერილ საქონლის დაჯარიმება 1 მანეთით (ოქროთი), მეორე შემთხვევაში—2 მანეთი.

— **ფუნიკულიორის გაუმჯობესება.** საადგილ-მამულო განყოფილებამ დაადგინა ეთხოვოს პრეზიდიუმს ფუნიკულიორზე ორი დესეტინა ადგილის მოსაწყობათ გაეხსნას სათანადო კრედიტი. განყოფილებას განზრახული აქვს ხსენებულ ადგილზე გააშენოს დასასვენებელი სახლები ბაღებით.

განათლების კომისარიატში.

— **კურსების გახსნა.** სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილებამ გახსნა საბავშო სახლებისათვის მასწავლებლების მოსამზადებელი კურსები. კურსებზე მსმენელთა რიცხვი უდრის 80 კაცს. მეცადინეობა სწარმოებს ინტენსიურათ.

— **სახელოსნო სასწავლებლის გადაცემა.** განათლების კომისარიატმა დაადგინა გადაეცეს ა.-კ. რკინისგზის სამმართველოს—ბათომის ყოფილი სახელოსნო სასწავლებელი, საქარხნო სამრეწველო სასწავლებლის გასახსნელათ, რომელიც დარჩება აჭარის განათლების სახ. კომისარიატის სრულ განკარგულებაში.

— **კულტურულ მცენარეულობის შესასწავლათ.** ამავე კომისარიატმა დაადგინა დასავლეთ საქართველოში კულტურული მცენარეულობის შესასწავლათ, ყოფილი სახელოსნო სასწავლებელი ბორჯომში გადაკეთებულ იქნას სატყეო და სასოფლო-სამეურნეო პროფესიონალურ სკოლად.

— **ქართული ტეხნიკუმი რკინისგზელებისათვის.** განათ. კომისარიატმა აუცილებელ საჭიროთ სცნო რკინისგზელების ბავშთათვის გახსნას ქართული ტეხნიკუმი. წინადადება მიეცა სოც. აღზრდის მთავარ მმართველობას გამოყოს ამ მიზნით რომელიმე ტეხნიკუმი და გამოიმუშაოს სათანადო პროგრამა.

— **გამოცდები.** ვინაიდან წელს წინდაწინ არ ყოფილა სათანადო გაფრთხილება, ამიტომ დაშვებული იქნას გამოცდები იმ პირთათვის რომელნიც აბარებენ გამოცდებს სიმწიფის მოწმობებზე შემდეგ ცენტრებში: ტფილისში, ქუთაისში, სენაკში, ოზურგეთში და თელავში.

გამომცემლობა.

— **გამოვიდა.** საქ. კომ. პარტიის ცენტრალური გამომცემლობამ გამოსცა პ. სტუჩკას „რევოლიუციონური როლი სამართლისა და სახელმწიფოსი“ (ზოგადი სწავლა სამართლისა და სახელმწიფოზე). წიგნი შეიცავს 172 გვერდს და ღირს 30 კაპ. ოქრ.

შრომის ბირჟა.

— **უმუშევრები.** 2 მაისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 877 უმუშევარი, ამათგან ქალი 851 კაცი—1026. ამავე დღეს ჩაეწერა 108 უმუშევარი. გაიგზავნა სამუშაოზე 52, აქედან კაცი—32, ქალი—20.

კრებები და მოხსენებები

— **ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოებაში.** პარასკევს, 4 მაისს, საღამოს 7 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში შესდგება ჩვეულებრივი კრება ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებისა, რომელზედაც გაკეთებულ იქნება მოხსენებები: 1. ექიმი მახვილაძე. სისხლის მორფოლოგიური ცვლილებანი და Bordet Wassermann-ის რეაქცია პელაგრის დროს. 2. ექიმი ტყემალაძე. Neosalvarsan-ით წამლობა შექცევითი ტიფის აპირექსიის სტადიაში. ამავე კრებაზე მოხდება გამგეობის ორი წევრის არჩევა.

სხვა და სხვა.

— **მაზრების დათვალიერება და რევიზია.** განსაკუთრებული მთავრობის კომისია, რომელსაც დავალებული აქვს დათვალიერება და რევიზია ადგილობრივი ხელისუფლებისა ჯერ დასავლეთ საქართველოში და შემდეგ აღმოსავლეთში, უკვე იყო ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის მაზრებში და ქ. ფოთში. 30 აპრილს ქ. ახალ-სენაკიდან კომისია გაემგზავრა ქუთაისში. ქუთაისიდან მიემგზავრება რაჭა-ლეჩხუმისაკენ.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** პლეხანოვის პრ. № 82 ქურდებმა გასტეხეს მოქ. სანდრო მათეიშვილის ბინა, საიდანაც წაიღეს 290 მილიონ მანეთად ღირებული საქონელი.

— პეტრე დიდის ქუჩა № 10 მოქალაქე ლეო სარქისოვს ქურდებმა მოჰპარეს 300 მილიონის ტანსაცმელი.

— არსენალის ქ. № 31 ეკატერინე ქურხულის სამზარეულოდან ბოროტმოქმედებმა გაიტანეს სურსათი და ავეჯი 100 მილიონ მანეთად ღირებული.

— ვიღაც ბოროტმოქმედებმა ველიამინოვის ქუჩა № 12 გაქურდეს ამბროსი პალინსკის ბინა, საიდანაც 200 მილიონის ნივთები წაიღეს.

— ლენინის ქ № 41 მოქ. იზრაილ მიშაელოვს მოჰპარეს 150 მილიონად ღირებული საქონელი.

— **თვითმკვლელობა.** 29 აპრილს საღამოს 7 საათზე ფუნიკულიორის ქვედა სადგურის მახლობლად თვითმკვლელობის განზრახვით, ნაგანის სისტემის რევოლვერით თავი დაიჭრა ნადია მიხეილ გოგიჩაძის ასულმა, რომელიც გადაგზავნილია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

— **მკვლელობა.** მალაკანის ქ. № 16 ჰუსეინ ასან ოღლიამ რევოლვერით მოჰკლა ხასიმ ალი ოღლი. მკვლელი მიიმალა. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

ხელოვნება

მოწაფეთა სიმფონიური კონცერტი 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიაში.

1-ლ კონსერვატორიის დირექტორმა ზაქარია ფალიაშვილმა საზოგადოების მსჯავრის დასადებად წარმოადგინა კონსერვატორიის მასწავლებელთა და მოწაფეთა მუშაობის შედეგები. დაბეჯითებით შეიძლება ვსთქვა, რომ გამოცდა, როგორც ერთის, ისე მეორის მხრივ, გამარჯვებულია, თუმცა, რასაკვირველია, რესპუბლიკაში მუსიკალურ განათლების პირველ დამნერგავ მოწაფეებს მე ვერ მოვთხოვ სრულებით დამთავრებულ მხატვრულ შესრულებას, მაგრამ 29 აპრილის სიმფონიურმა კონცერტმა დაამტკიცა, რომ მუსიკალური განათლება კონსერვატორიაში დაყენებულია მეტად სერიოზულ ნიადაგზე. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ორკესტრის კლასს, რომელმაც კონსერვატორიის დირექტორის ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა სიმფონიურ საორკესტრო ლიტერატურის რამოდენიმე დიდი და დამოუკიდებელი ნომრები.

რიმსკი-კორსაკოვის უვერტიურა „ნათელი დღესასწაული“ დაწერილია მეტად რთულ და ლამაზ ორკესტროვკით. დამთავრებულ შესრულებისათვის საჭიროა, რომ მუსიკალური სურათი ყველა თავის პერიოდებში იყოს გარკვეული. ზაქარია ფალიაშვილმა შესძლო მიეღწია ამისათვის და უვერტიურის პოლიფონია ამოცანის სიმაღლეზე იყო.

მთავარი თემები გადახლართული იყო მეორე ხარისხოვანებთან, თუმცა ყოველთვის ირჩეოდენ ამ უკანასკნელთაგან და იძლეოდნენ კოლორიტულ ნიუანსების მთლიან გამმას. განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო უვერტიურის ფინალი, სადაც ინსტრუმენტოვკა და ორკესტროვკა განსაკუთრებით ღრმათ ჰქონდა დამუშავებული კომპოზიტორს.

მეორე ორკესტრიულ ნომრათ დაიწყო სიმფონიური პოემა,—კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასის პროფესორის აისბერგის მუსიკალური ნაწარმოებები. პოემა პირველად იყო შესრულებული, ის ჯერ კიდევ გამოუცემელია, დაწერილია ეს პოემა სულიერი განწყობილებით. მუსიკა ასურათებს წყალ-ქვეშა სამეფოს და მის სიწყნარეს. როგორც შინაარსი, ისე მუსიკა ცოტა მისტიური ხასიათისაა, მაგრამ პოემა მელოდიურია, განსაკუთრებით მისი ვოკალური მხარე, შესრულებულ კონსერვატორიის მოწაფე ქალის ოლეინიკოვის (პროფესორ ზელიონოის კლასის). მოწაფე ოლეინიკოვას მშვენიერი ფართო დიაპაზონის ხმა აქვს soprano dramatique და მისგან, უეჭველად, გამომუშავდება პირველ პარტიების შემსრულებელი ოპერის მსახიობი. პროფესორ ვილშაუს მოწაფემ შეასრულა პიანურზე „Havanaise“—სენ-სანსის,—აქ სჩანს სერიოზული სკოლა. ნიჭი საშუალოა, საშუალო ფორტეპიანოს ნიჭი აქვს მოწაფე ციმიკასაც (პროფესორ კესნერის კლასის), რომელმაც შოპენის კონცერტის F-moll მეორე და მესამე ნაწილი შეასრულა. შოპენის ნაწარმოებების შესრულება საჭიროა უფრო დაკვირვებით და ღრმათ, საჭიროა შოპენის განცდა, საჭიროა, რომ როიალი მღეროდეს და მელოდია აჟღერებდეს აკომპანიმენტს, მარტო ტეხნიკური შესრულება კი საკმარისი არ არის. შესრულებაში საჭიროა უფრო ინტუიციის გრძნობის ჩაქსოვა.

კონცერტის მეორე განყოფილება დაიწყო ზაქარია ფალიაშვილის ახალი ოპერა „Daisi“-ს ინტროდუქციით, რომლის მიხედვითაც ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორის ახალი ნაწარმოები ერთ ახალ ღირებულებას შემატებს ახალგაზრდა ქართულ მუსიკალურ ლიტერატურას. ინტროდუქცია მელოდიურია თავიდან ბოლომდე,—მელოდია ორიენტალურ ხასიათისაა; პირველი თემა მეტათ ორგანალურია, იგი იწყება კლარნეტის მელოდიით ყველა პიანურების აკომპანიმენტით შემდეგ მელოდია ფართოტალღათ იშლება ორკესტრში, ხმები ძლიერდება და ბოლოს ჩუმდება პირველ თემაში კლარნეტისა და ორი ფლეიტის შესრულებაში სიმებიან ინსტრუმენტების აკომპანიმენტის ქვეშ. ეს ძალიან ლამაზი ინტროდუქციაა ინსტრუმენტოვკის და ორკესტროვკის საქმის დიდი ცოდნით დაწერილი. სასურველია ახალი ოპერის საჩქარო დადგმა ჩვენს სცენაზე.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო განსაკუთრებით ნიჭიერ მოწაფის სერგეევის (პიანური—პროფესორ ლედნიკის კლასი) კონცერტში მონაწილეობა ახალგაზრდა მსახიობმა შეასრულა ჩაიკოვსკის პიანურის კონცერტის პირველი ნაწილი. შესრულება დასრულებულია ტეხნიკურისა და მხატვრულის მხრივ. ვამბობ ამას გადაჭრით და ყოველგვარ ეჭვების გარეშე. მოწაფე სერგეევს ელის ბრწყინვალე არტისტიული მომავალი, მე მას ვთვლი 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიის პიანურის კლასის საუკეთესო ნიჭათ, მაგრამ საუბედუროთ, ახალგაზრდა მძიმე ავათ არის, მას აქვს ჯირკვლების ტუბერკულიოზი. კონცერტზე დამსწრე, რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარმა, რომელიც აღტაცებაში მოვიდა ნიჭიერ მოწაფის შესრულებით, აღუთქვა მას მთავრობის ხარჯით აბასთუმანში გაგზავნა საექიმოდ, წრფელი გულით მივესალმებით ამ გადაწყვეტილებას, ახალგაზრდა უნდა გადავარჩინოთ ხელოვნებისათვის, ის უნდა გამოვგლიჯოთ დამღუპველ ავათმყოფობის ბჭყალებიდან.

შემდეგ მოწაფე კაშაკაშვილმა (პროფესორ ჯაყელის სიმღერის კლასი) და თოფურიამ სამ (უფროს მასწავლებელ რეშიმოვას კლასი) შეასრულეს დუეტი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“-დან მოწაფე კაშაკაშვილს ჰქავს ძლიერი და ლამაზი ხმა (ბარიტონი), მოწაფეს აქვს მუსიკალური გრძნობა და უკანასკნელ წლებში მან დიდ შედეგებს მიაღწია. სერიოზულ მუშაობით მოწაფე კაშაკაშვილს უზრუნველყოფილი აქვს არტისტიული მომავალი. ნაკლებ მომეწონა მე მოწაფე ქალი თოფურია, მისი ხმის საშუალებები და მუსიკალური გრძნობა საშუალო ღირსებისაა.

კარგათ დაუკრა ვიოლონჩელზე სენ-სანსის კონცერტი მოწაფე მალუნცოვმა, ესეც საკმაოდ ნიჭიერი მოწაფეა. კონცერტი გათავდა ბეტხოვენის მშვენიერ ფანტაზიის შესრულებით ფორტეპიანოთი, ხოროთი და ორკესტრით. ფორტეპიანოს პარტია შეასრულა მოწაფე ქალმა ევტიევისამ (პროფესორ აისბერგის კლასი), გუნდი მშვენივრათ მომზადებულია საგუნდო სიმღერის და თეორიის კლასის უფროს მასწავლებლის კუშნარიოვის მიერ.

საერთოდ კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

კვირას 6 მაისს კონცერტი მთლიანათ მეორდება.

მთელი წმინდა შემოსავალი წავა რესპუბლიკის საჰაერო ფლოტის შექმნის საშუალებათა გასადიდებლად.

მუსიკოსი.

— **პროლეტკულტის სტუდია.** პროლეტკულტის სტუდია გადაკეთდა პროლეტკულტის ტეხნიკუმათ, ტეხნიკუმი მოამზადებს საკვალიფიკაციო მსახიობებს, რეჟისორებს, ლიტერატორებს, ჟურნალისტებს, მხატვრებს და სხ. მეცადინეობა სწარმოებს ქართულ, სომხურ, თათრულ და რუსულ ენებზე. ტეხნიკუმი დაყოფილია ეროვნების მიხედვით სექციებათ. მსმენელებათ მიიღებიან მუშები, წითელ-არმიელნი, ახალგაზრდა კომკავშირის წევრნი და შემდეგ გარეშენი

— **„პიესათა კრებული“.** გამოვიდა ახალი წიგნი „პიესათა კრებული“. წიგნში მოთავსებულია პროლეტარულ მწერლების ალ მაშაშვილის, ს. ერ-ლის და სხ. პიესები. გამოცემა ახ. კომკავშირის. ფასი 100 ათასი მან.

— **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში გაიმართება მსახიობ ალ. მეტრეველის საღამო. პროგრამა შინაარსიანია.

— **ვალერიან გუნიას ბენეფისი ბათომში.** 25 აპრილს, ბათომში, აკადემიურ თეატრში გაიმართა დამსახურებულ მსახიობის ვალერიან გუნიას ბენეფისი, რომელსაც დაესწრო დიდძალი საზოგადოება და აჭარის მთავრობა მთელი შემადგენლობით.

— **პენსიონერები.** განათ. სახ. კომისარიატის საგანგებო კომისიამ გადაათვალიერა პენსიონერთა სია, რის შემდეგ გამორიცხულ იქნა რამდენიმე პირი და დანარჩენებს გაუდიდდა პენსია 20-30 მანეთამდე ოქროთი.

— **შუამდგომლობა.** სრულიად საქ. მწერალთა კავშირის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა კავშირის გარდაცვალებულ წევრების ქვრივობლებს დაენიშნოს შესაფერი დახმარება.

— **ეგნატე ნინოშვილის ძეგლი.** 1 მაისს, ალექსანდრეს სახელობის ბაღის თავში, მუშათა სასახლის პირდა-პირ დაიდგა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული ეგნატე ნინოშვილის ბრინჯაოს ძეგლი. ძეგლის საზეიმო გახსნა მოხდება ამ დღეებში.

პროვინციაში

„წმინდა“ გიორგის აფეთქება შორაპნის მაზრაში

(ხარაგოულის რაიონი)

ზემო იმერეთში, ხარაგოულის რაიონში არსებობდა ორი უძვირფასესი ბუდე საეკლესიო ცრუმორწმუნოებისა, რომელსაც შიშითა და კრძალვით შეყურებდა ძველი მორწმუნე გლეხობა; სამღვდელოება ჩვენ დრომდისაც კი მშვენივრათ სარგებლობდა ამ კერპებით. უკანასკნელ დრომდე აუარებელი მლოცველი მოდიოდა კაბორზე და მელისკარზე; დიდი „შესაწირავი“, „მსხვერპლი“ იწირებოდა ამ კერპებს სამღვდელოების გასამდიდრებლათ არა თუ იმერეთიდან, ქართლიდან და კახეთიდანაც კი მოდიოდა მორწმუნე ხალხი ამ კერპების სადიდებლათ. „შესაწირის“ მისატანათ და „ღამის სათევათ“, თან მოყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, მოჰქონდათ ფული და ნივთებიც. კერპების გავლენა იმდენათ ძლიერი იყო ზემო იმერეთის და გორის მაზრის გლეხობაზე, რომ აუცილებლათ საჭირო იყო მათი გახსნა, ხალხის თანდასწრებით და მონაწილეობით გასინჯვა და შემოწმება. უამისოთ შეუძლებელი იყო ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრა ზემო იმერეთის მორწმუნე გლეხობაში.

მელისკარის აფეთქება

ხარაგოულელმა ამხანაგებმა ახალგაზრდობის კომკავშირის და უპარტიოების თანდასწრებით მოლაპარაკების შემდეგ გადასწყვიტეს გამგზავრებულიყვენ პირველად მელისკარზე (ს. ჩხერი) იმ უზარმაზარ ჯვარის გასახსნელად, რომელიც იქ ისვენა ეკლესიაში.

ამ ხუთი არშინის სიმაღლის ჯვარის შესახებ არსებობდა გადმოცემა, რომლის განმტკიცებას ხელს უწყობდა ხალხის გაყვლეფაში დაინტერესებული სამღვდელოება. ამ გადმოცემით ძველ დროს მწყემსებმა დასვეს მინდორში ჯვრის პალო, რომელმაც დაიწყო ზევით ზრდა. მწყემსები შეფიქრდენ და გაიქცენ დიაკვანთან, რომელმაც პალოს დაასო თავზე ლურსმანი ზრდის შესაჩერებლათ. ჯვარმა შესწყვიტა ზრდა, მაგრამ დიაკვანი გადმოვარდა იქიდან და მოკვდა. ჯვარმა ამის შემდეგ დაიწყო ზრდა ძირს, მიწის ქვეშ. ამ ადგილას ააგეს ეკლესია, (გადმოცემით მე-9 საუკუნეში) და შიგ მოათავსეს ხსენებული ბლის ჯვარი, რომელიც დღესაც ნედლი უნდა ყოფილიყო. კაბორის წმინდა გიორგის შესახებ კიდევ უფრო მეტი გადმოცემები არსებობდენ, რომლის სინამდვილე მორწმუნე გლეხობას გულუბრყვილოთ სწამდა.

ჯვარის მოხსნა

ეკლესიის გალავანში გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრენ ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი, ქალების და ბავშვების მონაწილეობით. კრებაზე, სხვათა შორის, ილაპარაკა ყოფილმა მღვდელმა ა. კიკნაძემ, რომელმაც დაგმო არსებული ცრუმორწმუნეობა „წმინდანების“ შესახებ, ეკლესიის მღვდელმა ერმ. ვეფხვაძემ შეკითხვებზე უპასუხა, რომ მე გადმოცემას ვუჯეროდიო. ამის შემდეგ გახსნეს ჯვარი, ჩამოაცალეს ხავერდი, აღმოჩნდა გათლილი [illegible] მატლებით სავსე ხე, რომელიც წაიღეს ხარაგოულში, სადაც აუარებელი ხალხი ნახულობს და თავისი თვალით [illegible] სამღვდელოების მატყუარობაში.

კაბორის წმინდა გიორგისაც ასეთივე ბედი ეწია

მეორე დღეს ხალხი გაემგზავრა კაბორზე (ს. ფარცხნალი), სადაც მღვდელ ს. ხარაძის დასწრებით მოხსნეს „წმინდა გიორგი“, რომელიც წარმოადგენდა დამპალ ჯირკვებს. ეს ჯირკვები, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა აქაურ სამღვდელოებას ხალხის გაყვლეფაში, აგრეთვე წამოღებულ იქნა დ. ხარაგოულში და საჩვენებლათ გამოფენილი პარტკომის ეზოში.

საერთო მიტინგი

კვირას 22 აპრილს მოწვეულ იყო საერთო მიტინგი, რომელზედაც აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. საკითხი ყველასთვის საინტერესო იყო, ბლომად დაესწრენ ქალებიც, ბავშვებიც და მოხუცებიც. სამღვდელოებამ ერთი დაკვრით დაკარგა საუკუნოებით განმტკიცებული თავისი გავლენა; გამოფხიზლებული ხალხი ერთხმად მოითხოვდა ეკლესიების დახურვას და საეკლესიო ცრუმორწმუნოების მსახურთა ალაგმვას. მღვდლები იძულებული არიან აღიარონ თავისი დანაშაული, ხელს იღებენ თავის სასირცხვო პროფესიაზე და თხოულობენ მიღებულ იქნენ მშრომელთა რესპუბლიკის უბრალო მოქალაქეებათ.

იქაური.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— 10 მაისს—ამხ. ლემშინის მოხსენება: „ბელეტრისტული ნაწარმოებნი ბუნებისმეტყველებაში.

სახლის გამგე: შიუკაშვილი.

პროფესიული.

„განათლების მუშაკთა“ სახლში.

პარასკევს 4 მაისს საღამოს 7 საათზე რუსული ენის ქვესექციაში შესდგება ამხ. კოზლოვსკის, ბაგაევის, კორნეევსკის, პოტკოვას და კოჩუბეევის მოხსენებები: „მოწაფეებ'ს კოლლექტიურ მუშაობების სახეების შესახებ“.

საღამოს 7 ნახ. საათზე ბუნებისმეტყველების ქვესექციაში პროფ. თვალჭრელიძის მოხსენება: „თბილისის მიდამოების მინერალები„ კვირისათვის განზრახულ ექსკურსისათვის მომზადება.

6 მაისი. ექსკურსიის დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება „განათლების მუშაკთა“ სახლში.

ორშაბათს 7 მაისს საღამოს 7 საათზე ფიზიკურ-მათემატიკო ქვესექციაში ნიკოლაძე—პოლიექტოვის მოხსენება: „მათემატიკა პატარებისათვის“. მოწვეულნი არიან შკოლის-წინასწარ, საბავშვო სახლების და პედაგოგიურ ქვესექციების წევრები.

ოთხშაბათს 9 მაისს საღამოს 6 საათზე ჩურსინის მორიგი ლექცია.

საღამოს 7 საათზე ისტორიულ ქვესექციაში ამხ. ამხ. კოზლოვსკის, ფიმანცევის მოხსენებები: „აფრიკანულ ზღაპრების შესახებ“.

სახლის გამგე შიუკაშვილი.

განცხადებები

დღეს, 4 მაისს,

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 359—1—1

თავადი
იგორი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

საჯარო ვაჭრობა

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ შაბათს ა. წ. 5 მაისს, დილის 12 საათზე აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში დანიშნულია მეორეჯერ საჯარო ვაჭრობა ქალაქის ხუთი სასწორების (თათრის მოედ., ლესიმონოვის მოედ., მალაკნის მოედ., ნუნუფაროვის და მუხრანის რინოკზე) იჯარით გასაცემათ ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ.

ვაჭრობა დაიწყება 15.000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში.

დაწვრილებით კონდიციის გაცნობა ყოველდღე აღმასკომში ოთახი № 50.

362 3—2

განცხადება

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ თანახმად საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა მიმდინარე წლის 23 აპრილიდან № 89, ქალაქებში და ქალაქთა მოსახლეობაში გადიდებულია 1922 წლისათვის აღრიცხული საშემოსავლო გადასახადის რაოდენობა შემდეგნაირად: ა) იმ პირთათვის რომლებიც იხდიან ამ გადასახადს 20 კატეგორიამდე—ამ კატეგორიითურთ გადასახადის რაოდენობა გადიდებულია ორჯერ; ბ) დანარჩენ გადამხდელთათვის გადიდების რაოდენობა განსაზღვრულია სამჯერ.

ყველა ქალაქის და ქალაქთა მოსახლეობის მცხოვრებნი, რომლებიც დაიბეგრენ საშემოსავლო გადასახადით 1922 საგადასახადო წლისათვის ვალდებულნი არიან შეიტანონ მათზე შეწერილი გადასახადი გადიდებითურთ ხაზინაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისისა, რომლის შემდეგაც იქნება მიღებული მკაცრი იძულებითი წესები შეუტანელ გადასახადის ასაკრეფად.

გადასახადის გადიდების შესახებ გადამხდელებს ეცნობებათ ამ განცხადებით ხარჯის ფურცლების დაუგზავნელად.

იმ პირთ, რომლებმაც უკვე გადიხადეს პირველად აღრიცხული 1922 წლის გადასახადი და აგრეთვე საურავი, უკანასკნელი ჩაეთვლებათ ძირითად გადასახადში და ამისათვის ისინი ვალდებულნი არიან შეიტანონ ხაზინაში განსხვავება ახლად აღრიცხულ გადასახადის და შეტანილ გადასახადის და საურავს შორის.

ამიერ-კავკ. ფედერაც. ფინანსთა სახალხო კომისარის
რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

გადასახადთა განყოფილების მართველის მოადგილე
ა. ბეჟირგანიშვილი.

1—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, კოლონოვის ქ. № 20. (501—25—17)

დავკარგე ოზურგეთის მაზრის სახელზე გაცემული პარტიული მანდატი. ჩაითვალოს გაუქმებულად. სამა კვინტრაძე.
629—1—1